ყველაფერი სპორტზე

გამოიცემა 1934 წლიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008
დარჩა 88 დღე

№ 110 (12 485) 12 მაისი ორშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## თბილისურ ფეხბურთს ცაავა უთავკაცებს

არჩევნები »» 4

## მეხუთე ლიცენზია, მანუჩარ კვირკველია

ანტიკური ჭიდაობა »» 13



# მილანური საფრთხე: კალაძემ, შესაძლოა, ლიგა დაკარგოს, ინტერმა სკუდეტო



გოლი მილანის კარში. კალაძემ მხოლოდ თვალი გააყოლა

სერია A » 8

# გოლმედალცვენა




გუშინ, ეროვნულზე. დინამო-ლოკომოტივი 6:5

მიმოხილვა »» 2-4

# მაინც მანჩესტერი




ჩელსი რევანშს მოსკოვში აპირებს

პრემიერლიგა »» 6

# მასას თურქული პეთ-თრიკი




ფორმულა 1 »» 14

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XXV ტური

# გოლებისა და მედლების ცვენა

**დინამო-ლოკომოტივი**

**6:5**

11.05. თბილისი. ეროვნული
1000 მაყურებელი

1:0 ვანაძე (10), 2:0 ვანაძე (15. ოდიკაძის პასით), 3:0 აკირემი (17), 4:0 ხუციშვილი (21. ოდიკაძის პასით), 4:1 სამხარაძე (25), 4:2 დარასელია (33), 5:2 ხუციშვილი (39. ოდიკაძის პასით), 5:3 ალექსიძე (44. ცქიტიშვილის პასით), 6:3 ხმალაძე (73. აკირემის პასით), 6:4 ალექსიძე (82. სამხარაძის პასით), 6:5 სამხარაძე (86. ალექსიძის პასით)

დინამო: ოვონო – შ. კაშია (77. გ. კაშია), ზელიჩი, კრშკო, გველესიანი – ხმალაძე (85. ფირცხალავა), დილმელაშვილი, ოდიკაძე - ხუციშვილი, ვანაძე (45. ქანთარია), აკირემი

*სათადარიგოები:* *ლორია, თომაშვილი, დობეში, ნერგაძე*

ლოკომოტივი: მ. ალავიძე – დ. ფოფხაძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, ქუხილავა (74. გილაური) – ზ. ჩხეტიანი, ცქიტიშვილი, სამხარაძე, ნულაძე (65. დ. ჩაგელიშვილი), დარასელია – ალექსიძე

*სათადარიგოები:* *მიგინეიშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, კაჭახიძე, ქუცურუა, ბარბაქაძე*

გაფრთხილება: მ. ალავიძე (17), ალექსიძე (32), ოვონო (33), ვანაძე (38), ხმალაძე (59), გუშარაშვილი (69), ზელიჩი (90)

გაძევება: სამხარაძე (90)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

**10.** 1:0 – ვანაძე მეკარის მიერ მოგერიებულ ბურთთან პირველი გაჩნდა.

**15.** 2:0 – ოდიკაძის პასით ვანაძემ დუბლი გაიფორმა.

**17.** 3:0 – ხუციშვილის მიერ შესრულებული ჯარიმა ალავიძემ ცხვირწინ მოიგერია, ყველას აკირემიმ დაასწრო.

**20.** ხუციშვილმა ახლო მანძილიდან ვერ გაიტანა.

**21.** 4:0 – ოდიკაძემ ხუციშვილი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა.

**25.** 4:1 – ალექსიძის აქტიურობით სამხარაძე დასარტყამ პოზიციაზე გავიდა.

**29.** გველესიანის დარტყმა "ლოკომოტივის" კარს ზემოდან გადასცდა.

**30.** "დინამოს" მრავალსვლიანი კომბინაცია ხმალაძეს უნდა დაეგვირგვინებინა, მაგრამ ახლო მანძილიდან ააცილა.

**31.** ოდიკაძის ჩაწოდებას ხმალაძის არაზუსტი თავური მოჰყვა.

**33.** 4:2 – დარასელიამ დაახლოებით 30 მეტრიდან ძლიერი დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა.

**39.** 5:2 – ხუციშვილმა დუბლი ოდიკაძის გადაცემით შეასრულა.

**44.** 5:3 – ცქიტიშვილმა "ლოკომოტივის" ნახევრიდან მახვილგონივრული პასით ალექსიძე მეკარესთან ერთ-ერთზე გაიყვანა, რატიმ ოვონოს ბურთი თავზე გადაუგდო.

**52.** დარასელიამ ცქიტიშვილის პასი მიიღო და არაზუსტად დაარტყა.

**63.** ქანთარიას დარყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

**70.** ოდიკაძემ ხუციშვილს ორიგინალურად უპასა, ამ უკანასკნელმა დარტყმა დაახანა და ხიფათი რკინიგზელთა მცველმა განმუხტა.

**73.** 6:3 – ხმალაძემ აკირემისთან კედელი გაითამაშა და ახლო მანძილიდან გაიტანა.

**82.** 6:4 – სამხარაძემ ჩააწოდა, ალექსიძემ "დინამოს" კარი თავით დალაშქრა.

**83.** აკირემიმ ახლოდან თავით ვერ გაიტანა.

**86.** 6:5 – საბოლოო ანგარიში სამხარაძემ საჯარიმოს მისადგომებიდან დააფიქსირა ალექსიძის პასით.



ჩემპიონების ზეიმი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გუშინ, ეროვნულ სტადიონზე საზეიმო ვითარება იყო. დინამოელებს ფედერაციისა და პროფლიგის პირველკაცებისგან ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასი და ოქროს მედლები გადაეცათ. ამას გარდა, ალსანიშნავი ფაქტი ისაა, რომ ქვეყნის მთავარ არენაზე "დინამოს" უკანასკნელად უთავკაცა **დუშან უჰრინმა**. გუნდს ტოვებს რამდენიმე ფეხბურთელიც.

თუმცა თავად თამაშმა მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ მომხდარი ამბები სრულად დაჩრდილა. ასეთი უხვგოლიანი შეხვედრა მიმდინარე ქართულ სეზონში ჯერ არ გვინახავს, ისიც უდიდესი იშვიათობაა, ერთ მატჩში ოთხი ფეხბურთელი რომ ასრულებს დუბლს. მოკლედ, სტადიონზე მისულ და ტელეეკრანებთან მიმსხდარ გულშემატკივრებს არ უნანიათ. თითქმის უმოტივაციოდ დარჩენილმა მეტოქეებმა ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ითამაშეს და იშვიათი სანახაობა შემოგვთავაზეს.

ანგარიშმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს და თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ "დინამომ" დამსახურებულად გაიმარჯვა. ერთბურთიანი სხვაობა მხოლოდ მატჩის ბოლო მონაკვეთში იყო დაფიქსირებული, ამ დროს კი "ლოკომოტივს" საგოლე შანსი აღარ მისცემია.



ხუციშვილმა ბომბარდირობა, ფაქტობრივად, გაინაღდა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ამდენი გოლის მიღება ამხანაგურ შეხვედრაშიც კი ცუდი შედეგია. "დინამოსა" და "ლოკომოტივის" მეკარეებმა და მცველებმა არაერთი უპატიებელი შეცდომა დაუშვეს და ასტრონომიული ანგარიშიც, უპირველეს ყოვლისა, აქედან გამომდინარეობს.

"დინამომ" დებიუტშივე შეიქმნა სოლიდური უპირატესობა და რკინიგზელებს ისღა დარჩენოდათ, ზურგი მოეშიშვლებინათ და მხოლოდ შეტევაზე ეფიქრათ. მასპინძლებსაც და სტუმრებსაც ყოველთვის ჰქონდათ თავისუფალი სამოქმედო სივრცე და ძირითადად, სწრაფი და მრავალსვლიანი კომბინაციებით ქმნიდნენ ხიფათს მოწინააღმდეგის საჯარიმოში.

მარჯვენა ფლანგის ბატონ-პატრონი იყო **დავით ოდიკაძე**, რომელმაც თავად ვერ გაიტანა, მაგრამ სამი საგოლე პასი მიითვალა. პირველი ტაიმი მაღალ დონეზე ჩაატარა **მათე ვანაძემ** და ზედ შესვენების წინ ტრავმა რომ არ მიელო, ვინძლო, დუბლიც არ ეკმარა. **მიხეილ ხუციშვილმა** რამდენიმე რეალური შანსი გაუშვა ხელიდან, მაგრამ დუბლი მაინც შეასრულა და თუ სასწაული არ მოხდა, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდება.

რა გასაკვირია და "ლოკომოტივის" შემადგენლობაში კვლავ მისი გამოცდილი ნევრები გამოირჩეოდნენ. **რატი ალექსიძემ** და **ირაკლი სამხარაძემ ოვონოს** ორ-ორჯერ გაუტანეს, **ვიტალი დარასელიამ** შორიდან ეფექტურად გაისროლა, **ლევან ცქიტიშვილს** წინა ტურებში ამაზე უკეთესადაც უთამაშია, მაგრამ ალექსიძისთვის გაკეთებული საგოლე პასი მთელ თამაშად ღირდა. "ლოკომოტივს" ჯერაც არ დაუბევებია უმაღლეს ლიგაში დარჩენა, მაგრამ რკინიგზელები ბოლო ტურში "ბათუმს" მასპინძლობენ და არავის ეპარება ეჭვი, რომ აჭარულ კლუბთან სასურველ შედეგს მიაღწევენ.

**რჩეული**

**დავით ოდიკაძე**

"დინამოს" შეტევათა დიდი ნაწილი მისი წამოწყებული იყო. სამი საგოლე პასი, თუნდაც ასეთ უხვგოლიან თამაშში, გამოსარჩევი შედეგია. ოდიკაძის პროგრესი ტურიდან ტურამდე უფრო თვალსაჩინო ხდება.

ლევან ჯანეზაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 25 | 22 | 1 | 2 | 65-18 | 67 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 25 | 19 | 3 | 3 | 45-12 | 60 |
| 3. ზესტაფონი | 25 | 17 | 5 | 3 | 53-15 | 56 |
| 4. ოლიმპი | 25 | 15 | 4 | 6 | 25-16 | 49 |
| 5. ამერი | 25 | 15 | 3 | 7 | 47-24 | 48 |
| 6. მესხეთი | 25 | 10 | 6 | 9 | 27-30 | 36 |
| 7. ბორჯომი | 25 | 9 | 4 | 12 | 30-35 | 31 |
| 8. მგლები | 25 | 9 | 3 | 13 | 23-31 | 30 |
| 9. სიონი | 25 | 8 | 5 | 12 | 29-35 | 26 |
| 10. ლოკომოტ. | 25 | 6 | 6 | 13 | 23-34 | 24 |
| 11. სპარტაკი | 25 | 5 | 8 | 12 | 13-27 | 23 |
| 12. მერანი | 25 | 6 | 1 | 18 | 15-49 | 19 |
| 13. ბათუმი | 25 | 4 | 4 | 17 | 15-47 | 16 |
| 14. დილა | 25 | 1 | 5 | 19 | 12-49 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| **ხუციშვილი (დინამო)** | 16 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 13 |
| **გ. მერებაშვილი (დინამო)** | 12 |
| ვიეირა (ზესტაფონი) | 11 |
| **აკირემი (დინამო)** | 10 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 9 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 9 |
| ვანაძე (დინამო) | 9 |
| რ. გოცირიძე (ამერი) | 9 |
| გელაშვილი (ვიტ./ზესტაფონი) | 9 |

**ბოლო ტური**

**20 მაისი**

| | |
|---|---|
| 17:00 | ზესტაფონი-ამერი |
| 17:00 | დილა-დინამო |
| 17:00 | მესხეთი-ვიტ ჯორჯია |
| 17:00 | ლოკომოტივი-ბათუმი |
| 17:00 | სიონი-მერანი |
| 17:00 | ოლიმპი-სპარტაკი |
| 17:00 | მგლები-ბორჯომი |

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დილომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხუთწუთიანი ლოდინი ვერცხლისთვის

**ვიტ ჯორჯია-მგლები**

**2:1**

11.05. მცხეთა. არმაზი
200 მაყურებელი

0:1 ჯანაშია (15), 1:1 ლიპარტია (49), 2:1 სახოკია (56. კლიმიაშვილის პასით)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - გ. დათუნაიშვილი, ბეჭვაია, გ. მელქაძე (75. ყველაშვილი), კლიმიაშვილი - ლუქაშვილი (55. სახოკია), ლიპარტია (84. ბერიაშვილი)

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, ინჯგია, მაისაშვილი, კვალინიძე*

მგლები: ივარდავა - გ. ქირია, ჟვანია (46. ხუხია), მაჭავარიანი, კაკაბაძე - ვართაგავა, ნურნუმია, გ. ექონია (46. კუჭუხიძე), დ. ქირია - ჭკადუა, ჯანაშია (65. ი. ჯიშკარიანი)

*სათადარიგოები: ქალდანი, ქომეთიანი*

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**15.** 0:1 - ალექსანდე კვახაძის შეცდომით კარგად ისარგებლა ზამირ ჯანაშიამ, გრიგოლ ბედიაშვილთან პირისპირ დარჩა, გასცდა მას და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

**26.** დავით ლომაის სუსტი თავური მანუჩარ ივარდავამ იოლად მოიგდო ხელებში.

**27.** ირაკლი კლიმიაშვილის გასროლილი ივარდავამ კუთხურზე მოიგერია.

**28.** გიგა ბეჭვაიას შორეული დარტყმა ივარდავამ მოიხელთა.

**32.** ვასილ ლუქაშვილმა „მგლების" მეკარის ხელებს დაუმიზნა ბურთი.

**35.** პაატა დათუნაიშვილის ჩაწოდებულს ლუქაშვილმა მიაყოლა თავური და ივარდავამ ნახტომში მოიგერია ბურთი.

**41.** ჯაბა ლიპარტიამ ერთი მცველი ჩამოიცილა, კარის გასწვრივ სახიფათოდ ჩააწოდა, სადაც არავინ იყო ჩასაფრებული.

**48.** ლიპარტიას მაკრატელა მიზანს ასცდა.

**49.** 1:1 - ლიპარტიამ ერთი მცველი მოხდენილად გააცურა და მეტოქის საჯარიმოში შეჭრილმა შორეულ კუთხეში გაუტანა ივარდავას.

**56.** 2:1 - კლიმიაშვილმა კარგად ჩააგდო ბურთი „მგლების" საჯარიმოში და ზაზა სახოკიამ ახლოდან გამარჯვებისა შეაგდო.

**78.** სახოკიამ ძალიან ხელსაყრელი პოზიციიდან რატომღაც სუსტად დაარტყა.

**80.** კლიმიაშვილმა 16-17 მეტრიდან ვერ გაისწორა მიზანი.

**88.** კლიმიაშვილის კუთხურს ამირან ყველაშვილმა შეაგება თავური- ახლოდან ვერ დაუმიზნა კარს.

ვიტელებისთვის ერთობ მნიშვნელოვანი თამაში იყო-**ნესტორ მუმლაძის** გუნდს ერთი ტურით ადრე შეეძლო ვერცხლის მონაგრება და ეს მოახერხა კიდეც. მატჩის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებს ძნელად დააჯერებდით, რომ „ზესტაფონი'' ბათუმის „დინამოს" ვერ ამარცხებდა. ბათუმური შეხვედრა, რატომღაც, ხუთი-ექვსი წუთით გვიან დასრულდა და ვიტელებიც სულმოუთქმელად ელოდნენ ცნობებს აჭარიდან.

მოკლედ, „ვიტ ჯორჯიამ" სეზონის წინ დასახული მიზანი შეასრულა, თუმცა მეორე წრეში მადა იმდენად მოემატა, ჩემპიონობაც მოუნდა. როგორც უნდა იყოს, ვიტელებმა უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვეს და უკმაყოფილონი არ უნდა იყვნენ.

...ზუგდიდელები მალევე დაწინაურდნენ და „ვიტ ჯორჯიაც" რაღაცნაირად, ცოტა არ იყოს, ნერვიულად ათამაშდა. თუმც ვიტელებს საქმე იმან გაუადვილა, რომ „მგლებს" მგლური დაუნდობლობა არ ეტყობოდათ- ზუგდიდელების მოტივაცია გუშინ ოდენ fair play-ს პრინციპების დაცვა იყო. მიუხედავად ამისა, პირველ ტაიმში „ვიტ ჯორჯიამ" მეტოქეს ძვრა ვერ უყო. ერთხელაც გამოჩნდა, რომ საგოლე მომენტების ვერგამოყენება ვიტელებისთვის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა.

შესვენების შემდეგ „ვიტ ჯოტჯიამ" უფრო შლეგად შეუტია და **ჯაბა ლიპარტიას** ეფექტური გოლის შემდეგ მასპინძლებს თითქოს დაძაბულობა მოეხსნათ.

მატჩის სიუჟეტი ამის შემდეგ არ შეცვლილა. მუმლაძემ **ვასილ ლუქაშვილი ზაზა სახოკიათი** შეცვალა და სახოკიას ბურთთან პირველივე შეხება გოლით დაასრულა.

ამის მერე საინტერესო ალარაფერი მომხდარა, ვიტელებს უპირატესობის გაზრდა შეეძლოთ, ზუგდიდელებს კი თავი დიდად არ შეუწუხებიათ.

„ვიტ ჯორჯიამ" ვერცხლი ჩაიჩხრიალა და უეფას თასზე მესამედ ითამაშებს.

**რჩეული**

**ჯაბა ლიპარტია**

**ჯაბამ პირველად ითამაშა „ვიტ ჯოტჯიას" სასტარტოში და საქმეს თავი კარგად გაართვა. ლამაზი გოლი გაიტანა, რომელმაც არცთუ ფხიანი თამაში გამოაცოცხლა.**

დავით თავართქილაძე

# მერანი უმაღლესს დაემშვიდობა

## ოლიმპი ინტერტოტოსკენ მიიწევს

**მერანი-ოლიმპი**

**0:1**

11.05. თბილისი. მერანი
მაყურებელი

0:1 გაბედავა (35)

მერანი: თევდორაძე - ბესარაშვილი, აფშილავა, გიგაური სარალიძე (70. ფირანიშვილი) - კობერიძე, ჯანგიძე, ლოლაძე, ჟღენტი (80. ფურთუხია), ბაკურაძე - გოჩაშვილი

*სათადარიგოები: დგებუაძე, იაგო დეისაძე, იაკობ დეისაძე, ნაკაშიძე, თავბერიძე*

ოლიმპი: ლომაია - გაბედავა, სილაგაძე, ორბელაძე, მახვილაძე - რეხვიაშვილი,, ჯოჯუა, მგელაძე, ხუბუა (77. სებისკვერაძე), კახელიშვილი - ომელიანოვი

*სათადარიგოები: შეყრილაძე, იმედაძე, მეტრეველი*

გაფრთხილება: გაბედავა (44), ბაკურაძე (45), სებისკვერაძე (77), ფირანიშვილი (85), ჯანგიძე (85)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ამ მარცხით თბილისური გუნდი ოფიციალურად გამოეთხოვა უმაღლეს ლიგას. ასე რომ მოხდებოდა, ეჭვი ალბათ, არც არავის ეპარებოდა, თუმცა „მერანის" გადარჩენის თეორიული შანსი გუშინდლამდე მაინც არსებობდა.

სანახაობრივად მეორე ტაიმი პირველზე უკეთესი გამოდგა, თუმცა გოლი პირველში გავიდა. გაბედავას მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმისას კედელში მდგომნი ახტნენ, ბურთმა კი ქვეშ გაიარა და ვერც მეკარემ შეძლო თანაგუნდელთა გადარჩენა. ჯარიმა მასპინძელთაგან საუკეთესომ, **ჯანგიძემ** „აიკიდა". მეტი საინტერესო შესვენებამდე არაფერი მომხდარა.

სამაგიეროდ მოხდა შესვენების მერე. ტაიმის დასაწყისში **ჟღენტსა** და **ლოლაძეს** შეექმნათ სახიფათო მომენტები, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გამოიყენა. ტაიმის ბოლოს კი ჯანგიძეს უნდა ემარჯვა, მაგრამ პირველ შემთხვევაში 87-ე წუთზე **ლომაიამ** იყოჩაღა და კუთხურზე მოიგერია მეტოქის დარტყმული. აი, მეორედ კი ვერც ის გადაარჩენდა გუნდს, მაგრამ მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე სტუმრებს ძელი დაეხმარა.

გამარჯვებამ რუსთაველები სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე ალაზევა, რადგან „ამერმა" „მესხეთთან" დაკარგა ქულები. რუსთაველთათვის მოვლენების სასიკეთოდ განვითარების შემთხვევაში, „ოლიმპს" ალბათ, ინტერტოტოს თასზეც ვიხილავთ. საამისოდ ხვიჩა ქასრაშვილის შეგირდებს 20 მაისს რუსთავში „სპარტაკის" დამარცხება მართებთ, თუმცა შეხვედრამ მასპინძლებისთვის, შესაძლოა, აზრი დაკარგოს. ამ თამაშამდე ოთხი დღით ადრე თასის ფინალია და „ამერის" გამარჯვების შემთხვევაში, „ოლიმპს" ევროპისკენ გამავალი გზა დაეკეტება.

ნიკა გვათუა

# ადგილთან ერთად ბათუმი სტადიონსაც კარგავს

**ბათუმი-ზესტაფონი**

**0:0**

11.05. ბათუმი. ცენტრალური
200 მაყურებელი

ბათუმი: თოთლაძე - ლ. მახარაძე, კ. მახარაძე, გალოგრე, მაკარიანი (55. ზაქარეიშვილი) - ფარტენაძე, ქებაძე, ბ. მახარაძე, დემურაძე - ბეჟანიძე (89. ჩაზმავა), კაკალაძე (86. ტულუში).

*სათადარიგოები: კაკაბაძე, სიხარულიძე, ბედინაძე.*

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - ლობჟანიძე, სანტოსი, ლონლაძე, რ. ონიანი - დაუშვილი, ხიდეშელი (84. თოდუა), ვიეირა (70. იონანიძე), ნ. კვასხვაძე - ბიტოო (გოცირიძე 89), გელაშვილი.

სათადარიგოები: ჭანტურია, აკუასაგა, ტორესი, კესანი.

გაფრთხილება: ფარტენაძე (33); დემურაძე (77).

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი



გურამ ტურაშვილის ფოტო

„ბათუმის" ბოლო მატჩი უმაღლეს ლიგაში და ბოლო „ადელის" სტადიონზე. სანამ მატჩის პერიპეტიებზე ვიტყოდეთ, იმის შესახებ მოგახსენებთ, თუ რა ხდება ბათუმში. პირველი — გუნდს კიდევ ერთი მატჩი დარჩა ჩასატარებელი, მაგრამ უმაღლესი ლიგიდან გავარდნა გარდაუვალია. მართალია, არის საუბრები ეროვნულ ჩემპიონატში გუნდების რაოდენობის გაზრდაზე, მაგრამ ეს მხოლოდ საუბრებია. მეორე — ადრეც ვიუწყებოდით, რომ „ადელის" სტადიონი გაყიდული იყო და ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ის კანონიერი მფლობელის (ვინაობას არ აკონკრეტებენ) საკუთრებაში საბოლოოდ გადავიდოდა. „ეს თამაშიც და ბულდოზერებით მიადგებიან სტადიონს", — სწორედ ეს სიტყვები მითხრა კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

საინტერესო მდგომარეობა იქმნება. თუ ბათუმის „დინამოს" უმაღლეს ლიგაში დატოვებენ, საინტერესოა, სად ჩაატარებს საშინაო შეხვედრებს ზღვისპირული კლუბი?! მოკლედ, ალდგომა და ხვალეო, ნათქვამია და ჩვენც ხვალეს დაველოდოთ.

ახლა კი უშუალოდ მატჩის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი და აუტსაიდერი ხვდებოდნენ, მოედანზე ნამდვილად არ იგრძნობოდა, რომ სტუმრები მასპინძლებს რამეთი სჯობდნენ. თამაში სწრაფ ტემპში დაიწო, თუმცა პირველი, შედარებით სახიფათო მომენტი მხოლოდ მე-20 წუთზე შეიქმნა, ისიც სტუმართა კართან, მაგრამ **კაკალაძეს** კუთხეში დარტყმულ ბურთს მეკარე ნახტომში დაეუფლა. საპასუხო იერიშის დროს **ნ. კვასხვაძემ** მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა საჯარიმოში ბურთი, მაგრამ **სანტოსის** თავური ოდნავ ასცდა მიზანს. 25-ე წუთზე **ვიეირამ** მოსინჯა **თოთლაძის** სიფხიზლე და შორიდან დაარტყა. ერთ წუთში, უკვე **ქებაძემ** დაარტყა ზესტაფონელთა კარის მიმართულებით, მაგრამ **როინ კვასხვაძე** ფხიზლად იდგა. ორიოდ წუთში კვლავ ქებაძის დარტყმული მოიგერია მეკარემ. მე-40 წუთზე **გალოგრეს** თავურ დარტყმას გადაელობა იმერელთა გოლკიპერი და პირველი ტაიმიც 0:0 დასრულდა.

მატჩის მეორე ნახევარში სიტუაცია არ შეცვლილა. ორმხრივი იერიშები ერთმანეთს ცვლიდა, თუმცა ერთადერთი მომენტი, რომლის აღნიშვნაც ღირს, შეცვლაზე შემოსული **ტულუშისა** და **ჩაზმავას** მიერ გათამაშებული კომბინაცია იყო მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე. ტულუში მარჯვენა ფლანგიდან შევიდა საჯარიმოში და ბურთის მეკარის მოედნის სიახლოვეს ჩაჰკიდა, მცველთაგან უყურადღებოდ მიტოვებულმა ჩაზმავამ კარგად დაარტყა, მაგრამ მისი თავური ოდნავ ასცდა მიზანს.

ირაკლი დარცმელიძე
ბათუმიდან

# ბორჯომელები სტუმრებს ვერ დაუხვდნენ

## ბოლნისელები ქურასბედიანს ახალგაზრდულ ნაკრებში უწევენ რეკომენდაციას

**ბორჯომი-სიონი**

**2:5**

11.05. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
300 მაყურებელი

0:1 ავალიანი (8), 0:2 სვანიძე (11. სანიკიძის პასით), 0:3 შავგულიძე (15), 1:3 ბაქრაძე (25), 1:4 ჯიქია (44. სანიკიძის პასით), 1:5 ქურასბედიანი (57), 2:5 ლომიძე (75)

ბორჯომი: დათუაშვილი - გოგოლაძე, გოგიჩაიშვილი (79. ფირცხალავა), გაჩეჩილაძე - თედიაშვილი, ნ. ლომიძე, ნასყიდაშვილი, ხაჩიძე, ხითარიშვილი, როხვაძე - ბაქრაძე

*სათადარიგოები: ოქრომელიძე, ხელისუფალი, ხუციშვილი, იობაშვილი*

სიონი: იაშვილი - კობაური, სვანიძე (67. ბოიომო), შავგულიძე, ქურასბედიანი - ნოზაძე (61. გ ჭელიძე), სანიკიძე (46. კვიტაიოშვილი), ზ. ჭელიძე, ავალიანი, ბაჯელიძე - ჯიქია

*სათადარიგოები: ბობლიაშვილი, ჩასემი, ოქროპირიძე, ვაშაკიძე*

გაფრთხილება: კობაური (35), თედიაშვილმა (86)

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი

**5.** ზაზა ჭელიძის დარტყმული მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

**8.** 0:1 - მასპინძელმა მცველებმა მოიგერიეს საჯარიმოსკენ გაგზავნილი ბურთი, მას დაუხვდა ავალიანი, რომელმაც დამუშავების გარეშე გადაგზავნა მეტოქის კარში.

**11.** 0:2 - სტუმრებმა მარცხენა შუამარბის ადგილიდან მოიპოვეს საჯარიმო დარტყმის უფლება. სანიკიძის გაგზავნილმა ბურთმა უცნაური ტრაექტორია შემოხაზა. სიტუაციას ალლო აულო სვანიძემ და ბურთს იქ დახვდა, სადაც საჭირო იყო.

**15.** 0:3 - შავგულიძემ საჯარიმო დარტყმა პირდაპირ ცხრიანში „ჩასვა".

**23.** ჯიქია-ავალიანის ორსვლიანი კომბინაცია ჯიქიას პირისპირ გასვლით და ახლო მანძილიდან უზუსტო დარტყმით დასრულდა.

**25.** 1:3 - ბაქრაძემ თავით საგოლედ დაარტყა.

**44.** 1:4 - სანიკიძე-ჯიქიას სწრაფი კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა. ფორვარდის დარტყმული ძელს მოხვდა და ისე შევიდა კარში.

**57.** 1:5 - ქურასბედიანმა განახორციელა ეფექტური გარღვევა, რამდენიმე მცველს აუარა გვერდი და ძლიერად დაარტყა. ბორჯომელ მცველს მოხვედრილი ბურთი მასპინძელთა კარში აღმოჩნდა.

**75.** 2:5 - ლომიძე დარჩა პირისპირ იაშვილთან და შანსი ხელიდან არ გაუშვა.

მასპინძლები ერთობ გადახალისებული და შესამჩნევად შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდნენ სათამაშოდ. საამმატჩოდ გუნდი **სუხიაშვილმა** მოამზადა. **ვლადიმერ ხაჩიძე** კიევში გაემგზავრა მწვრთნელთა კურსებზე, ამას გარდა, გუნდს რამდენიმე თბილისელი ფეხბურთელი აკლდა. როგორც კლუბის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, დარჩენილ ერთ მატჩსაც ბორჯომელები ძირითადად ადგილობრივებით ჩაატარებენ.

ასეთ დროს გაცილებით კლასიანი მეტოქე მთლიანად დომინირებდა მოედანზე. ბოლნისელთა უპირატესობა მთელი შეხვედრის განმავლობაში საგრძნობი იყო.

გოლების აღწერას აზრი არ აქვს, სტენოგრამიდანაც ყველაფერი მშვენივრად ჩანს.

ყველაზე მეტად გამოსარჩევი ალბათ, ქურასბედიანის გოლია, რომელსაც ბოლნისელები ახალგაზრდულ ნაკრებში უწევენ რეკომენდაციას.

მერაბ ბრძელიძე
ბორჯომიდან

# მესხეთმა მეექვსე ადგილი გაინაღდა

**ამერი-მესხეთი**

**0:0**

11.05. თბილისი. ამერი
500 მაყურებელი

ამერი: ნადირაშვილი - მჭედლიშვილი, მემარნიშვილი, დავითნიძე, ელბაქიძე - დოლიძე (79. შალამბერიძე), დობროვოლსკი, დეკანოსიძე, ალავიძე (46. სილაგავა) - ტატანაშვილი, დავითაშვილი (61. ჩიმაკაძე).

*სათადარიგოები: ქვაჩახია, მესხი, რ, გოცირიძე.*

მესხეთი: სომხიშვილი, თ. ღონღაძე, კობესაშვილი, ლ. მერებაშვილი, რაქვიაშვილი - მ. თაყაძე, კ. ხანიშვილი (46. ინასარიძე), ლეკიშვილი, კოშკაძე, გვირჯიშვილი (46. სუდაძე) - მუშკუდიანი (65. სამადაშვილი).

*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, თელიაშვილი, ი. თაყაძე.*

გაფრთხილება: მჭედლიშვილი (25), კოშკაძე (34), თ. ღონღაძე (35), მემარნიშვილი (36), მ. თაყაძე (43), ინასარიძე (79)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**6.** დოლიძე მარჯვენიდან შეიჭრა საჯარიმოში, კარგად მოძებნა ტატანაშვილი, მაგრამ ამ უკანასკნელს ბოლო მომენტში მერებაშვილმა აჯობა.

**20.** დეკანოსიძის პასით ტატანაშვილი თავურით შეეცადა ანგარიშის გახსნას, მაგრამ სომხიშვილმა იმარჯვა.

**24.** მუშკუდიანმა ახლო მანძილიდან კარში დაარტყა, მაგრამ ნადირაშვილმა „მკვდარი ბურთი" აილო.

**32.** დავითაშვილმა ტატანაშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა, სომხიშვილმა გამოსვლაზე იმარჯვა და ბურთი მოიგერია. დამატებაზე ისევ ტატანაშვილმა დაარტყა და კიდევ მოიგერია სტუმართა მეკარემ.

**45.** დეკანოსიძის მიერ ჩაწოდებული ბურთი დავითნიძემ თავით გაიტანა, მაგრამ არბირტმა თამაშგარე დააფიქსირა.

**67.** კოშკაძის პასით ინასარიძეს გოლის გატანის ჩინებული შანსი ჰქონდა, მაგრამ ნადირაშვილმა კიდევ ერთი „მკვდარი ბურთი გამოაძრო".

**69.** თაყაძის პასით კოშკაძემ ახლო მანძილიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა, ისევ ნადირაშვიოლმა იმარჯვა.

**87.** დეკანოსიძის მიერ ოსტატურად შესრულებული ჯარიმა მცირე მანძილით ასცდა სტუმართა კარს.



ჩიხრაძე საფინალოდ ემზადება

გუშინდელ მატჩამდე გუნდებს ერთმანეთში ოფიციალურად 3-ჯერ ჰქონდათ ნათამაშები და სამივეჯერ „ამერმა" მოიგო

მასპინძლებს დისკვალიფიკაციის გამო რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ. ამასთან, თასის ფინალისტმა გუშინ რამდენიმე მოთამაშე დაასვენა. მიუხედავად ამისა, წყვილში ფავორიტად მაინც დედაქალაქელები იყვნენ მიჩნეულნი.

პირველ ტაიმში მასპინძლებმა უფრო მეტი ხიფათი შექმნეს. შესვენების შემდეგ ახალციხელები გააქტიურდნენ და რეალური საგოლე მომენტებიც შექმნეს, თუმცა მასპინძელთა მეკარე **ლადო ნადირაშვილმა** სამი „მკვდარი ბურთი" აილო. რადგან გამორჩეულები ვახსენეთ, აქვე გეტყვით, რომ თბილისელთა რიგებში **ტატანაშვილი** და **დიდავა** გამოირჩეოდნენ. სტუმართა შორის კი **კოშკაძე, თაყაძე, რაქვიაშვილი, ლეკიშვილი**...

მატჩის შემდეგ „მესხეთის" პრეზიდენტი **გია მესხელი** აპროტესტებდა, ზუსტად იმ ფეხბურთელებს მისცეს ყვითელი ბარათი, რომლებიც „ვიტ ჯორჯიასთან" დასკვნით ტურში ყველაზე მეტად მჭირდებოდაო. 20 მაისს „ვიტელთა" წინააღმდეგ ახალციხელებს კოშკაძე და თაყაძე დისკვალიფიკაციის გამო არ ეყოლებათ. მათ კიდევ ორი ემატება, **თემურ ღონღაძე** და **ირაკლი კიკნაძე**, „მესხეთში" „ვიტ ჯორჯიიდან" რომ არიან განათხოვრებულნი და ვეტერინათა თანხმობის გარეშე მათ წინააღმდეგ თამაშის უფლება არ აქვთ.

ამ ფრით „მესხეთმა" ცხრილში მეექვსე ადგილი გაინაღდა. ახალციხელები უახლოეს მდევარ „ბორჯომს" უკვე 4 ქულით უსწრებენ.

**დავით ცაგაძე**

**საპარტაკი-დილა**

**3:0**

11.05. გორი. ქართლი
მაყურებელი

**პირველი ტაიმის შემდეგ თამაში შეწყდა, დილას ჩაეთვალა ტექნიკური ნაგება**

1:0 კვარაცხელია (29)

საპარტაკი: ქვილითაია - ქორიძე, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი - დათუნაშვილი, ძარია, კუპრეიშვილი, ტყეშელაშვილი - ხიდაშელი, ვ. კვარაცხელია

დილა: კეჩხუაშვილი - ბალაშვილი, რატიანი, ტლაშაძე, ბალიაშვილი - ი. ლომიძე, აბრამიშვილი, ნ. ნოზაძე, გაგნიძე, ვარდოსანიძე - წინამძღვრიშვილი

არბიტრი: ო. ხეცაძე

# სადაა ხელფასები?

## დილამ ფინიშამდე ვერ მიაღწია

მოდი და ნუ იტყვი ლიგა შესამცირებელი არააო. გორის „დილას" ფეხბურთელები მეორე ტაიმში მოედანზე სათამაშოდ არ გავიდნენ - კლუბის ხელმძღვანელობა სახელფასო დავალიანების დაფარვას ფეხბურთელებს შესვენებისას შეპირდა, მაგრამ პირობა ვერ შეასრულა და... ესეც შენი ლიცენზია.

თბილისის ფეხბურთის ფედერაცია. საპრეზიდენტო არჩევნები

# გრიგოლ ცაავა თბილისური ფეხბურთის პრეზიდენტია

## კეტაშვილი ხმის მიცემამდე წავიდა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ცაავას (მარჯვნივ) ახალკაცმაც მიულოცა

შაბათს, 10 მაისს, ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა და საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. ყრილობას თფფ-ის გენერალური მდივანი **რევაზ მგელაძე** უძღვებოდა. პრეზიდენტობის კანდიდატი ორი იყო - **გრიგოლ ცაავა** და **გელა კეტაშვილი**. ყრილობის დელეგატებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი, რეგლამენტი და ხმის დამთვლელი კომისია **მიხეილ ბახტაძის** თავმჯდომარეობით. კომისიაში პრეზიდენტობის ორივე კანდიდატის თითო წარმომადგენელი შევიდა, გრიგოლ ცაავას მხრიდან „ამერის" დელეგატი **გიორგი კაკუშაძე**, ხოლო გელა კეტაშვილის მხრიდან „იბერიას" დელეგატი **ელგუჯა გუზიტაშვილი.**

პრეზიდენტობის კანდიდატებს 10-10 წუთით მიეცათ სალაპარაკოდ. დამატებით კი 5-5 წუთი გამოუყვეს დასმულ კითხვებზე საპასუხოდ. ამას გარდა, პრეზიდენტობის კანდიდატთა მომყოლ 5-5 სტუმარს 3-3 წუთი მისცეს სასაუბროდ.

სიტყვა ჯერ გრიგოლ ცაავას მიეცა, რადგანაც მან პირველმა გაიარა რეგისტრაცია. ცაავას შემდეგ გელა კეტაშვილის ჯერი, რომელმაც ხმაურიანი განცხადება გააკეთა.

*„მე და გრიგოლ ცაავა დიდი ხნის მეგობრები ვართ. ჩემს მხარდამჭერ დელეგატებზე ზეწოლა იყო. ეს დადგმული შოუა და მასში მონაწილეობას არ მივიღებ..."* - განაცხადა კეტაშვილმა. ბუნებრივია, მას სთხოვეს დაეკონკრეტებინა მის მხარდამჭერ დელეგატთაგან თუ ვისზე იყო ზეწოლა, მაგრამ გელა კეტაშვილმა დაკონკრეტება არ ისურვა. კეტაშვილმა დარბაზი დატოვა და გასვლამდე საჯაროდ განაცხადა - ჩემი მომხრე ვინც ხართ, გამომყევითო, მაგრამ არავინ გაჰყვა.

ამის შემდეგ კი ხმის მიცემის პროცედურა შედგა. 27 დელეგატიდან 26-მა გრიგოლ ცაავას მისცა ხმა. ერთადერთი ვინაც თავი შეიკავა, „საბურთალოს" დელეგატი **კახა ამირიძე** იყო. ასე რომ, გრიგოლ ცაავა თითქმის ერთხმად, 4 წლის ვადით აირჩიეს თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად.

ამას მცირე ხნით შესვენება მოჰყვა. ბოლოს კი თფფ-ის ახალი, 19 პირისგან შემდგარი ალმასკომი დაამტკიცეს. იქვე გაიმართა ახალარჩეული ალმასკომის პირველი სხდომა, რომელზეც გრიგოლ ცაავამ 2 კვირა ითხოვა ვითარებაში გარკვევის, გეგმისა და კონცეფცის წარდგენისათვის.

*„პირველ რიგში, დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო სრული მხარდაჭერისთვის. ადრეც ალვნიშნე და კიდევ ერთხელ ხაზი მინდა გავუსვა, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. საქართველოს საფეხბურთო რუკაზე თბილისი ყველაზე მსხვილი რეგიონია და შესაბამისად, დიდი გარჯა მომიწევს ამ პოსტზე მუშაობისას.*

*ორკვირიანი პაუზა ვითხოვე, ვითარებაში გავერკვევი, პრობლემებს შევისწავლი, პრიორიტეტებს განვსაზღვრავ. ის პროგრამა, რაც ყრილობაზე წავიკითხე, უნდა განვახორციელო. ჩემს ხალხთან და საკუთარ თავთან ყოველთვის მართალი ვიყავი და ახლაც ასე იქნება.*

*გელა კეტაშვილთან ჯერ არ მისაუბრია. გელა ჩემი მეგობარია და მის აზრს ყოველთვის პატივს ვცემ"*, - „ლელოსთან" საუბარში აღნიშნა გრიგოლ ცაავამ.

**დავით ცაგაძე**

# ჩვენ მწვრთნელი დიქტატორი გვჭირდება

## ხიზანიშვილს ივანკოვიჩი ესიმპატიურება

**ზურაბ ხიზანიშვილი** საქართველოს ნაკრებში დაბრუნებას აპირებს და მთავარმწვრთნელობის ყველაზე რეალური კანდიდატის, ბრანკო ივანკოვიჩისადმი კეთილგანწყობას არ მალავს.

ზურას პრემიერლიგის ბოლო ტურის მატჩამდე გავესაუბრეთ - "ბლექბერნი" სეზონს სტუმრად "ბირმინგემთან" მატჩით ასრულებდა.მან ისეთი დეტალები გაგვიმხილა სანაკრებო და კონკრეტულად მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ვფიქრობთ, "ლელოს" მკითხველს დააინტერესებს.



**- ზურა, ცნობილია რომ ჩრდილო ირლანდიასთან მატჩამდე ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობას უნდა შეხვედროდი და შეხვდი კიდეც. თუმცა მას შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ "ხიზანიშვილი-ფედერაციის" საკითხი დაიჩრდილა. იქნებ გვითხრა, რაზე ისაუბრეთ, რა აზრამდე მიხვედით და საერთოდ, შერიგდით?**

- ყველას ვესაუბრე, ვისაც ჩემს მიმართ პრეტენზია ჰქონდა და ვისთანაც, იმ დროისთვის, გარკვეული კითხვები მქონდა დაგროვილი. უფრო მეტად ტოპმიოლერთან საუბარი მსურდა და საამისო დრო ორივემ გამოვნახეთ.

**- დაძაბული საუბარი გქონდათ?**

- საკმაოდ, მაგრამ საბოლოოდ, საერთო ენა მაინც გამოვნახეთ. ასე იყო ნოდარ ახალკაცთანაც, მაგრამ მასთან მე საპრეტენზიო ნაკლებად მქონდა. მთავარი იყო გამეგო, რას მერჩოდა ტოპმიოლერი, რადგან შემადგენლობას ის აყენებდა და არა ფედერაციის პრეზიდენტი.

**- ტოპმიოლერი უკვე აქტუალური აღარაა. რაც მთავარია, ნოდარ ახალკაცთან შერიგდი?**

- კი, ასეა. ბოლოს და ბოლოს, მე პოლემიკა და პრობლემები კი არა, ნაკრებში თამაში მსურს. ამიტომაც გავბრაზდი. სხვათა შორის, ვერ ვიტყვი, რომ ტოპმიოლერმა მომიბოდიშა, მაგრამ მის საუბარში უკან დახევა და სინანული დავინახე, ჩვენი ურთიერთობები რომ ასე დაიძაბა. მეც ასე მოვიქეცი, ბოლმა არასდროს ვყოფილვარ და ნაკრებში თამაში მსურდა. ერთი სიტყვით, შევრიგდით, მაგრამ ბელფასტში მაინც ვერ ვითამაშე.

**- სხვათა შორის, კითხვები სწორედ ამან წარმოქმნა, რატომ ვერ ითამაშე?**

- დიდი რისკი იყო, რომ ნატკენი მუხლი გამილიზიანდებოდა. ჩრდილო ირლანდიასთან მატჩამდე ერთი კვირით ადრე, „ნიუკასლთან" მატჩში დავშავდი და საკმაოდ მაწუხებდა. გარისკვას მოვერიდე და მწვრთნელმაც ასე მირჩია.

**- ახალკაცთან საუბარი გავიხსენოთ...**

- ბელფასტში ფედერაციის ხელმძღვანელობას ყველა ის ფეხბურთელი ვესაუბრეთ, რომლებსაც ბოლო რამდენიმე შეხვედრაში ტოპმიოლერი არ გვიწვევდა. მაგალითად, იგივე იაშვილი. საბოლოოდ, ახალკაცთან საერთო ენა გამოვნახეთ.

**- ტოპმიოლერი უკვე წარსულია. ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. ხორვატი ბრანკო ივანკოვიჩის დანიშვნა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.. თუ იცი რაიმე მასზე და საერთოდ, რა წარმოდგენა გაგაჩნია?**

- ივანკოვიჩთან არასდროს მიმუშავია, არც ისეთ ფეხბურთელს ვიცნობ, რომელიც მისი ხელმძღვანელობით თამაშობდა. მეც ქართული გაზეთებით ვეცნობი სიახლეებს და სიმართლე გითხრათ, რალაცით, ივანკოვიჩისადმი სიმპათიით განვეწყვე.

**- ასეთი რა მოგეწონა?**

- წინასწარ ძნელია რომელიმე მწვრთნელზე კარგის ან ცუდის თქმა. ასე ხდებოდა ადრე, ჩამოვიყვანდით უცხოელს, ცაში ავიყვანდით და გვეგონა, რომ მწვერვალებს დავიპყრობდით. მერე კი საშინელი იმედგაცრუებულები ვრჩებოდით – ვერც ერთმა ვერ გაამართლა. არ მინდა, ახლაც ასე მოგვივიდეს და ფრთხილად ვისაუბრებ.

და მაინც, ამ სპეციალისტის მიმართ დადებითად განვეწყვე. მას ნაკრებში უმუშავია, ხორვატიაში, ირანში, იცის სანაკრებო სფეციფიკა, წარმატებისთვის მიულწევია, ანუ მწვრთნელად ვარგა.

დღევანდელი გადასახედიდან მეჩვენება, რომ ურიგო გადაწყვეტილება არაა. საქართველოს ნაკრები რთულად პროგნოზირებადი გუნდია, არავინ იცის, ივანკოვიჩი როგორ იმუშავებს, იქნებ, მანაც იმედები გაგვიცრუოს, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ჩვენთვის საჭირო კაცია.

**- შენი აზრით, საქართველოს ნაკრებში ძალიან მკაცრი მწვრთნელი გაამართლებს? ივანკოვიჩს სწორედ ასე ახასიათებენ.**

- გააჩნია, რა საკითხებშია მკაცრი. თუ მობილურზე და ჭამის დროს საუბარი აგვიკრძალა, ასეთი რამ ყოველთვის უკურეაქციას იწვევს და გუნდში ვითარებას უაზროდ ძაბავს. მთავარია, მხოლოდ ცხოვრებისეულ საკითხებში არ იყოს მკაცრი, ასეთივე იყოს მოედანზეც (იცინის), ნაკრებში ბევრი მწვრთნელი გვინახავს, ბევრი "შიზიკიც" იყო, ათასგვარი კაპრიზი და უაზრო გართულ;ება ჰქონიათ. ამას შედეგი არასდროს მოუტანია. თუმცა მკაცრი მწვრთნელი ნაღდად საჭიროა. ჩვენ დიქტატორი მწვრთნელი გვჭირდება, გუნდში დისციპლინა და წესრიგი რომ დაამყაროს. სხვანაირი ვერ გაამართლებს. ქართველებს ასეთი ბუნება გვქონია – გვიყვარს ისეთი, ვინც გუნდს ხელში დაიჭერს. თუმცა ვიმეორებ, სიმკაცრე მოედანს უნდა ეხებოდეს და არა ცხოვრებისეულ დეტალებს. მაგალითად, მწვრთნელთან სიცილი უდისციპლინობაა და მსგავსი წვრილმანები.

**- საკლუბო საკითხებზეც ვისაუბროთ. რატომღაც, ბოლო ტურებში აღარ თამაშობ. მწვრთნელი აღარ გენდობა თუ "ნიუკასლთან" მიღებული ტრავმა საბოლოოდ ვერ მოირჩინე?**

- ამანაც თავის კვალი დამატყო. ჯერ ტრავმის გამო ვერ ვთამაშობდი, მერე ფორმის აღდგენა დამჭირდა და ბოლოს რატომ აღარ მათამაშეს, ნაღდად არ ვიცი. ვნახოთ, იქნებ. "ბირმინგემთან" მაინც ვითამაშო.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონის უქმეები

# ჯაბაგოლი და აცილებული პენალტი



კახა კალაძე

ც ოტაც და ევროპის ქვეყნების უმეტესობაში საფეხბურთო სეზონი დასრულდება, ან ევროპის პირველობისთვის პაუზას აილებს. ამ უქმეებზე ქართველ ლეგიონერთა მონაგარს მაინცდამაინც უხვი არ ეთქმის. ეგრეთ წოდებული ტოპ-ლიგებიდან, ერთადერთი, დავით სირაძეს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ პენალტი ააცილა. სამაგიეროდ, მოლდოვაში ზედიზედ მეორე ტურია, „დაჩიას" ფორვარდი ჯაბა დვალი დუბლს ასრულებს, ამჯერად, მან „ოლიმპია" დაამწუხრა...

## შალკე იბრძოლებს, კობი გამოჩნდა

**ლევან კობიაშვილის** „შალკე" ბოლომდე იბრძვის ბუნდესლიგის მეორე ადგილისთვის. ბოლოსწინა ტურში ქართველი ნახევარმცველის გუნდმა „აინტრახტი" შინ 1:0 დაამარცხა. ბოლო უქმეებზე „ხუმარები" გადარჩენისთვის თავგადადებულ „ნიურნბერგს" ეწვევიან. ლევანი, **ივან რაკიტიჩის** ნაცვლად, 84-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე. „შალკეს" 61 ქულა აქვს და „ვერდერს" ორი პუნქტით ჩამორჩება. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" კი „ბოხუმთან" შინ 1:3 დამარცხდა. ქართველმა 90 წუთი ითამაშა და, სამწუხაროდ, „შპორტალისგან" 5 ქულა მიიღო. „კარლსრუე" 43 ქულით მეათეა.

მეორე ბუნდესლიგის ბოლოსწინა ტურში ერთადერთმა ქართველმა ლეგიონერმა ითამაშა: უკვე გავარდნილი „კარლ ცაისი" შინ „კაიზერსლაუტერნთან" დაზავდა (2:2). **ილია კანდელაკმა** კი 90 წუთი დაჰყო მოედანზე. „შპორტალმა" მისი გარჯა 4.5 ბალით შეაფასა.

## შოთა: იქნებ, ბერნაბეუზე...

სერია A-ში, მილანურმა გუნდებმა საკუთარ თავს პრობლემები ძირითადად თავადვე შეუქმნეს. „მილანი" ნეაპოლში 1:3 დამარცხდა და მეოთხე ადგილი (რომელიც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურს იძლევა) დაკარგა. **კახა კალაძემ** შეუცვლელად ითამაშა. სხვადასხვა გამოცემებისგან მან 5 („გაძეტა"), 5.5 („დატასპორტი") და 6 („ლა ვოჩე დ'იტალია") ქულა დაიმსახურა.

თუ იტალიაში კიდევ ერთი ტურია სათამაშო, ინგლისური პრემიერლიგის ეს სეზონი უკვე წარსულს ჩაბარდა. „ბირმინგემთან" 1:4-ზე წაგებულ შეხვედრაში **ზურაბ ხიზანიშვილი** სათადარიგოთა სკამზე იჯდა. **შოთა არველაძეს** ტრავმამ არ მისცა საშუალება, ვალენსიურ დერბიში ბურთი გაეგორებინა. თუმცა ბოლო ტურში „ლევანტე" „სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშობს და არ არის გამორიცხული, შოთამ ლეგენდარულ არენაზე მაინც ითამაშოს...

## იაშვილი მიდის, ივანიშვილი მოდის

გასული სეზონის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი **სანდრო იაშვილი** შვეიცარიის სუპერლიგას სათადარიგოთა სკამიდან დაემშვიდობა. მისმა „თუნმა" 27 ქულით ბოლო ადგილზე დაასრულა ჩემპიონატი, თავად სანდრომ კი 24 მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. თუმცა მომავალ სეზონში შვეიცარიული ლიგა უქართველოდ მაინც არ იქნება. ბოლო უქმეებზე „თუნი"-"ციურიხის" (1:1) შეხვედრის განაცხადში კიდევ ერთი ჩვენებური იყო: სტუმართა სკამზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი **გიორგი ივანიშვილი** იჯდა, რომელიც ახალი სეზონიდან ჩემპიონატის მესამეადგილოსანი კლუბის ძირითად გუნდში შეეცდება ადგილის დამკვიდრებას.

ლიდერ „კაპფენბერგთან" სტუმრად მარცხის (2:3) შემდეგ, **მირზა ბლაჟავას** ლუსტენაუს „აუსტრია" მეოთხე ადგილზე დაეშვა, არადა ორიოდ ტურის წინათ, ეს გუნდი ავსტრიულ ბუნდესლიგაში გადასვლაზე აცხადებდა პრეტენზიას. „კაპფენბერგთან" შეხვედრაში ქართველმა 90 წუთი ითამაშა და მსაჯისგან ყვითელი ბარათიც დაიმსახურა.

## გაფრენილი პენალტი

რუსული პრემიერლიგის მეათე ტურში, სეზონში მეორედ, სტუმრად კი პირველად, დამარცხდა ყაზანის „რუბინი", სადაც ქართველ ლეგიონერთაგან რეგულარულად **დავით კვირკველია** თამაშობს. „რუბინი" რუსეთში კიდევ ერთ „ქართულ" გუნდს, ნალჩიკის „სპარტაკს" ეწვია და 0:2 წააგო. **გოგიტა გოგუა** მატჩს დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა. საინტერესოა, რომ პირველ ათ ტურში მის თავს ეს უკვე მეორე შემთხვევაა. **ალექსანდრე ამისულაშვილმა** სრულად ითამაშა, **დავით სირაძე** კი მატჩის მიწურულს გამოჩნდა. სხვათა შორის, ქართველი ფორვარდი საკმაოდ აქტიურიც იყო: მან ჯერ ყვითელი ბარათი მიიღო, შემდეგ კი მცველს ბურთი მოჰპარა და მასპინძელთათვის პენალტი მოინადირა. 11-მეტრიანი თავად დაზარალებულმა შეასრულა და... ბურთი კარს ზემოდან გადააცილა. ასე გაუშვა მან ხელიდან შესანიშნავი შანსი, „სპარტაკში" საგოლე ანგარიში გაეხსნა. მეორე ტაიმში სტუმართა მწვრთნელმა კვირკველია გაიყვანა.

მოსკოვის „ლოკომოტივის" სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა უჭირს **მალხაზ ასათიანს**, რომელიც „ტომსკთან" მატჩში რეზერვისტებს შორის იყო, ისევე, როგორც მისი თანამემამულე **დავით მუჯირი**. თუმცა, ამ უკანასკნელს, ასათიანისგან განსხვავებით, მატჩის მიწურულს თამაში მაინც მოუწია. „რუბინი" 24 ქულით კვლავ ლიდერობს, „ლოკომოტივი" 18 ქულით მესამეა, „სპარტაკი" 13 ქულით მერვე ადგილზეა.

## დემეტრაძე სკამს დაუბრუნდა

უკრაინის ვიშალიგაში ერთი ტურილა დარჩა გასამართი. ქართველთა გუნდებიდან ყველაზე უკეთ „დნიპრო" ასპარეზობს. **ჯაბა კანკავა** და კომპანია ზაპოროჟიეში „მეტალურგს" დაუზავდა - 0:0. კანკავა მეორე ტაიმში გავიდა მოედანზე, **სანდრო კობახიძეს** კი არ უთამაშია. „დნიპრო" 58 ქულით მეოთხე ადგილზეა და ჩემპიონატსაც ამ ადგილზე დაასრულებს. ძალიან უჭირს **კახა ალადაშვილის** „ხარკივს", რომელსაც „შახტარმა" იოლად აჯობა - 3:0. „ხარკივს" 26 ქულა აქვს და გასავარდნ ზონასთან მხოლოდ ერთი ქულა აშორებს. კახამ 90 წუთი ითამაშა, თუმც ჩვეულად აქტიური ვერ იყო.

„ზარია" შინ 2:3 დამარცხდა „ტავრიასთან" და კვლავ გაირთულა სატურნირო მდგომარეობა. **გიორგი ციმაკურიძემ** 77-ე წუთამდე ითამაშა, **ლადო ბურდული** განაცხადშიც არ ყოფილა. სამაგიეროდ, დიდი შესვენების შემდეგ, განაცხადში არსენალელი **გიორგი დემეტრაძის** გვარი გამოჩნდა.

## ქეცბაია ოქროს დუბლს უმიზნებს

კვიპროსის ჩემპიონატი დასრულდა. ბოლო ტურში, დიდი ხნის წინათ გაჩემპიონებულმა „ანორთოსისმა", აპოელ-ს 3:0 მოუგო. **კობა წიტაიშვილი** სასტარტოში იყო. ინტერტოტოს თასის საგზური მოიპოვა **ლევან მაღრაძის** „აპოლონმა", **ლევან ქებაძის** (10 გოლი სეზონში) „ეთნიკოსმა" კი მარათონი მე-7 ადგილზე დაასრულა. „ანორთოსისი" თასის ფინალშია გასული. ასე რომ, **თემურ ქეცბაია** ოქროს დუბლს უმიზნებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XXXIII ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე-აინტრახტი | 1:0 | 6 წთ. (შეცვლაზე) | 12 თ. 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე-ბოხუმი | 1:3 | 90 წუთი | 27 თ. 1 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XXXIII ტური | | | | |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი-კაიზერსლ. | 2:2 | 90 წუთი | 18 თ. 0 გ. |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი-კაიზერსლ. | 2:2 | არ უთამაშია | 12 თ. 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი-კაიზერსლ. | 2:2 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | გლადბახი-ფრაიბურგი | 2:3 | არ უთამაშია | 2 თ. 0 გ. |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-ოსნაბრიუკი | 1:1 | ტრავმა | 13 თ. 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა. XXXVIII ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბირმინგემი-ბლექბერნი | 4:1 | სათადარიგო | 12 თ. 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა დივიზიონი. XXXVI ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე-ვალენსია | 1:5 | არ უთამაშია | 3 თ. 0 გ. |
| **იტალია** | | | | |
| სერია A. XXXVII ტური | | | | |
| კახა კალაძე | ნაპოლი-მილანი | 3:1 | 90 წუთი | 26 თ. 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა. XXXVI ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი-ციურიხი | 1:1 | სათადარიგო | 24 თ. 1 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა. XXVIII ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი-ლუნგბიუ | - | დღეს | 9 თ. 0 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ერსტე ლიგა. XXXIII ტური | | | | |
| მირზა ბჟალავა | კაპფენბერგი-აუსტრია ლ. | 3:2 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 12 თ. 0 გ. |
| **ჩეხეთი** | | | | |
| გამბრინუს ლიგა. XXIX ტური | | | | |
| გიორგი განუგრავა | მლადა-სლავია | 0:2 | არ უთამაშია | 2 თ. 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერ ლიგა. X ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | სპარტაკი ნ.-რუბინი | 2:0 | დისკვალიფიკაცია | 8 თ. 0 გ. |
| დავით სირაძე | სპარტაკი ნ.-რუბინი | 2:0 | 13 წთ. (შეცვლაზე), პენ. აც. | 9 თ. 0 გ. |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | სპარტაკი ნ.-რუბინი | 2:0 | 90 წუთი | 10 თ. 0 გ. |
| ლევან გვაზავა | ლუჩი | - | გუნდს არ უთამაშია | 9 თ. 1 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი-ტომსკი | 2:0 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი-ტომსკი | 2:0 | 6 წთ (შეცვლაზე) | 2 თ. 0 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | სპარტაკი ნ.-რუბინი | 2:0 | არ უთამაშია | 4 თ. 0 გ. |
| დავით კვირკველია | სპარტაკი ნ.-რუბინი | 2:0 | 73 წთ. (შეცვალეს) | 10 თ. 2 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | სპარტაკი ნ.-რუბინი | 2:0 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა. XXIX ტური | | | | |
| ჯაბა კანკავა | მეტალურგი ზ.-დნიპრო | 0:0 | 34 წთ. (შეცვლაზე) | 20 თ. 3 გ. |
| ალექსანდრ კობახიძე | მეტალურგი ზ.-დნიპრო | 0:0 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | კრივბასი-არსენალი | 0:0 | სათადარიგო | 18 თ. 3 გ. |
| ლადო ბურდული | ზარია-ტავრია | 2:3 | არ უთამაშია | 17 თ. 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია-ტავრია | 2:3 | 77 წთ. (შეცვალეს) | 5 თ. 1 გ. |
| კახა ალადაშვილი | ხარკივი-შახტარი | 0:3 | 90 წუთი | 17 თ. 0 გ. |
| ლაშა ჯაკობია | დინამო-ვორსკლა | 2:1 | არ უთამაშია | 3 თ. 0 გ. |
| **კვიპროსი** | | | | |
| A დივიზიონი. VII რაუნდი | | | | |
| ლევან ქებაძე | ეთნიკოსი-ენოსისი | 4:3 | არ უთამაშია | 10 გ. |
| ლევან მაღრაძე | აპოლონი-აპოპ | 2:2 | 45 წთ. (შეცვლაზე) | 0 გ. |
| კობა ნიტაიშვილი | ანორთოსისი-აპოელი | 3:0 | 63 წთ. (შეცვალეს) | 2 გ. |



მარცხნიდან: დავით მუჯირი და მალხაზ ასათიანი ლოკომოტივის სათადარიგოთა სკამზე




## ჩელსი–ბოლტონი 1:1

**ჩელსი:** ჩეხი, ეშლი კოული, ტერი (14. ბელეტი), ალექსი, ჯო კოული (78. ობი მიკელი), ლემპარდი, ესიენი, მალუდა, მაკელელე (46. შევჩენკო), ბალაკი, დროგბა.

**ბოლტონი:** ალ-ჰაბსი, სამუელი, ენდრიუ ობრაიენი, სტეინსონი, კაჰილი, ჯოი ობრაიენი, მეტიუ ტეილორი, ნოლანი, მაკენი, კევინ დევისი, დიუფი (69. იანაკოპულოსი).

**გოლები:** 1:0 შევჩენკო (62), 1:1 კევინ დევისი (90).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 19(12)-6(4); **ჯარიმა:** 12-8; **კუთხური:** 9-2; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 41 755

## ვიგანი–მანჩესტერ იუნ. 0:2

**ვიგანი:** კერკლანდი, ბოისი, ბრემბლი, შარნერი, ფიგეროა, მაიკლ ბრაუნი (81. კინგი), კუმასი, ვალენსია, პალასიოსი, მარკუს ბენტი (70. სიბირსკი), ჰესკი.

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, რიო ფერდინანდი, ვესლი ბრაუნი, ევრა, ვიდიჩი, ქერიკი, სქოულზი (67. ჰარგრივსი), რონალდო, რუნი, პარკი (68. გიგზი), ტევესი.

**გოლები:** 0:1 რონალდო (33-პენ), 0:2 გიგზი (80).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 15(6)-11(6); **ჯარიმა:** 10-5; **კუთხური:** 5-12; **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 25 133

## ბირმინგემი–ბლექბერნი 4:1

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, რიჯველი, დევიდ მერფი, კელი, ჯაიდი, დემიენ ჯონსონი (73. ნაფტი), კაპო (87. მაკშეფრი), ლარსონი, მუამბა, ფორსელი (69. ჯერომი), სარატე.

**ბლექბერნი:** ფრიდელი, უორნოკი (49. მაკარტი), ნელსენი, სამბა, რიდი, პედერსენი (67. თუგაი), ფოგელი (67. დევიდ დანი), ემერტონი, ბენტლი, რობერტსი, სანტა კრუსი.

**გოლები:** 1:0 დევიდ მერფი (31), 1:1 პედერსენი (49), 2:1 ჯერომი (73), 3:1 ჯერომი (89), 4:1 მუამბა (90).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 15(7)-14(9); **ჯარიმა:** 16-11; **კუთხური:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 26 668

## დერბი–რედინგი 0:4

**დერბი:** ქეროლი, მიერსი, მური, ნიატანგა, სევიჯი (46. ფაილჰაბერი), სტერჯოვსკი (46. ედვორთი), ლიუისი, გალი, ჯოუნსი, მილერი, ვილია (63. სიმონსი).

**რედინგი:** ჰანემანი, მერტი, შორი, ინგიმარსონი, დაბერი, ჯეიმს ჰარპერი (86. ბიკი), ჰანტი, ოსტერი, მატეიოვსკი (83. კალიფა სისე), კიტსონი (66. დოილი), ლიტა.

**გოლები:** 0:1 ჰარპერი (15), 0:2 კიტსონი (61), 0:3 დოილი (69), 0:4 ლიტა (90).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 6(2)-11(7); **ჯარიმა:** 17-13; **კუთხური:** 2-0; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 33 087

## ევერტონი–ნიუკასლი 3:1

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჟაგიელკა, ლესკოტი, ფილ ნევილი, იობო (85. ბაინესი), კარსლი (90. როდველი), ოსმანი, პიენაარი, მანუელ ფერნანდესი, იაკუბუ, ანიჩებე (85. გრავესენი).

**ნიუკასლი:** ჰარპერი, სტივ ტეილორი (90. რემიჯი), ბეიე, ფაიე (46. კასაპა), ხოსე ენრიკე (79. ლუალუა), სმიტი, ბატი, ნზოგბია, დაფი, ოუენი, ქეროლი.

**გოლები:** 1:0 იაკუბუ (28), 1:1 ოუენი (47-პენ), 2:1 ლესკოტი (70), 3:1 იაკუბუ (82-პენ).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 20(12)-3(2); **ჯარიმა:** 11-13; **კუთხური:** 6-2; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 39 592

## მიდლსბრო–მანჩესტერ სიტი 8:1

**მიდლსბრო:** შვარცერი, ლუკ იანგი (75. მაკმაჰონი), რიგოტი, პოგატეცი, ვიტერი, არკა (62. ადამ ჯონსონი), ჯორჯ ბოატენგი, როშემბაკი, დაუნინგი, აფონსო ალვეში, თუნჯაი (62. ალიადიერი).

**სიტი:** ისაკსონი, რიჩარდ დანი, ბოლი, სუნი, გარიდო, კორლუკა, მარტინ პეტროვი (71. ელანო), ირლანდი, ჟელსონი, ვასელი (62. ჰამანი), მვარუვარი (13. კასტილიო).

**გოლები:** 1:0 დაუნინგი (16-პენ), 2:0 ალვეში (37), 3:0 დაუნინგი (58), 4:0 ალვეში (60), 5:0 ადამ ჯონსონი (70), 6:0 როშემბაკი (80), 7:0 ალიადიერი (85), 7:1 ელანო (87), 8:1 ალვეში (90).

**გაძევება:** რიჩარდ დანი (15. მანჩესტერ სიტი)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 19(15)-8(2); **ჯარიმა:** 10-9; **კუთხური:** 7-0; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 27 613

## პორტსმუთი–ფულჰემი 0:1

**პორტსმუთი:** ეშდაუნი, ჰრეიდარსონი, დესტენი, პამარო, გლენ ჯონსონი, უტაკა, პედრო მენდესი (73. შონ დევისი), კრანჩარი, ლასანა დიარა (83. მუნტარი), დეფო, კანუ (73. ბაროში).

**ფულჰემი:** კელერი, კონჩესკი, ჰიუზი, სტალტერი, ჰანგელანდი, ბულარდი, დენი მერფი, საიმონ დევისი, დემპსი (72. ნევლანდი), მაკბრაიდი, დიომანსი კამარა (85. ანდრეასენი).

**გოლები:** 0:1 დენი მერფი (76)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 16(9)-7(4); **ჯარიმა:** 13-11; **კუთხური:** 5-6; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 20 532

## სანდერლენდი–არსენალი 0:1

**სანდერლენდი:** ფულოპი, ნოსვორთი, კოლინსი, ევანსი, რიდი, ედვარდსი (71. მილერი), უაითჰედი, იორკი (75. ჩოპრა), უოლესი, ლიდბიტერი, ჯოუნსი (46. ოდონოვანი).

**არსენალი:** ფაბიანსკი, სენდეროსი, ებუე (81. რენდალი), კლიში, ჯურუ, ჟილბერტო, სონგი, დენილსონი, ადებაიორი, უოლკოტი, ბენდტნერი (81. ტრაორე).

**გოლები:** 0:1 უოლკოტი (24)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 13(4)-12(8); **ჯარიმა:** 14-12; **კუთხური:** 3-4; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 47 802

## ტოტენჰემი–ლივერპული 0:2

**ტოტენჰემი:** ჩერნი, ვუდგეიტი, დოსონი (75. დარენ ბენტი), ჰატონი, ჟილბერტო, ჯენასი (46. ჰადლსტონი), მალბრანკი, ზოკორა, ოჰარა (46. ტაინიო), რობი კინი, დერბატოვი.

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, არბელოა, შკრტელი, ინსუა, ჯერარდი, მასკერანო, კუიტი (80. ლუკას ლეივა), ტორესი, ვორონინი (71. ფინენი), ბაბელი (59. ბენაიუნი).

**გოლები:** 0:1 ვორონინი (69), 0:2 ტორესი (74).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 6(3)-18(12); **ჯარიმა:** 11-9; **კუთხური:** 8-4; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 36 063

## ვესტ ჰემი–ასტონ ვილა 2:2

**ვესტ ჰემი:** გრინი, ნილი, მაკარტნი (46. პანტსილი), ანტონ ფერდინანდი, ტომკინსი, პარკერი, სოლანო (80. სიერსი), ნობლი, ეშტონი, ზამორა (73. კარლტონ კოული), ბოა მორტე.

**ვილა:** კარსონი, მელბერგი, ნაიტი, ლაურსენი, ბუმა, სტილიან პეტროვი, ბერი, რეო-კოკერი, ქერიუ (87. ჰერვუდი), იანგი, აგბონლაჰორი.

**გოლები:** 1:0 სოლანო (8), 1:1 იანგი (14), 1:2 ბერი (58), 2:2 ეშტონი (88).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 16(8)-13(8); **ჯარიმა:** 9-21; **კუთხური:** 7-8; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 34 969

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ | 38 | 27 | 6 | 5 | 80-23 | 87 |
| 2. ჩელსი | 38 | 25 | 10 | 3 | 65-26 | 85 |
| 3. არსენალი | 38 | 24 | 11 | 3 | 74-31 | 83 |
| 4. ლივერპული | 38 | 21 | 13 | 4 | 67-28 | 76 |
| 5. ევერტონი | 38 | 19 | 8 | 11 | 55-33 | 65 |
| 6. ასტონ ვილა | 38 | 16 | 12 | 10 | 71-51 | 60 |
| 7. ბლექბერნი | 38 | 15 | 13 | 10 | 50-48 | 58 |
| 8. პორტსმუთი | 38 | 16 | 9 | 13 | 48-40 | 57 |
| 9. მანჩესტერ სიტი | 38 | 15 | 10 | 13 | 45-53 | 55 |
| 10. ვესტ ჰემი | 38 | 13 | 10 | 15 | 42-50 | 49 |
| 11. ტოტენჰემი | 38 | 11 | 13 | 14 | 66-61 | 46 |
| 12. ნიუკასლი | 38 | 11 | 10 | 17 | 45-65 | 43 |
| 13. მიდლსბრო | 38 | 10 | 12 | 16 | 43-53 | 42 |
| 14. ვიგანი | 38 | 10 | 10 | 18 | 34-51 | 40 |
| 15. სანდერლენდი | 38 | 11 | 6 | 21 | 36-59 | 39 |
| 16. ბოლტონი | 38 | 9 | 10 | 19 | 36-54 | 37 |
| 17. ფულჰემი | 38 | 8 | 12 | 18 | 38-60 | 36 |
| 18. რედინგი | 38 | 10 | 6 | 22 | 41-66 | 36 |
| 19. ბირმინგემი | 38 | 8 | 11 | 19 | 46-62 | 35 |
| 20. დერბი | 38 | 1 | 8 | 29 | 20-89 | 11 |

**ბომბარდირები:** 31 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 24 - ადებაიორი (არსენალი), ფერნანდო ტორესი (ლივერპული); 19 - სანტა კრუსი (ბლექბერნი); 15 - აიეგბენი (ევერტონი), ბენჯანი (მანჩესტერ სიტი), ბერბატოვი (ტოტენჰემი), კინი (ტოტენჰემი); 14 - ტევესი (მანჩესტერ იუნ); 13 - კარიუ (ასტონ ვილა); 12 - რუნი (მანჩესტერ იუნ), დეფო (პორტსმუთი).

### ჩემპიონატი

**პლეიოფი**

| | |
|---|---|
| კრ. პარასი-ბრისტოლი | 1:2 |
| უოტფორდი-ჰალი | 0:2 |

### II დივიზიონი

**პლეიოფი**

| | |
|---|---|
| დარლინგტონი-როჩდეილი | 2:1 |
| უიკომბი-სტოკპორტი | 1:1 |

ინგლისი. პრემიერლიგა. ბოლო ტური

# მანჩესტერი ჩემპიონია, ჩელსი რევანშს მოსკოვში აპირებს

“მანჩესტერ იუნაიტედმა” ტიტული შეინარჩუნა. **რაიან გიგზმა** “ეშმაკების” მაისურით 758-ე მატჩი ჩაატარა და გოლიც შეაგდო. ის **სერ ბობი ჩარლტონს** დაეწია. მანჩესტერელთა შემადგენლობაში ამდენი შეხვედრა სხვა არავის გაუმართავს. თუ გიგზი მოსკოვურ ფინალში ითამაშებს, რეკორდსმენი გახდება.

რაიანი ოქროს მედალს მეათედ დაეუფლა. **სერ ალექს ფერგიუსონმაც** მეათე საჩემპიონო ტიტული მოიგო. “მანჩესტერ იუნაიტედი” ინგლისის 17-გზის ჩემპიონია. ის ერთი ტიტულით ჩამორჩება “ლივერპულს”. ფერგის მერსისაიდელების გადასწრება სურს.

“ვიგანმა” “იუნაიტედს” დიდი ბრძოლა გაუმართა. მასპინძლები ხანგრძლივი დროის განმავლობაში აკონტროლებდნენ ბურთს. **ემილ ჰესკიმ** და **ანტონიო ვალენსიამ** “ეშმაკებს” თავსატეხი გაუჩინეს. “ჩელსის” რომ “ბოლტონისთვის” გაეტანა, “იუნაიტედი”, შეიძლება, გონს ვერ მოსულიყო.

“ვიგანმა” ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენა. **კრისტიანო რონალდო** ბურთს პირველად 33-ე წუთზე შეეხო. შეეხო და გაიტანა კიდეც (**რუნის** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი). მას პრემიერლიგაში 31 გოლი დაუგროვდა. ერთ სეზონში გატანილი გოლების რეკორდს ის და **ალან შირერი** ინაწილებენ.

ვიგანელებმა პენალტის დანიშვნა დიდხანს აპროტესტეს. რამდენიმე წუთში მსაჯმა **სტივ ბენეტმა** მათ კარში უფრო აშკარა 11-მეტრიანი არ დანიშნა. **ვილსონ პალასიოსმა პოლ სქოულზი** მოცელა. პალასიოსს სქოულზის წაქცევისთვის ერთი ყვითელი ბარათი უკვე მიღებული ჰქონდა. ბენეტმა მას სიტყვიერი გაფრთხილება აკმარა. ცნობისთვის, ამ არბიტრმა პირველ წრეში, “პორტსმუთთან” მატჩისას რონალდო გააძევა.

შესვენების შემდეგ “იუნაიტედი” საგრძნობლად გააქტიურდა. **კრის კერკლანდმა** რონალდოს, რუნისა და **კარლოს ტევესის** იერიშები მოიგერია. ტიტუს ბრემბლმა სქოულზი ისევ საკუთარ საჯარიმოში დააგდო. ბენეტმა პენალტი კვლავ არ დანიშნა, სამაგიეროდ, ხმაურიანი პროტესტისთვის რუნის აუფრიალა ყვითელი ბარათი.

თამაში “ვიგანის” ნახევარზე მიმდინარეობდა. გიგზის გამოჩენამდე, მასპინძელმა კიდევ ერთი მომენტი შექმნეს: ჰესკის თავური “იუნაიტედის” კარს ზემოდან დაეცა. მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე რუნიმ რაიანს საუცხოო პასი გაუკეთა. უელსელმა თანაგუნდელს ლვაწლი არ დაუკარგა და მეორე გოლი შეაგდო. ახლა მთელი მანჩესტერი მოსკოვური მატჩის მოლოდინშია...

გუშინდელი სალამო “ჩელსისთვის” იმედით დაიწყო, მაგრამ იმედგაცრუებით დასრულდა. უნდა აღინიშნოს, რომ “არისტოკრატებს” დიდი ოპტიმიზმის საფუძველი არ უნდა ჰქონოდათ. “ვიგანს” “მანჩესტერთან” გამარჯვების მიზერული შანსი ჰქონდა. “მანჩესტერის” მოგების შემთხვევაში კი ლონდონური მატჩის შედეგი მნიშვნელობას კარგავდა.

მასპინძელთაგან გოლი შეცვლაზე შესულმა **ანდრეი შევჩენკომ** გაიტანა. **კევინ დევისმა** ბოლო წუთზე გაათანაბრა. იმ მომენტისთვის ლონდონელებმა უკვე იცოდნენ, რომ “მანჩესტერი” ორი ბურთის სხვაობით იმარჯვებდა და ჩემპიონი იყო. გუშინ, “ჩელსის” **ჯონ ტერიც** დაუშავდა. მე-14 წუთზე “არისტოკრატების” კაპიტანი **პეტრ ჩეხსა** და კევინ დევისს შეეჯახა და მხარი იღრძო. ის დაუყოვნებლივ შეცვალეს. ტერიმ, შეიძლება, მოსკოვში ვერ ითამაშოს.

“ჩელსიმ” გუშინდელი თამაში ძალიან ნელ ტემპში დაიწყო. “ბოლტონმა”, რომელსაც ეს შეხვედრა აღარაფერში სჭირდებოდა, მეტოქეს ნახევარდაცვაში თავისუფლად მოძრაობის საშუალება მოუსპო.

სტუმართა კართან პირველი მომენტი მეშვიდე წუთზე შეიქმნა. **მიხაელ ბალაკმა** მარცხენა ფლანგიდან შორ ძელთან ჩააწოდა. ბურთს **დიდიე დროგბა** დაეუფლა. კოტდივუარელმა ახლო მანძილიდან ძალიან ცუდად დასცხო. შემდეგ იყო ტერის ტრავმა. მის ნაცვლად მოედანზე მარჯვენა მცველი **ჟულიანო ბელეტი** გამოვიდა.

ბოლტონელმა **მეტიუ ტეილორმა** ჩეხის კარს 30 იარდიდან შეუტია. მსაჯმა **კრის ფოიმ** უსამართლო ყვითელი ბარათი უჩვენა **გევინ მაკანს**, რომელმაც **ეშლი კოულს** წესების დაცვით აართვა ბურთი. საჯარიმო **ფრენკ ლემპარდმა** შეასრულა. მან ბურთი ცოცხალ კედელს გაარტყა.

| 12. ვალენსია | 37 | 14 | 6 | 17 | 45-61 | 48 |
| 13. ბეტისი | 37 | 12 | 10 | 15 | 44-50 | 46 |
| 14. ხეტაფე | 37 | 12 | 10 | 15 | 41-47 | 46 |
| 15. ვალიადოლიდი | 37 | 11 | 11 | 15 | 41-56 | 44 |
| 16. ოსასუნა | 37 | 12 | 7 | 18 | 37-43 | 43 |
| 17. რეკრეატივო | 37 | 11 | 10 | 16 | 39-59 | 43 |
| 18. სარაგოსა | 37 | 10 | 12 | 15 | 48-58 | 42 |
| 19. მურსია | 37 | 7 | 9 | 21 | 33-60 | 30 |
| 20. ლევანტე | 37 | 7 | 5 | 25 | 31-70 | 26 |

**ბომბარდირები:** 26 - გუისა (მალიორკა); 24 - ლუიშ ფაბიანო (სევილია); 18 - რაული (რეალი), ნიჰათი (ვილიარეალი); 17 - აგუერო (ატლეტიკო); 16 - ვილია (ვალენსია); 15 - ლორენტე (ვალიადოლიდი), დ. მილიტო (სარაგოსა), ფორლანი (ატლეტიკო), ეტო'ო (ბარსელონა), კანუტე (სევილია), რიკარდო ოლივეირა (სარაგოსა); 13 - ნეგრედო (ალმერია), ლუის გარსია (ესპანიოლი).

### II დივიზიონი

XXXVII ტური

**გრანადა-ფეროლი 3:3**

**გოლები:** 0:1 კორედორა (19), 1:1 ფრანსისკო (21), 1:2 კორედორა (23), 2:2 ფრანსისკო (24), 2:3 ალვარო (69), 3:3 დიასი (82)

**კასტელონი-ელჩე 1:0**

**გოლი:** 1:0 გარაი (49)

**ეიბარი-ლას პალმასი 2:2**

**გოლები:** 1:0 გოირია (13), 2:0 იაგუე (44), 2:1 ადრიანი (45), 2:2 ადრიანი (65)

**მალაგა-ხიმნასტიკი 1:2**

**გოლები:** 1:0 ხორხე (24), 1:1 აბრაჰამი (26), 1:2 მაირატა (54)

**სევილია A-სელტა 2:1**

**გოლები:** 1:0 არმენტეროსი (26), 2:0 არმენტეროსი (73), 2:1 პერერა (87)

**ტენერიფე-სპორტინგი 0:2**

**გოლები:** 0:1 მიჩელი (26), 0:2 პედრო (40)

**სალამანკა-ნუმანსია 0:1**

**გოლი:** 0:1 მარიო (24)

**ალავესი-ალბასეტე 0:0**

**კადისი-სოსიედადი 2:2**

**გოლები:** 0:1 დე სერიო (39), 1:1 დანი (52), 2:1 ნატალიო (65), 2:2 დელიბასი (81)

**კორდობა-ხერესი 2:1**

**გოლები:** 1:0 არტურო (7), 1:1 მორენო (20), 2:1 რუბენი (65)

**ერკულესი-ეხიდო 1:2**

**გოლები:** 1:0 ხაუმე (34), 1:1 კასტელსი (45), 1:2 ბერმეხო (48)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნუმანსია | 37 | 22 | 8 | 7 | 53-30 | 74 |
| 2. მალაგა | 37 | 18 | 10 | 9 | 51-35 | 64 |
| 3. სპორტინგი | 37 | 18 | 10 | 9 | 57-38 | 61 |
| 4. სოსიედადი | 37 | 16 | 12 | 9 | 46-32 | 60 |
| 5. კასტელონი | 37 | 15 | 12 | 10 | 38-30 | 57 |
| 6. ელჩე | 37 | 14 | 11 | 12 | 42-40 | 53 |
| 7. სევილია A | 37 | 13 | 13 | 11 | 36-40 | 52 |
| 8. ერკულესი | 37 | 11 | 15 | 11 | 52-45 | 48 |
| 9. ტენერიფე | 37 | 11 | 15 | 11 | 45-50 | 48 |
| 10. სელტა | 37 | 12 | 11 | 14 | 45-44 | 47 |
| 11. ეიბარი | 37 | 13 | 8 | 16 | 40-47 | 47 |
| 12. სალამანკა | 37 | 10 | 16 | 11 | 44-40 | 46 |
| 13. კადისი | 37 | 12 | 10 | 15 | 37-39 | 46 |
| 14. ლას პალმასი | 37 | 12 | 11 | 14 | 42-49 | 46 |
| 15. ფეროლი | 37 | 11 | 12 | 14 | 43-47 | 45 |
| 16. ხიმნასტიკი | 37 | 9 | 16 | 12 | 40-44 | 43 |
| 17. გრანადა | 37 | 10 | 13 | 14 | 39-48 | 43 |
| 18. ალბასეტე | 37 | 10 | 12 | 15 | 31-38 | 42 |
| 19. ალავესი | 37 | 10 | 12 | 15 | 34-42 | 42 |
| 20. ხერესი | 37 | 9 | 14 | 14 | 43-55 | 41 |
| 21. კორდობა | 37 | 8 | 16 | 13 | 43-51 | 40 |
| 22. ეხიდო | 37 | 10 | 9 | 18 | 32-49 | 39 |

ინტერვიუ ალეშანდრე პატოსთან

# კაკასა და ინძაგისთანაც კარგად ვგრძნობ თავს



**მ**ილანის" ბრაზილიელი თავდამსხმელი, ვუნდერკინდად წოდებული ალეშანდრე პატო, ბოლო ერთი თვეა, ტრავმის გამო გუნდს ხეირიანად ველარ ეხმარება. წლის დასაწყისში მას ხმაურიანი დებიუტი ჰქონდა, რითიც დაამტკიცა, რომ 18 წლის ასაკში თითქმის ჩამოყალიბებული ვარსკვლავია. მისმა ოთხთვიანმა მილანურმა კარიერამ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი კარლოს დუნგაც დაარწმუნა, რომ პატო ეროვნული გუნდისთვისაც მომწიფდა...

**- მილანურ დერბიში მონაწილეობის შემდეგ, შეიძლება ვთქვათ, რომ იტალიურ ფეხბურთს უკვე ძალიან კარგად იცნობთ?**

- დერბიში თამაში ძალზე ემოციური იყო. საუცხოო ატმოსფეროო ვნახე, ჩვენი გულშემატკივრებისგან მხურვალე მხარდაჭერა ვიგრძენი.

**- ძირითად შემადგენლობაში თამაში გერჩივნათ?**

- ამგვარ მატჩში მონაწილეობით მეტი გამოცდილების მიღება მსურდა. მივაღწიე ჩემსას და კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, არც ისე მნიშვნელოვანია, სასტარტო შემადგენლობაში ვიყავი თუ შეცვლაზე შევედი.

**- რა გითხრათ ანჩელოტიმ? დაგტუქსათ თუ არა ბოლო წამებზე ბურთის დაკარგვის გამო, რასაც "მილანის" კართან სახიფათო საჯარიმო მოჰყვა?**

- არაფერი უთქვამს. გასაგებია, რომ ყველა ცდება.

**- თქვენი თანატოლი მარიო ბალოტელი ხშირად "ინტერის" სათადარიგოთა სკამზე ზის. რას იტყვით ამ ფეხბურთელზე?**

- ერთმანეთი მატჩის შემდეგ გავიცანით და მაისურებიც გავცვალეთ. მომეწონა. ბალოტელი კარგი ფეხბურთელია და, მომეჩვენა, რომ სასიამოვნო ადამიანიცაა. სამწუხაროდ, ტელეფონის ნომრების გაცვლის დრო არ გვქონდა. ვფიქრობ, ამას მომდევნო შეხვედრისას მოვახერხებთ.

**- დამატებით პასუხისმგებლობას არ გრძნობთ მას შემდეგ, რაც რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანეთ?**

- მიხარია, რომ "მილანში" ვარ და კიდევ ერთხელ ვამბობ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ძირითად შემადგენლობაში ვარ თუ სათადარიგოთა სკამზე. ამჟამად, კაკა და ინძაგი საუცხოოდ არიან შეთამაშებულები, რაც ასევე საუცხოო შედეგიანობას განაპირობებს.

**- ინძაგის საიდუმლო ილეთებში გარკვევა ხომ არ გიცდიათ?**

- ის შესანიშნავი ფეხბურთელია და ფანტასტიკური შედეგიც აქვს. მაგრამ პიპო ცენტრფორვარდია, მე კი მეორე პლანის თავდამსხმელი ვარ.

**- მიუხედავად ამისა, მწვრთნელებს არაერთხელ გამოუყვანიხართ ერთადერთ ფორვარდად...**

- პრობლემას ვერ ვხედავ. უკვე მივეჩვიე მწვრთნელის ყველა მოთხოვნის შესრულებას.

**- რონალდინიოსთან ერთად თამაში არ გსურთ?**

- ის ფენომენალურია. რა თქმა უნდა, მსურს მისი პარტნიორობა, მაგრამ კაკასთან და ინძაგისთან ერთადაც კარგად ვგრძნობ თავს.

**- იცნობთ რონალდინიოს?**

- რამდენიმე სიტყვით გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, როცა 2006 წლის დეკემბერში ჩემი "ინტერნასიონალი" მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის ფინალში "ბარსელონას" შეხვდა...

**- "მილანს" შანსი აქვს, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი საგზური მოიპოვოს, თუმცა თქვენ შეიძლება ოლიმპიადაზე წახვიდეთ. ასეთ შემთხვევაში, ალბათ, ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის გამოტოვება მოგიწევთ...**

- სამწუხაროა, რადგან მსურდა, ორივე ტურნირში მეთამაშა. თუმცა ჯერ არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა პეკინში. იმედი მაქვს, წავალ. ბრაზილიას არასოდეს მოუგია ოლიმპიადა და შანსი გვაქვს, ისტორიაში შევიდეთ.

**- ოლიმპიურ თამაშებზე ვინ გაიბრწყინებს?**

- მომწონს ბოიან კრკიჩი, ასევე ჯოვანი... ისინი "ბარსელონაში" თამაშობენ, მაგრამ პეკინში არ მიდიან. თუმც იქ "ემპოლიდან" სებასტიან ჯოვინკო იქნება.

**- როგორია თქვენი ურთიერთობა დუნგასთან?**

- ბოლოს, ჩვენ შვედეთთან მატჩის შემდეგ ვისაუბრეთ (შეგახსენებთ, პატოს დებიუტი სწორედ ამ ამხანაგურ მატჩში შედგა და გამარჯვების გოლიც გაიტანა - რედ). მწვრთნელმა შემაქო. ვფიქრობ, კიდევ გვექნება დრო იმისთვის, რომ უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი.

**- ანჩელოტისთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

- თითქმის წელიწადია, მისი ხელმძღვანელობით ვმუშაობ და მიმაჩნია, რომ ამ თანამშრომლობის შედეგი პოზიტიურია. ის ყოველთვის დაწვრილებით მიხსნის ყველა დავალებას.

**- სტეფანისთან ურთიერთობისთვის დრო გრჩებათ?**

- თუ ოლიმპიურ ნაკრებში მიმიწვიეს, პეკინში ჩემი მეგობარი გოგონაც წამოვა, ყოველ შემთხვევაში, სეზონის დასრულების შემდეგ, ერთად ბევრ დროს გავატარებთ. ის უკვე სამჯერ ჩამოფრინდა იტალიაში. გარდა ამისა, ყოველდღე ვსაუბრობთ, ერთმანეთს ტელეფონით ან ინტერნეტით ვუკავშირდებით.

**- სერია A-ში თქვენი დებიუტი "ნაპოლისთან" მატჩში (5:2 - რედ) შედგა. ამ შეხვედრაში პირველი გოლიც გაიტანეთ, რომელიც სტეფანის თავისებური ჟესტით მიუძღვენით. მერე ეს თქვენს სავიზიტო ბარათად იქცა...**

- მეტად ემოციური მომენტი იყო. იმ მატჩამდე სტეფანის შევპირდი, რომ გოლის გატანას თითებით გულის გამოხატვით ალვნიშნავდი...

**- მართალია, რომ წლეულს აპირებთ დაქორწინებას?**

- არა, ცოტა ხნის წინათ დავინიშნეთ, მაგრამ ქორწილზე ფიქრი ჯერ ადრეა.

**- ოჯახისგან შორს ცხოვრება ძნელია? რა უფრო ძნელი იყო: 12 წლისა პორტუ-ალეგრიში რომ წახვედით, თუ 18 წლისამ ოკეანე რომ გადასერეთ?**

- პირველად განშორება უფრო ძნელი იყო. დედამ მკითხა, დარწმუნებული ვიყავი თუ არა წასვლის სურვილში. არ უნდოდა ჩემი გამოშვება. უხასიათოდ ვიყავი, მაგრამ დადებითი პასუხი გავეცი.

**- თავისუფალ დროს რას აკეთებთ?**

- გულახდილად რომ გითხრათ, თავისუფალი დრო თითქმის არ მრჩება. ისე, სტეფანისთან ერთად მოგზაურობა მიყვარს, თანაც, არა მარტო იტალიურ ქალაქებში. მაგალითად, ვიყავით პარიზში, სადაც დავინიშნეთ კიდეც.

**- რომელ ფეხბურთელებს დაუმეგობრდით?**

- თითქმის ყველას, მაგრამ უფრო ხშირად ემერსონს ვსტუმრობ. ყველა მოთამაშე ღიაა ურთიერთობისთვის. პირველ ხანებში, თანამემამულეები ძალიან დამეხმარნენ, თუმცა არ შეიძლება, არ ალვნიშნო მხარდაჭერა გატუზოსა და ფავალისგან.

მოამზადა **დავით ჩუბინიძემ**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ლემანი ასტონ ვილაში?

## ვეტერანმა მეკარემ შტუტგარტი უარით გაისტუმრა

**ა**რსენ ვენგერს ფეხბურთელები ხელიდან ეცლება. **მატიო ფლამინი** "მილანში" წავიდა, **ალექსანდრ გლებს** "ინტერისკენ" უჭირავს გეზი და მისი ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია. როგორც ამბობენ, ასაბარგებლად **ემანუელ ადებაიორიც** ემზადება. მაგრამ ამ მომენტისთვის, მხოლოდ **იენს ლემანის** წასვლაა გადაწყვეტილი. ბრიტანული პრესა ამტკიცებს, რომ ვეტერან მეკარეს სამსახურს "ასტონ ვილა" სთავაზობს. საქმე ისაა, რომ ბირმინგემელები, ჯერჯერობით, ვერ ახერხებენ "ლივერპულისგან" **სკოტ კარსონის** ტრანსფერის გამოსყიდვას.




"ვილას" მწვრთნელმა **მარტინ ო'ნილმა** ლემანის საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვა. გასულ უიქ ენდზე, გერმანელი ფანებს ემოციურად დაემშვიდობა. მოკლედ, იენსი მიდის, მაგრამ სად? სხვათა შორის, ვენგერი არ არის დარწმუნებული იმაში, რომ 38 წლის მეკარე კიდევ აპირებს ფეხბურთის თამაშს. ბოლოს კი გეტყვით, ამ ორიოდ დღის წინათ ლემანმა "შტუტგარტის" წინადადება უარჰყო, რაც "ასტონ ვილას" ვარიანტს კიდევ უფრო რეალურს ხდის.

**გიორგი ბელაშვილი**

## საფრანგეთი

XXXVII ტური

### მონაკო-ოსერი 3:0

მონაკო: რუფიე, მონსორო, ადრიანო (84. მოდესტო), ფაბიო სანტოსი, ბოლივარი, კუფრე, ნენე, მერიემი, ი. ლეკო (78. პოკრივაცი), მონგონგუ (46. მენეზი), ბაკარი.

ოსერი: რე. რიუ, ჟორესი, გრიშტინგი, მინო, ტამაში (71. კერსია), შაფნი, კალენბერგი, პედრეტი, ლეჟონი (75. მუნტეანუ), ოლიეში (55. იელენი), ნიკულაე.

გოლები: 1:0 ბაკარი (48), 2:0 ნენე (74), 3:0 მერიემი (81)

გაფრთხილება: 0-0

მაყურებელი: 9 839

### სტრასბური-კაენი 1:4

სტრასბური: კასარი, დოს სანტოსი, დუკროკი, ბელაიდი, პესლეი, ბა (65. შნაიდერლინი), როდრიგო, გამეირო (83. ზენკე), მულუნგუ, ფანშონი (65. მულენგა), ა. სანტოსი.

კაენი: კოსტილი, ენგბარტი, სვენსონი, სორბონი, ლემაეტრი, პრომანი (83. ო. ნ'დიაიე), ნივე, ფლორენტენი (60. სამსონი), ელუჩანსი (46. ჟემაა), გუფრანი, ტუდიჩი.

გოლები: 0:1 ტუდიჩი (7), 0:2 დოს სანტოსი (12-საკ. კარში), 1:2 გამეირო (22), 1:3 გუფრანი (31), 1:4 ტუდიჩი (84)

გაფრთხილება: 3-0

მაყურებელი: 17 318

### ლილი-ლანსი 2:1

ლილი: მალიჩკი, ბერია, ფრანკარი, რამი, ტაფორო (90+2. ფოვერგი), კაბეიე (68. ლიხტშტაინერი), მავუბა, მაკუნი, ობრანიაკი, მირალა (56. ფრო), ბასტოსი.

ლანსი: რუნიე, ლორენტი (46. მაულიდა), ბიშევაცი, ად. კულიბალი, ბელაჯი, კოვაჩევიჩი, სი. კეიტა, დემონი, კარიერი, მონტერუბიო, ლ. რემი (77. მონე-პაკე).

გოლები: 1:0 კაბეიე (42), 2:0 ფრო (66), 2:1 მონტერუბიო (70-პენ)

გაფრთხილება: 0-1

მაყურებელი: 18 000

### მეცი-ლორიანი 1:2

მეცი: მარიშე, კუბილიე, ვივიანი (14. დელომო), შტრასერი, ბასონგი, ჟიგაქსი (62. ბესა), ფრანსუა, აგუაზი, ბარბოსა, რიანიჩი (73. ნ'დიაიე), ბ. გეიე.

ლორიანი: ოდარი, ჟალე, მარშალი, გენტონი (86. ბუტრუში), კანტარეი, მანსური, აბრიელი, ჟუფრე (83. ევოლო), ოტკოერი, საიფი, ლე პენი (76. ნამუში).

გოლები: 0:1 საიფი (47), 1:1 ბ. გეიე (60), 1:2 აბრიელი (66)

გაფრთხილება: 1-1

მაყურებელი: 10 000

### ლე მანი-მარსელი 0:0

ლე მანი: ი. პელე, ბენ ფრეჯი, გედერი, ბუპურსი, იბ. კამარა, იებდა, რომარიკი, ლე ტალეკი (16. ჟერვინიო), სესენონი, მაცუი (55. სედრანი), დე მელო (90+4. მაეგა).

მარსელი: მანდანდა, ბონარი, რ. ზუბარი, კანა, ტაივო, მბამი, ბე. შეირუ, ვალბუენა (78. გნაბუოუ), ნასრი, აკალე (66. ზენდენი), ნიანგი.

გაფრთხილება: 2-2

მაყურებელი: 16 000

### ლიონი-ნანსი 1:0

ლიონი: კუპე, რევეიერი, სკილაჩი, კრისი, გროსო, ბოდმერი, ტულალანი, ჟუნინიო (78. კალსტრიომი), გოვუ, კ. კეიტა (60. ფრედი), ბენზემა (75. ბენ არფა).

ნანსი: ბრასილიანო, შრეტიენი, მაკალუსო, ანდრე ლუისი, ბრისონი, გერეირო (78. კურბელო), ბერენგერი, ნ'გემო, კ. მალონგა (78. ბ. გავანონი), დია (71. ზერკა), ფორტუნე.

გოლი: 1:0 ანდრე ლუისი (60-საკ. კარში)

გაფრთხილება: 3-3

მაყურებელი: 38 190

### ვალანსი-ნიცა 1:2

ვალანსი: პენეტო, დუკურტუა, რიპერი, უადუ (58. სომეი), შელი, დუმენგი (71. სანჩეს მორენო), ჟეოვანიო, რუდე (58. მატერი), საესი, სავიდანი, სებო.

ნიცა: ლეტიზი, ჟონეშამი (90. იაია), როოლი (74. სიდი), კანტე, აპამი, დიაკიტე, ელებუიკო, ედერსონი, ბალმონი, კონე, მოდესტე (87. ბამოგო).

გოლები: 0:1 ედერსონი (49), 0:2 კონე (57), 1:2 სავიდანი (89-პენ)

გაძევება: საესი (86. ვალანსი)

გაფრთხილება: 2-1

მაყურებელი: 14 546

### პსჟ-სტ. ეტიენი 1:1

პსჟ: ლანდრო, სეარა, კამარა, იეპესი, არმანი, დიანე (74. ბოლი), ჟ. კლემანი, ბურილონი, როტენი (67. ლუინდულა), შანტემი (79. სოუზა), პაულეტა.

სტ. ეტიენი: ვივიანი, დაბო, სალი, ტაველარიდისი, ტიენე, პერენი, მატუიდი, ლანდრენი, პეიე (77. ვარო), ფეინდუნო, გომისი (87. ილანი).

გოლები: 0:1 პერენი (45), 1:1 ჟ. კლემანი (59)

გაფრთხილება: 0-0

მაყურებელი: 45 350

### ბორდო-სოშო 2:0

ბორდო: ვალვერდი, შალმე, ენრიკე, სო. დიავარა, ჟურიეტი, ა. დიარა, ფერნანდო, ობერტანი (69. დუკასი), ვენდელი (57. ტრემულინასი), ბელიონი (90. ჟემალი), შამახი.

სოშო: რიშერი, პიშო, აფოლაბი, ბრეშე, იოკიჩი, ნ'დავი (46. ერდინგი), პიტო, პანკრატი (46. ისაბეი), ს. დალმა, მორის-ბელეი (69. კ. ტრაორე), გრაქსი.

გოლები: 1:0 ფერნანდო (45+2), 2:0 შამახი (58)

გაფრთხილება: 1-2

მაყურებელი: 32 487

### რენი-ტულუზა 2:1

რენი: ლუზი, ჯ. ტრაორე, ჰანსონი, მენსა (78. დემბელე), დანზე, სორლენი (46. ე. დიდო), დემუანი, ტომერტი, ჟ. ლერუა, ბრიანი (46. მორეირა), პაჟისი.

ტულუზა: დუშე, მატიო (85. ილუნგა), არიბაჟე, ფოფანა, ებონდო, დიოზი, სირიეი (80. არაში), ემანა, ბატლი, მანსარე, ელმანდერი (66. გინიაკი).

გოლები: 0:1 სირიეი (10), 1:1 პაჟისი (53), 2:1 მენსა (72)

გაფრთხილება: 0-1

მაყურებელი: 28 078

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 37 | 23 | 7 | 7 | 71-36 | 76 |
| 2. ბორდო | 37 | 22 | 8 | 7 | 63-36 | 74 |
| 3. ნანსი | 37 | 15 | 15 | 7 | 42-27 | 60 |
| 4. მარსელი | 37 | 16 | 11 | 10 | 54-42 | 59 |
| 5. ლილი | 37 | 13 | 17 | 7 | 44-31 | 56 |
| 6. სტ. ეტიენი | 37 | 15 | 10 | 12 | 43-34 | 55 |
| 7. რენი | 37 | 15 | 10 | 12 | 44-42 | 55 |
| 8. ლე მანი | 37 | 14 | 11 | 12 | 43-45 | 53 |
| 9. ნიცა | 37 | 12 | 16 | 9 | 32-29 | 52 |
| 10. კაენი | 37 | 13 | 12 | 12 | 47-50 | 51 |
| 11. ლორიანი | 37 | 12 | 15 | 10 | 31-34 | 51 |
| 12. მონაკო | 37 | 13 | 8 | 16 | 40-44 | 47 |
| 13. ვალანსი | 37 | 12 | 9 | 16 | 41-38 | 45 |
| 14. სოშო | 37 | 10 | 14 | 13 | 33-41 | 44 |
| 15. ოსერი | 37 | 12 | 8 | 17 | 32-49 | 44 |
| 16. პსჟ | 37 | 9 | 13 | 15 | 35-44 | 40 |
| 17. ტულუზა | 37 | 8 | 15 | 14 | 34-41 | 39 |
| 18. ლანსი | 37 | 9 | 12 | 16 | 41-50 | 39 |
| 19. სტრასბური | 37 | 9 | 8 | 20 | 31-51 | 35 |
| 20. მეცი | 37 | 4 | 9 | 24 | 24-61 | 20 |

ბომბარდირები: 19 - ბენზემა (ლიონი); 17 - ნიანგი (მარსელი); 14 - ჯ. სისე (მარსელი), ბ. გომისი (სტ. ეტიენი), კავენაგი (ბორდო); 12 - საიფი (ლორიანი), ბ. კონე (ნიცა), სავიდანი (ვალანსი); 12 - ვენდელი (ბორდო), დე მელო (ლე მანი).

## ხორვატია

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ციბალია-მედიმური | 3:0 |
| დინამო-რიეკა | 6:1 |
| შიბენიკი-სლავენი | 0:0 |
| ინკერი-ოსიეკი | 1:2 |
| ზაგრები-ჰაიდუკი | 2:1 |
| ვარტექსი-ზადარი | 5:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 33 | 26 | 4 | 3 | 91-34 | 82 |
| 2. სლავენი | 33 | 16 | 6 | 11 | 45-29 | 54 |
| 3. ოსიეკი | 33 | 16 | 6 | 11 | 43-34 | 54 |
| 4. რიეკა | 33 | 14 | 11 | 8 | 53-41 | 53 |
| 5. ჰაიდუკი | 33 | 14 | 10 | 9 | 57-41 | 52 |
| 6. ზაგრები | 33 | 11 | 11 | 11 | 51-40 | 44 |
| 7. ვარტექსი | 33 | 11 | 7 | 15 | 46-53 | 40 |
| 8. ციბალია | 33 | 11 | 7 | 15 | 40-48 | 40 |
| 9. ზადარი | 33 | 11 | 7 | 15 | 49-61 | 40 |
| 10. შიბენიკი | 33 | 9 | 12 | 12 | 34-52 | 39 |
| 11. ინკერი | 33 | 8 | 9 | 16 | 27-59 | 33 |
| 12. მედიმური | 33 | 3 | 6 | 24 | 37-81 | 15 |

## ირლანდია

X ტური

| | |
|---|---|
| ბრეი-დროგედა | 1:0 |
| კორკი-სლაიგო | 1:0 |
| გალვეი-ფინ ჰარპსი | 2:2 |
| სტ. პატსი-უნივერსიტი | 0:0 |
| შემროკი-დერი | 1:1 |
| კობ რამბლერსი-ბოჰემიანსი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტ. პატსი | 10 | 8 | 1 | 1 | 16-4 | 25 |
| 2. ბოჰემიანსი | 10 | 6 | 3 | 1 | 12-5 | 21 |
| 3. დერი | 10 | 4 | 5 | 1 | 10-6 | 17 |
| 4. ბრეი | 10 | 5 | 2 | 3 | 8-10 | 17 |
| 5. კორკი | 10 | 4 | 4 | 2 | 12-8 | 16 |
| 6. დროგედა | 10 | 5 | 1 | 4 | 11-7 | 16 |
| 7. სლაიგო | 10 | 4 | 3 | 3 | 12-9 | 15 |
| 8. შემროკი | 10 | 3 | 3 | 4 | 10-10 | 12 |
| 9. უნივერსიტი | 10 | 1 | 5 | 4 | 7-10 | 8 |
| 10. ფინ ჰარპსი | 10 | 2 | 1 | 7 | 6-17 | 7 |
| 11. კ. რამბლერსი | 10 | 1 | 3 | 6 | 5-12 | 6 |
| 12. გალვეი | 10 | 0 | 3 | 7 | 6-17 | 3 |

## უნგრეთი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ნირეგიჰაზა-მტკ | 0:2 |
| გიორი-ჰონვედი | 2:2 |
| ფეჰერვარი-დიოშდიორი | 3:1 |
| რეაკ-შიოფოკი | 4:2 |
| სოპრონი-დებრეცენი | 0:3 |
| ტატაბანია-ზალაეგერსეგი | 0:2 |
| ვაშაში-კაპოშვარი | 1:2 |
| პაქში-უიპეშტი | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მტკ | 27 | 17 | 6 | 4 | 56-22 | 57 |
| 2. დებრეცენი | 27 | 17 | 6 | 4 | 59-26 | 57 |
| 3. უიპეშტი | 26 | 16 | 6 | 4 | 54-30 | 54 |
| 4. გიორი | 27 | 13 | 10 | 4 | 56-32 | 49 |
| 5. ფეჰერვარი | 27 | 15 | 3 | 9 | 44-28 | 48 |
| 6. კაპოშვარი | 27 | 12 | 8 | 7 | 38-35 | 44 |
| 7. ზალაეგერსეგ | 27 | 12 | 6 | 9 | 48-33 | 42 |
| 8. ჰონვედი | 27 | 11 | 7 | 9 | 41-31 | 40 |
| 9. ნირეგიჰაზა | 27 | 10 | 6 | 11 | 29-33 | 36 |
| 10. ვაშაში | 27 | 10 | 5 | 12 | 36-42 | 35 |
| 11. პაქში | 26 | 8 | 7 | 11 | 43-45 | 31 |
| 12. რეაკ | 27 | 7 | 8 | 12 | 39-51 | 29 |
| 13. დიოშდიორი | 27 | 5 | 11 | 11 | 37-55 | 26 |
| 14. შიოფოკი | 27 | 5 | 8 | 14 | 29-44 | 23 |
| 15. სოპრონი | 27 | 2 | 5 | 20 | 10-64 | 11 |
| 16. ტატაბანია | 27 | 2 | 4 | 21 | 30-78 | 10 |

## უკრაინა

XXIX ტური

| | |
|---|---|
| დინამო-ვორსკლა | 2:1 |
| ხარკოვი-შახტარი | 0:3 |
| კარპატი-ჩერნომორეცი | 2:0 |
| კრივბასი-არსენალი | 0:0 |
| მეტალურგი (დ)-მეტალისტი | 1:1 |
| მეტალურგი (ზ)-დნიპრო | 0:0 |
| ნაფტოვიკი-ზაკარპატია | 3:2 |
| ზარია-ტავრია | 2:3 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 29 | 23 | 2 | 4 | 71-23 | 71 |
| 2. დინამო | 29 | 22 | 4 | 3 | 63-24 | 70 |
| 3. მეტალისტი | 29 | 19 | 5 | 5 | 49-25 | 62 |
| 4. დნიპრო | 29 | 18 | 4 | 7 | 40-27 | 58 |
| 5. ტავრია | 29 | 13 | 7 | 9 | 36-38 | 46 |
| 6. არსენალი | 29 | 11 | 8 | 10 | 42-36 | 41 |
| 7. ჩერნომორეცი | 29 | 11 | 4 | 14 | 26-32 | 37 |
| 8. ვორსკლა | 29 | 9 | 8 | 12 | 27-29 | 35 |
| 9. მეტალურ (ზ) | 29 | 9 | 8 | 12 | 22-30 | 35 |
| 10. კარპატი | 29 | 9 | 5 | 15 | 29-40 | 32 |
| 11. მეტალურ (დ) | 29 | 6 | 13 | 10 | 33-35 | 31 |
| 12. კრივბასი | 29 | 7 | 8 | 14 | 28-38 | 29 |
| 13. ზარია | 29 | 8 | 4 | 17 | 22-43 | 28 |
| 14. ხარკოვი | 29 | 6 | 8 | 15 | 20-31 | 26 |
| 15. ნაფტოვიკი | 29 | 6 | 7 | 16 | 17-37 | 25 |
| 16. ზაკარპატია | 29 | 3 | 9 | 17 | 17-52 | 18 |

## ისრაელი

XXX ტური

| | |
|---|---|
| მაკაბი (ფ-თ)-ჰაპოელი (ქ-ს) | 1:0 |
| ბნეი საქნინი-ჰაპოელი (თ-ა) | 0:1 |
| ჰაპოელი (ქ)-მაკაბი (ჰერ) | 2:2 |
| მაკაბი (ნ)-აშდოდი | 1:0 |
| ბეითარი-ბნეი იეჰუდა | 0:1 |
| მაკაბი (ჰაიფ)-მაკაბი (თ-ა) | 3:3 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეითარი | 29 | 18 | 7 | 4 | 52-17 | 61 |
| 2. მაკაბი (ნ) | 30 | 15 | 10 | 5 | 36-17 | 55 |
| 3. ჰაპოელი (ქ) | 30 | 13 | 11 | 6 | 38-29 | 50 |
| 4. ბნეი საქნინი | 30 | 13 | 10 | 7 | 30-26 | 49 |
| 5. მაკაბი (ჰაიფ) | 30 | 12 | 7 | 11 | 34-24 | 43 |
| 6. ჰაპოელი (თ-ა) | 30 | 11 | 4 | 15 | 32-37 | 37 |
| 7. მაკაბი (თ-ა) | 30 | 9 | 8 | 13 | 38-39 | 35 |
| 8. მაკაბი (ფ-თ) | 30 | 9 | 7 | 14 | 25-35 | 34 |
| 9. ჰაპოელი (ქ-ს) | 30 | 8 | 10 | 12 | 34-48 | 34 |
| 10. ბნეი იეჰუდა | 30 | 9 | 5 | 16 | 25-40 | 32 |
| 11. მაკაბი (ჰერ) | 29 | 7 | 9 | 13 | 31-42 | 30 |
| 12. აშდოდი | 30 | 8 | 6 | 16 | 30-51 | 30 |

## სლოვენია

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| კოპერი-პუბლიკუმი | 2:0 |
| დომჟალე-პრიმორიე | 3:2 |
| მარიბორი-ნაფტა | 3:1 |
| გორიცა-დრავა | 1:0 |
| ლივარი-ინტერბლოკი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დომჟალე | 33 | 19 | 10 | 4 | 56-26 | 67 |
| 2. კოპერი | 33 | 17 | 10 | 6 | 63-44 | 61 |
| 3. გორიცა | 33 | 14 | 9 | 10 | 50-44 | 51 |
| 4. ინტერბლოკი | 33 | 14 | 7 | 12 | 45-36 | 49 |
| 5. მარიბორი | 33 | 13 | 9 | 11 | 52-44 | 48 |
| 6. ნაფტა | 33 | 11 | 11 | 11 | 40-52 | 44 |
| 7. პუბლიკუმი | 33 | 12 | 6 | 15 | 41-45 | 42 |
| 8. პრიმორიე | 33 | 11 | 6 | 16 | 47-39 | 39 |
| 9. დრავა | 33 | 11 | 5 | 17 | 40-57 | 38 |
| 10. ლივარი | 33 | 4 | 5 | 24 | 38-85 | 17 |

## საბერძნეთი

### პლეიოფი

V ტური

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი-არისი | 3:1 |
| პანიონიოსი-აეკ | 2:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პანათინაიკოს | 5 | 4 | 1 | 0 | 14-4 | 13 |
| 2. აეკ | 5 | 2 | 1 | 2 | 9-10 | 7 |
| 3. არისი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-6 | 4 |
| 4. პანიონიოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-12 | 4 |

### II დივიზიონი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| იონიკოსი-კერკირა | 1:2 |
| ხაიდარი-ილისიაკოსი | 0:0 |
| ეგალეო-პანთრაკიკოსი | 1:2 |
| ეთნიკოსი (ა)-ტრასივულოსი | 1:1 |
| იანინა-ეთნიკოსი (პ) | 2:0 |
| კალამატა-პანსერაიკოსი | 1:0 |
| ოლიმპიაკოსი (ვ)-კალითეა | 3:2 |
| პიერიკოსი-აგიოსი | 2:1 |
| კასტორია-აგროტიკოსი | დღეს |

## არგენტინა

### კლაუსურა

XIV ტური

| | |
|---|---|
| არსენალი-ტიგრე | 1:0 |
| ხიმნასია (ხ)-კოლონი | 2:2 |
| ბანფილდი-ოლიმპო | 2:1 |
| სან მარტინი-ლანუსი | 1:2 |
| ველესი-როსარიო | 2:1 |
| რასინგი-არგ. ხუნიორსი | 1:1 |
| ესტუდიანტესი-ბოკა | 1:0 |
| რივერი-ხიმნასია (ლ-პ) | გვ. დასრულდა |
| ნიუელსი-ურაკანი | გვ. დასრულდა |
| ს. ლორენსო-ინდეპენდიენტე | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

### კლაუსურა

პლეი ოფი

| | |
|---|---|
| სან ლუისი-პაჩუკა | 1:2 |
| ნეკაქსა-ატლასი | გვ. დასრულდა |

## ბულგარეთი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ბეროე-პირინი | 2:2 |
| ბოტევი-ლიტექსი | 1:2 |
| ჩერნო მორე-სპარტაკი | 0:0 |
| ჩერნომორეცი-ვიხრენი | 1:0 |
| ცსკა-ლევსკი | 1:1 |
| ლოკომოტივი (პ)-ვიდიმა | 6:1 |
| მარეკი-ბელასიცა | 1:1 |
| სლავია-ლოკომოტივი (ს) | 0:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 29 | 23 | 6 | 0 | 51-10 | 75 |
| 2. ლევსკი | 29 | 18 | 5 | 6 | 54-18 | 59 |
| 3. ლოკომოტ (ს) | 29 | 15 | 9 | 5 | 44-28 | 54 |
| 4. ლიტექსი | 29 | 15 | 8 | 6 | 49-25 | 53 |
| 5. სლავია | 29 | 13 | 8 | 8 | 37-26 | 47 |
| 6. ჩერნომორეც | 29 | 13 | 8 | 8 | 38-30 | 47 |
| 7. ჩერნო მორე | 29 | 12 | 9 | 8 | 36-28 | 45 |
| 8. პირინი | 29 | 13 | 6 | 10 | 32-28 | 45 |
| 9. ლოკომოტ (პ) | 29 | 12 | 6 | 11 | 36-27 | 42 |
| 10. ვიხრენი | 29 | 9 | 6 | 14 | 25-27 | 33 |
| 11. ბოტევი | 29 | 8 | 6 | 15 | 35-51 | 30 |
| 12. სპარტაკი | 29 | 7 | 7 | 15 | 19-34 | 28 |
| 13. ბეროე | 29 | 6 | 8 | 15 | 23-36 | 26 |
| 14. ბელასიცა | 29 | 5 | 6 | 18 | 18-43 | 21 |
| 15. მარეკი | 29 | 5 | 4 | 20 | 17-62 | 19 |
| 16. ვიდიმა | 29 | 4 | 6 | 19 | 17-58 | 18 |

## ბრაზილია

I ტური

| | |
|---|---|
| ნაუტიკო-გოიასი | 2:1 |
| სან პაულუ-გრემიო | 0:1 |
| ვიტორია-კრუზეირო | 0:2 |
| ბოტაფოგო-სპორტ რესიფე | 2:0 |
| კორიტიბა-პალმეირასი | 2:0 |
| ინტერნასიონალი-ვასკო | 1:0 |
| იპატინგა-ატ. პარანაენსე | 0:1 |
| ატ. მინეირო-ფლუმინენსე | გვ. დასრულდა |
| ფლამენგო-სანტოსი | გვ. დასრულდა |
| პორტუგეზა-ფიგეირენსე | გვ. დასრულდა |

## კოლუმბია

### აპერტურა

XVII ტური

| | |
|---|---|
| ლა ეკიდადი-ინდეპენდიენტე | 2:1 |
| ამერიკა-დეპორტივო (პას) | 2:0 |
| ატლეტიკო ხუნიორი-ატლეტიკო (ბ) | 1:0 |
| კუკუტა-სანტა ფე | 2:0 |
| დეპორტესი-დეპორტივო კალი | 0:0 |
| დეპორტივო (პერ)-ონსე კალდასი | 3:1 |
| მილიონარიოსი-ბუკარამანგა | 1:0 |
| ტოლიმა-ენვიგადო | 1:2 |

## ეკვადორი

### კლაუსურა

XV ტური

| | |
|---|---|
| ტექ. უნივერსიტარიო-დეპ. კიტო | 0:4 |
| დეპ. კუენკა-ოლმედო | 0:1 |
| უნ. კატოლიკა-ელ ნასიონალი | 0:0 |
| ესპოლი-დეპ. მაკარა | 0:2 |
| ლიგა დე კიტო-დეპ. აზოგესი | 4:0 |
| ბარსელონა-ემელეკი | 0:0 |

## პერუ

### აპერტურა

XVII ტური

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-სესარ ვალეხო | 0:0 |
| სპ. კრისტალი-ხოსე გალვესი | 3:2 |
| სენსიანო-მელგარი | 1:0 |
| ალ. ლიმა-ალ. ატლეტიკო | 0:1 |
| ბოლოგნესი-სპორტ ბოისი | 3:0 |
| ხ. აურიჩი-ს. მარტინი | გვ. დასრულდა |
| სპორტი-უნივერსიტარ | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

### კლაუსურა

XIII ტური

| | |
|---|---|
| სენტრალი-უონდერერსი | 0:1 |
| ხუვენტუდი-ბელა ვისტა | 1:2 |
| დეფენსორი-მირამარი | 4:3 |
| დანუბიო-ტაკუარემბო | 1:3 |
| ფენიქსი-რივერ პლეიტი | 1:2 |
| სერო-ლივერპული | 1:5 |
| რამპლა-პროგრესო | 4:3 |
| პენიაროლი-ნასიონალი | 4:2 |

## აშშ

VII ტური

| | |
|---|---|
| ჰიუსტონი-კოლორადო | 2:1 |
| სოლტ ლეიკი-დალასი | 2:1 |
| სან ხოსე-კოლამბუსი | 2:3 |
| ლოს ანჯელესი-ნიუ იორკი | 1:2 |
| ჩივასი-ნიუ ინგლენდი | 1:2 |

## იაპონია

XII ტური

| | |
|---|---|
| კავასაკი-ურავა | 0:1 |
| ოიტა-ვერდი | 2:0 |
| ტოკიო-კაშივა | 0:1 |
| ჯეფ იუნაიტედი-კიოტო | 1:0 |
| ომია-საპორო | 1:2 |
| ნიიგატა-ივატა | 1:0 |
| ნაგოია-კობე | 0:0 |
| შიმიძუ-კაშიმა | 1:0 |
| გამბა-იოკოჰამა | 2:2 |

## ჩილე

### აპერტურა

პლეიოფი

| | |
|---|---|
| ევერტონი-აუდაქსი | 0:3 |
| კოლო კოლო-უნ. კატოლიკა | 3:1 |
| კობრელ-ატ. ნუბლენსე | გვ. დასრულდა |
| უნ. ჩილე-ო'ჰიგინსი | გვ. დასრულდა |

## რუსეთი

X ტური

| | |
|---|---|
| შინიკი-მოსკოვი | 0:1 |
| ნალჩიკი-რუბინი | 2:0 |
| ლოკომოტივი-ტომი | 2:0 |
| სატურნი-დინამო | 2:0 |
| კრილია-სპარტაკი | 1:1 |
| ცსკა-ხიმკი | 4:3 |
| ტერეკი-ამკარი | 0:1 |
| ლუჩი-ზენიტი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუბინი | 10 | 8 | 0 | 2 | 16-8 | 24 |
| 2. ამკარი | 10 | 6 | 1 | 3 | 12-6 | 19 |
| 3. ლოკომოტივი | 9 | 5 | 3 | 1 | 12-5 | 18 |
| 4. სპარტაკი | 10 | 4 | 5 | 1 | 19-13 | 17 |
| 5. კრილია | 10 | 4 | 3 | 3 | 14-10 | 17 |
| 6. ცსკა | 9 | 4 | 3 | 2 | 11-7 | 15 |
| 7. დინამო | 10 | 4 | 3 | 3 | 13-13 | 15 |
| 8. ნალჩიკი | 10 | 4 | 1 | 5 | 9-11 | 13 |
| 9. სატურნი | 10 | 3 | 3 | 4 | 11-10 | 12 |
| 10. ტერეკი | 9 | 4 | 0 | 5 | 8-14 | 12 |
| 11. ტომი | 10 | 3 | 2 | 5 | 8-12 | 11 |
| 12. მოსკოვი | 10 | 2 | 4 | 4 | 11-13 | 10 |
| 13. შინიკი | 10 | 2 | 2 | 6 | 12-17 | 8 |
| 14. ზენიტი | 6 | 1 | 4 | 1 | 7-7 | 7 |
| 15. ლ-ენერგია | 9 | 1 | 3 | 5 | 7-13 | 6 |
| 16. ხიმკი | 10 | 1 | 3 | 6 | 13-24 | 6 |

## შოტლანდია

### საჩემპიონო ზონა

XXXVII ტური

### რეინჯერსი-დანდი იუნ 3:1

გოლები: 1:0 ნოვო (7), 2:0 ნოვო (18), 2:1 დე ვრისი (76), 3:1 დარჩევილი (90)

### მოზერველი-აბერდინი 2:1

გოლები: 1:0 სმიტი (61), 1:1 ალუკო (67), 2:1 პორტერი (81)

### სელტიკი-ჰიბერნიანი 2:0

გოლები: 1:0 მაკმანუსი (37), 2:0 მაკდონალდი (87)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 37 | 27 | 5 | 5 | 83-26 | 86 |
| 2. რეინჯერსი | 35 | 26 | 4 | 5 | 80-30 | 82 |
| 3. მოზერველი | 36 | 17 | 5 | 14 | 47-45 | 56 |
| 4. ჰიბერნიანი | 37 | 14 | 10 | 13 | 49-43 | 52 |
| 4. დანდი იუნ | 37 | 14 | 10 | 13 | 53-46 | 52 |
| 6. აბერდინი | 37 | 14 | 8 | 15 | 48-58 | 50 |

### გასავარდნი ზონა

XXXVII ტური

### ფალკირკი-ინვერნესი 2:1

გოლები: 1:0 ჰიგდონი (28), 2:0 ფინიგენი (68), 2:1 ვილსონი (90-პენ)

### ჰარტსი-კილმარნოკი 0:2

გოლები: 0:1 მიურეი (74), 0:2 ჯაკომო (83)

### სტ. მირენი-გრეტნა 0:0

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფალკირკი | 37 | 13 | 10 | 14 | 44-47 | 49 |
| 2. ჰარტსი | 37 | 13 | 9 | 15 | 47-54 | 48 |
| 3. ინვერნესი | 37 | 13 | 3 | 21 | 51-62 | 42 |
| 4. სტ. მირენი | 36 | 10 | 10 | 16 | 26-51 | 40 |
| 5. კილმარნოკი | 37 | 9 | 10 | 18 | 37-51 | 37 |
| 6. გრეტნა | 37 | 4 | 8 | 25 | 31-83 | 10 |

ბომბარდირები: 25 - მაკდონალდი (სელტიკი); 14 - ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სელტიკი); 13 - ბოიდი (რეინჯერსი), ფლეტჩერი (ჰიბერნიანი), ჰანტი (დანდი იუნ), რობსონი (სელტიკი), პორტერი (მოზერველი); 12 - კლარკსონი (მოზერველი).

### I დივიზიონი

პლეიოფი

კლაიდი-ეირდრი 2:0.

### II დივიზიონი

პლეიოფი

სტრანრარი-არბროა 1:0.

## ისლანდია

I ტური

| | |
|---|---|
| აკრანესი-ბრეიდაბლიკი | 1:1 |
| ფილკირი-ფრამი | 0:3 |
| ჰკ-ჰაფნარი | 0:4 |
| რეიკიავიკი-გრინდავიკი | 3:1 |
| ტროტური-ფიოლნირი | 0:3 |
| კეფლავიკი-ვალური | 5:3 |

## ფინეთი

IV ტური

| | |
|---|---|
| იარო-მარიეჰამნი | 1:2 |
| როვანიემი-მიუპა | 1:1 |

*დანარჩენი მატჩები დღეს გაიმართება*

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 2. მარიეჰამნი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 3. ლაჰტი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-2 | 9 |
| 4. ჰიკ | 3 | 2 | 1 | 0 | 8-1 | 7 |
| 5. როვანიემი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 6. ჰაკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-1 | 4 |
| 7. ჰონკა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-1 | 4 |
| 8. ტურკუ | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 9. მიუპა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 10. იარო | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 11. ტამპერე | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 12. კასა | 3 | 0 | 2 | 1 | 0-1 | 2 |
| 13. კუოპიო | 3 | 0 | 0 | 3 | 2-9 | 0 |
| 14. კოტკა | 3 | 0 | 0 | 3 | 3-11 | 0 |

### II დივიზიონი

II ტური

ვიფკ-იუვიასკიულა 1:1; პკ35-კაპა 2:0; პამეენლინა-ოულუ 1:1; კოკოლა-ტპვ 1:0; ატლანტისი-იიპო 0:1; კემი კინგსი-ვიიკინგიტი 2:2; გრანკულა-ტპ47 1:0.

## შვედეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| კალმარი-იურგორდენი | 5:1 |
| ლიუნგსკილე-ნორჩეპინგი | 0:2 |
| ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 1:3 |
| აიკ-მალმიო | 2:0 |
| ელფსბორგი-გიოტებორგი | დღეს |
| გაის-ერებრუ | დღეს |
| ჰამარბიუ-გეფლე | დღეს |
| სუნდსვალი-ჰალმსტადი | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კალმარი | 11 | 8 | 1 | 2 | 23-8 | 25 |
| 2. აიკ | 11 | 6 | 3 | 2 | 10-8 | 21 |
| 3. გიოტებორგი | 10 | 5 | 4 | 1 | 17-7 | 19 |
| 4. ელფსბორგი | 10 | 5 | 4 | 1 | 11-3 | 19 |
| 5. მალმიო | 11 | 4 | 5 | 2 | 16-13 | 17 |
| 6. იურგორდენი | 11 | 4 | 5 | 2 | 12-14 | 17 |
| 7. ჰელსინგბორგ | 11 | 5 | 3 | 3 | 21-15 | 18 |
| 8. ჰალმსტადი | 10 | 4 | 3 | 3 | 13-11 | 15 |
| 9. ჰამარბიუ | 10 | 4 | 3 | 3 | 11-9 | 15 |
| 10. გაის | 10 | 2 | 6 | 2 | 7-9 | 12 |
| 11. ლიუნგსკილე | 11 | 3 | 1 | 7 | 9-19 | 10 |
| 12. ტრელებორგ | 11 | 2 | 3 | 6 | 9-14 | 9 |
| 13. ერებრუ | 10 | 2 | 3 | 5 | 4-11 | 9 |
| 14. გეფლე | 10 | 2 | 2 | 6 | 7-11 | 8 |
| 15. სუნდსვალი | 10 | 1 | 2 | 7 | 9-18 | 5 |
| 16. ნორჩეპინგი | 11 | 1 | 4 | 6 | 9-18 | 7 |

### II დივიზიონი

IV ტური

დეგერფორსი-ატვიდაბერგი 1:0; ასირისკა-სირიუსი 3:0; კვიდინგი-ბრომაპიოკარნა 1:1; ენჩოპინგი-ანგელჰოლმი დღეს; ჰაკენი-ვასბი დღეს

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ინტერი: შეტევა ეტო'ოს მიმართულებით

## 40 მილიონი ევრო ბარსას. გლები ათ დღეში?

"ინტერი" ცხელი სატრანსფერო ზაფხულისთვის ემზადება. მასიმო მორატის მიზანია, ისე გადაახალისოს გუნდი, რომ საგაისოდ ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის იბრძოლოს. "ნერაძური" რამდენიმე ფრონტზე მუშაობს. მისი ერთ-ერთი ბოლო სამიზნე ლივერპულელი კაპიტანი სტივენ ჯერარდი იყო, მაგრამ მერსისაიდელებმა 25-მილიონგირვანქიანი წინადადება უარჰყვეს. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ "ლივერპული" თავის სიმბოლოს ვერ ელევა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ "ინტერი" ამ საკითხს აღარ მიუბრუნდება.

მაგრამ ახლა რიგში სამუელ ეტო'ოა. "ბარსელონაში" სერიოზული ცვლილებები იგეგმება. სავარაუდოდ, გუნდს რამდენიმე ვარსკვლავი დატოვებს. ერთ-ერთი კამერუნელი ფორვარდიც შეიძლება იყოს. "კორიერე დელო სპორტის" მტკიცებით, მორატი მზადაა, "ბარსელონას" 40 მილიონი ევრო შესთავაზოს. ალბათ, "ნერაძური" ჯერ ხელს ვერ აიღებს რონალდინიოზეც. მაგრამ მას მერე, რაც გაცხადდა, რომ გაუჩოს კუნთების დაავადება აწუხებს, ვეჭვობთ, ეს ტრანსფერი შედგეს. სამაგიეროდ, "ინტერს" წარმატებები აქვს ალექსანდრ გლების მიმართულებით. იმავე "კორიერეს" ვერსიით, ბელარუსი ფლეიმეიქერი "ნერაძურისთან" კონტრაქტს დაახლოებით ათ დღეში გააფორმებს.

# რეალს კარვალიო უნდა

ახალი სეზონიდან "რეალს" ახალი მცველი დასჭირდება. ბერნდ შუსტერს გადაწყვეტილი აქვს, 35 წლის ფაბიო კანავაროს ღირსეული მემკვიდრე მოუძებნოს. როგორც ესპანური პრესა იუწყება, გერმანელის სპეციალისტის არჩევანი "ჩელსის" მცველ რიკარდო კარვალიოზე შეჩერდა. მედიაში დაიწერა, თითქოს, შუსტერმა ამ თხოვნით პრეზიდენტ რამონ კალდერონს უკვე მიმართა კიდეც. ის, რომ სამეფო კლუბში პორტუგალიელი უკანახაზელი ძალიან მოსწონთ, არაახალია. სხვათა შორის, მისი შეძენა შუსტერის წინამორბედ ფაბიო კაპელოსაც სურდა...

ამ რგოლში შუსტერსაც სერიოზული პრობლემები ჰქონდა. კანავარო არასტაბილური იყო, კრისტოფ მეტცელდერმა კი ტრავმებს თავი ვერა და ვერ დააღწია. ამიტომ, შუსტერმა თავი უნდა დაიზღვიოს. თავად კარვალიო კი "რეალში" გადასვლის შესაძლებლობას არც უარჰყოფს და არც ადასტურებს. ისე კი, მის სიტყვებში ესპანური გრანდის მიმართ ერთგვარი საყვედურიც იკითხება:

"სამეფო კლუბის დაინტერესების თაობაზე პრესაში წავიკითხე. მაგრამ ეს დიდი ხანია, მესმის და მხოლოდ ჭორები მგონია, რადგან ჩემთვის, კონკრეტულად, არავის არაფერი უთქვამს".

**გიორგი გელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# რაც ვერ გაიტანა, აანაზღაურა

**ყოჩები-ლელო 11:15**

ყოჩები: (15-9) დადაშიანი, ინაშვილი, გრძელიშვილი, ადანაია, ნიჟარაძე (ელოშვილი 71), გ. კაჭარავა, ხელაძე; (1-8) ასეიშვილი, ბრეგაძე, შეყლაშვილი, ბელაშვილი, არჩუაშვილი, თოთაძე (ყალიჩავა 51), კალმახელიძე, ნიკოლაიშვილი (კიკნაველიძე 61) - *ლ (კაჭარავა), 2ს (გრძელიშვილი, დადაშიანი)*

ლელო: (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი (ჯოგლიძე 67), მანჯავიძე, ქიზიყურაშვილი, ცერცვაძე, ხმალაძე, ჭინჭარაული; (1-8) სუჯაშვილი, ცხოვრებაშვილი, მჭედლიშვილი, ახალაია, იორდანაშვილი, ი. მაისურაძე (თანდარაშვილი 65). მძინარიშვილი, კოლელიშვილი - *2ლ (ყიასაშვილი, ცერცვაძე), გ, ს (ჯოგლიძე)*

მსაჯი: გია ამირხანაშვილი


ირაკლი ყიასაშვილის გარღვევა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

შარშანდელი ფინალისტების შეხვედრა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საინტერესო და შეუპოვარი გამოდგა. შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა „ლელომ" თითქმის წაგებული შეხვედრა შემოაბრუნა და მოქმედი ჩემპიონი „ყოჩები" 15:11 დაამარცხა.

პირველი ნახევარი 3:0 დამთავრდა „ყოჩების" სასარგებლოდ. ერთადერთი საჯარიმო მე-15 წუთზე შუამარბმა **დავით გრძელიშვილმა** 20 მეტრიდან გაიტანა. მანვე ორჯერ არაზუსტად დაარტყა. ამდენჯერვე ვერ გამოიყენა პირველ ნახევარში საჯარიმო „ლელოს" ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა**, არადა, ორივეჯერ ხელსაყრელი პოზიციიდან ურტყამდა.

ლელოს გატანის შანსი პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ „ლელოს" ჰქონდა, როცა გარემარბი **თორნიკე ცერცვაძე** „ყოჩების" ფულბეკმა **მიხეილ დადაშიანმა** ხაზიდან ორ მეტრში შებოჭა და კიდეზე გადაიყვანა.

მეორე ტაიმი სანახაობრივადაც საინტერესო გამოდგა და შედეგიანობითაც. „ყოჩებმა" მამაპაპური, მრავალნაცადი ხერხი, მოლით თამაში გაიხსენეს. ერთ-ერთ ეპიზოდში, მათ საკუთარი ოცდაორმეტრიანი ხაზთან აგორებული მოლით მოწინააღმდეგე ორმოცი მეტრი ათრიეს, რასაც სალელოვე შეტევა მოჰყვა. ლელოელებმა თამაშგარის წესი დაარღვიეს. საჯარიმო „ყოჩებმა" აუტში გადაიტანეს, დერეფნიდან ისევ მოლით მიწოლა სცადეს, მაგრამ „ლელო" ამჯერად ყოჩაღად დადგა. თამაში რაკში გადავიდა, ლელოელები იქაც დაჯარიმდნენ. „ყოჩებმა" ლელოდან ათ მეტრში ამჯერადაც საჯარიმოს გათამაშება არჩიეს. ძალისმიერი დარტყმა პირველხაზელმა **ბექა შეყლაშვილმა** განახორციელა. რაკი და „ლელო" ისევ ჯარიმდება. **გიორგი კაჭარავამ** საჯარიმო სწრაფად გაათამაშა, თვითონვე შეუტია, ორ ლელოელს ხელიდან დაუსხლტა და ბურთი ალამთან ახლოს დადო. გრძელიშვილმა გარდასახვა ვერ გაიტანა - 8:0 50-ე წუთზე.

63-ე წუთზე ყიასაშვილმა კიდევ ერთი საჯარიმო ვერ გაიტანა. თუმცა ოთხიოდ წუთში, რაც აქამდე დააშავა, ერთიანად ზღო. „ლელომ" დერეფანი მოწინააღმდეგის ათმეტრიან ხაზთან მოიგო, მოლი შეკრა და ოცდაორმეტრიან ზონაში შეაღწია, იქ წარმოქმნილი რაკიდან მოკლე დარტყმებით წინ მიიწევდა. თამაში კარის ძელებთან ახლოს მიმდინარეობდა. ის იყო „ლელოს" მორკინალმა მოწინააღმდეგე უნდა გაეტეხათ, რომ ბურთი მოულოდნელად გრძელ ფრთაზე გაიტანეს, **ლაშა ხმალაძემ** შუამარბ **ლადო ქიზიყურაშვილს** გადააწოდა, ამან რამდენიმე მეტრით წინ წაიწია და შეტევაში ჩართულ **ირაკლი ყიასაშვილს** გადააწოდა. ამ უკანასკნელის შეჩერება ზედ ხაზთან თითქოს კი შეძლეს „ყოჩებმა", მაგრამ ყიასაშვილმა მაინც შეძლო ნახტომში ბურთი ხაზს იქით დაედო. გარდასახვა თვითონვე დაარტყა, მაგრამ ისევ არაზუსტად - 5:8.

ამაზე „ყოჩებმა" ერთ წუთში ისევ საჯარიმოთი უპასუხეს. ამჯერად **მიხეილ დადაშიანმა** გაიტანა კიდეც - 11:5.

მოედანზე ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშის, **გოდერძი ჯოგლიძის** გამოსვლის შემდეგ "ლელო" უფრო ცოცხლად ათამაშდა. 71-ე წუთზე დერეფნიდან ისევ მოლი ააგორს და 15 მეტრით წაიწიეს წინ. კიდევ ათი მეტრი რჩებოდა გასავლელი, „ყოჩებმა" მოლის შეჩერება შეძლეს. ლელოელებმა ისევ უკანა ხაზი ჩართეს თამაშში. ხმალაძემ ამჯერად მარცხენა ფრთაზე ჩართო შეტევაში **ყიასაშვილი**, რომელიც მოწინააღმდეგის ორ შუამარბს შორის გაძვრა, ბოლო დამცველიც თავისკენ მიიტყუა და მარტოდ დარჩენილ **თორნიკე ცერცვაძეს** გადააწოდა, რომელიც „ყოჩების" ლელოში შეფრინდა.

ზედ გვერდითი ხაზიდან ამჯერად გარდასახვა გოდერძი ჯოგლიძემ დაარტყა და გაიტანა - 12:11.

დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. „ლელო" შეუპოვრად, მაგრამ დიდი სიფრთხილით განაგრძობდა თამაშს და მატჩის ბოლომდე თითქმის უშეცდომოდ ითამაშა, მეტოქეს, კი საბედისწერო შეცდომა დაუშვებინა. 78-ე წუთზე ჯოგლიძემ ბურთი მოედნის ცენტრთან მიიღო, რამდენიმე მეტოქეს ისე აუარა გვერდი, ხელით წაპოტინებაც კი ვერ შეძლეს. ოცდაორმეტრიან ზონაში მისი დაჭერა მაინც მოახერხეს, მაგრამ ის ფეხზე მყარად იდგა და რამდენიმე მეტრი კიდევ მოიგო. მალე თავისიანებიც წამოეშველნენ და აქ „ყოჩებმა" რაკში თამაშისას წესი დაარღვიეს. ჯოგლიძემ ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა საჯარიმო და „ლელოს" ზედიზედ მეორე გამარჯვება მოუტანა 15:11.

**ბესიკ ჯანგავაძე**

| | |
|---|---|
| **აკადემია-არმაზი** | **26:17** |
| **დინამო-ლოკომოტივი** | **12:31** |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 67:27 | 4 |
| 2. ლელო | 2 | 2 | 0 | 0 | 37:30 | 4 |
| 3. უნივერსიტ. | 2 | 1 | 1 | 0 | 26:21 | 3 |
| 4. ყოჩები | 2 | 1 | 0 | 1 | 35:25 | 2 |
| 5. აკადემია | 2 | 1 | 0 | 1 | 36:41 | 2 |
| 6. აია | 2 | 0 | 1 | 0 | 28:49 | 1 |
| 7. არმაზი | 2 | 0 | 0 | 2 | 25:39 | 0 |
| 8. დინამო | 2 | 0 | 0 | 2 | 31:53 | 0 |


რაგბის კავშირისა და ნაკრების უფროსობა ტრიბუნაზე: გიორგი ნიჟარაძე, ლევან ცაბაძე, გია ჭუმბურიძე, ტიმ ლეინი

# თითქმის ყველაფერი ააცილეს...

**აია-უნივერსიტეტი 13:13**

აია: (1-15) იობიძე (ლომიძე), სხულუხია(ფრუიძე), ტორაძე, ცაცუროვი (ყუბანეიშვილი), რევიშვილი, ჩიქვინიძე, კანკაძე (გურგენიძე), ძაგნიძე (მოდებაძე სბ); როხვაძე, სინაურიძე, გუდავა (ხარატიშვილი), გოგლიჩიძე, სორდია, გორგიძე, შალამბერიძე – *ლ (საჯარიმო), გ, 2ს (სინაურიძე)*

თსუ: კაკოვინი, გ.ზაბახიძე (დონაძე), ქორიძე, დათუნაშვილი, მასხარაშვილი (მჭედლიძე), კილასონია, ტუჩაშვილი სბ, გუნიავა; ა.ზაბახიძე, ნადარეიშვილი, ჯაში, კილასონია (გოგია), კუპრეიშვილი, კავთიძე, ბაირამაშვილი - *2ლ (ტუჩაშვილი, კავთიძე), ს (კუპრეიშვილი)*

მსაჯი: უჩა ნარიმანიძე

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული „აია" გუშინ პირველ საშინაო შეხვედრას ატარებდა. ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე მატჩის სანახავად 1500-მდე ქომაგი შეიკრიბა. შეხვედრა თბილისელთა უპირატესობით დაიწყო. მათ დებიუტშივე შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ **ბაირამაშვილმა** საჯარიმო ვერ გამოიყენა, მე-10- წუთზე სამფაზიანი შეტევის შემდეგ **ვეფხია ტუჩაშვილმა** მეტოქის ლელოში შეაღწია. ბაირამაშვილმა ვერ გარდასახა - 0:5. „აიამ" მალე კარგი შეტევა განახორციელა, თუმცა ქუთათურებს მიზნამდე ერთი ნაბიჯი დააკლდათ. მასპინძლებმა ჯარიმებით განიზრახეს ფონს გასვლა და მათმა ტაქტიკამ გაამართლა - **სინაურიძემ** ზედიზედ ორჯერ გაიტანა და „აია" დაწინაურდა 6:5. უნივერსიტეტს ტაიმის მოგება შეეძლო, მაგრამ მატჩის ყველაზე უიღბლო მოთამაშემ **ბაირამაშვილმა** კიდევ ორი საჯარომო ააცილა.

მეორე ნახევარი უშელავათო ბრძოლაში წარიმართა. თბილისელი **გიორგი ზაბახიძე** და ქუთაისელი **თორნიკე ძაგნიძე** ტრამვების გამო შესაცვლელი გახდნენ. მეორე ტაიმში უნივერსიტეტმა როგორც იქნა ჯარიმა გაიტანა (**კუპრეიშვილი**) და ისევ დაწინაურდა - 8:6, თუმცა სტუმართა უპირატესობამ დიდხანს არ გასტანა. 63-წუთზე ქუთაისელებმა შეტევა წამოიწყეს, **გორგიძემ** ფეხით შეიგორა ბურთი ლელოში და დაამიწრედა კიდეც, მაგრამ აკრძალული ხერხით შეაჩერეს, რის გამოც მსაჯმა საჯარომო ლელო დანიშნა. **სინაურიძემ** გარდასახვა ზუსტად შეასრულა - 13:8.

მალე უხეში თამაშისთვის **მოდებაძე** გაასინბინეს და ქუთაისელები მოედანზე ნაკლებნი დარჩნენ - ამით სტუმრებმა ისარგებლეს, უპირატესობა მოიპოვეს და **კავთიძემ** ლელო გაიტანა, თუმცა, **კუპრეიშვილმა** გარდასახვა ვერ გამოიყენა - 13:13. სტუმრებს ბოლო წუთზე მოგების შანსი ისევ მიეცა , მაგრამ ბაირამაშვილმა საჯარიმო ისევ ააცილა და მატჩიც იქვე დამთავრდა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატის კვალიფიკაცია

# სეტბოლის საქმეა

**საქართველო-ჩერნოგორია 0:3**

17:25, 24:26, 21:25

საქართველო: 3. თინათინ ჭაუჭიძე, 4. ელეონორა კაზარიანი (12. ირინა კახაძე), 8. ნელი აირაპეტიანი (კაპ) (2. ირინა შენგელია), 9. იანა ზადიმენჩენკო, 13. დალი ალიბეგაშვილი, 15. მარიამ ყიფშიძე, 18. თამთა დანელია (ლ)

ჩერნოგორია: 4. ტატიანა ბოკანი (კ), 5. ნატალია მილოშევიჩი (ლ), 8. სონია სმიჩი (7. ევგენია მილოშევიჩი), 10. დანიელა კოსოვიჩი (16. იაან სტოიანოვიჩი), 11. მარია სტანკოვიჩი (3. მარიანა სტანიჩი), 13. ანდრეა ლაკოვიჩი, 15. მარია სანდიჩი

მსაჯები: ელდარ ალიევი, კონსტანტინე სელინი (ორივე აზერბაიჯანი)

საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩერნოგორიის ნაკრებთან მეორედაც წააგო და გათამაშებას გამოეთიშა. სტუმრად სამ სეტში მოეხსნათ და უფრო ლაღად, თავისუფლად და თამამად ათამაშდნენ. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ახალგაზრდა ფრენბურთელების **ელეონორა კაზარიანის, იანა ზადიმენჩენკოს, დალი ალიბეგაშვილისა** და გამთამაშებელ **მარიამ ყიფშიძის** კარგი თამაში.

ჩვენები, მართალია, მინიმალური სხვაობით, მარამ მაინც წინ იყვნენ ანგარიშში. სეტის შუაწელისკენ ჩერნოგორიელებმა შეძლეს ინიციატივის ხელში აღება, რასაც ქართველი ფრენბურთელების რამდენიმე მარტივი შეცდომაც დაერთო და სტუმრები 20:16 დაწინაურდნენ.

აქ ჩვენმა გუნდმა კიდევ ერთხელ გამოავლინა მებრძოლი სული. ჯერ ანგარიში გაათანაბრა 22:22, მერე კი დაწინაურდა კიდეც 24:23. სეტის მოგებამდე ერთი ქულა გვაკლდა. 24-ე ქულა იანა ზადიმენჩენკომ პირდაპირ მოწოდებიდან მოიპოვა. ბოლო გადამწყვეტი ქულის მოპოვებაც იგივე ხერხით სცადა,


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მაგრამ ბურთი ბადეში გაეხვა 24:24. ჩერნოგორიელებმა კიდევ ერთხელ გამოავლინეს თავიანთი ოსტატობა და თავისი მოწოდებიდან ორი გადამწყვეტი ქულის მოპოვება შეძლეს 26:24.

მარცხის შემდეგ ცხადია ჩვენ ფრენბურთელებს შესარჩევ ეტაპზე გასვლს თეორიული შანსი მაინც ჰქონდათ, თუმცა პირველი სეტის დასაწყისიდანვე ნათლად გამოჩნდა, რომ პრაქტიკული შანსი მიზერული იყო.

ჩერნოგორიელები თავიდანვე, შვიდი ქულით დაწინაურდნენ 9:2. საქართველოს ნაკრებმა შემდგომ თამაშის გამოსწორება, დალაგება კი შესძლო, მაგრამ მაქსიმუმი, რაც მოახერხა ანგარიშში სხვაობის ოთხ ქულამდე შემცირება იყო - 8:12.

საბოლოოდ პირველი სეტი, რომელშიც ჩვენი გუნდიდან განსაკუთრებით ვერავის გამოვყოფთ, ჩერნოგორიელებმა - 25:17 მოიგეს.

მეორე სეტში, ალბათ იმიტომ, რომ ორი რაუნდის ჯამში გამარჯვებული უკვე ცნობილი იყო და დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, ქართველ ფრენბურთელებს ფსიქოლოგიური ტვირთი

ქართველებს ბრძოლა არც მესამე სეტში შეუწყვეტიათ. ერთი ხანობა ანგარიშში სამი ქულითაც წინ იყვნენ 12:9, 13:10. მშვენივრად ჩაერთო თამაშში შეცვლაზე შემოსული, ტანმაღალი **ირინა შენგელია**, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ბლოკზე თამაში და რამდენიმე ძლიერი დარტყმით გუნდს ქულებიც შესძინა.

თუმცა, გამოცდილება და შესაბამისად, ოსტატობა ამჯერადაც არ ეყო ჩვენ ახალგაზრდულ გუნდს. ჩერნოგორიელებმა ანგარიში ჯერ გაათანაბრეს 19:19, მერე კი საქმე გამარჯვებამდეც მიიყვანეს 25:21.

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი. ერთა თასი

# ესპანეთმა მოგებით დაასრულა

ევროპის ერთა თასის გათამაშება დასრულდა. ბოლო შეხვედრაში ესპანეთის ნაკრებმა მადრიდში პორტუგალიის ნაკრებს უმასპინძლა და 21:17 დაამარცხა. შედეგად ესპანელი ლომები მე-4 ადგილზე გავიდნენ. პორტუგალიელები კი ბოლო ხანს მათთვის უჩვეულო, მე-5 ადგილს დასჯერდნენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 10 | 9 | 0 | 1 | +178 | 18 |
| 2. რუსეთი | 10 | 8 | 0 | 2 | +167 | 16 |
| 3. რუმინეთი | 10 | 6 | 0 | 4 | +133 | 12 |
| 4. ესპანეთი | 10 | 4 | 0 | 6 | -7 | 8 |
| 5. პორტუგალია | 10 | 3 | 0 | 7 | -12 | 6 |
| 6. ჩეხეთი | 10 | 0 | 0 | 10 | -447 | 0 |

ქალთა რაგბი. ევროპის შესარჩევი

# პირველი ორი მოგება ევროპაში

საქართველოს ქალთა ნაკრებმა შვიდკაცას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, ბოსანიაში, თორმეტ გუნდს შორის მე-10 ადგილი დაიკავა და შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდა. ჩვენი გუნდი ასეთი რანგის შეჯიბრის დებიუტანტია და ვფიქრობთ, მათი გამოსვლა მკაცრად არ უნდა შეფასდეს.

ჯგუფში ჩვენმა ქალებმა ხუთი შეხვედრა გამართეს, რომელთაგან მხოლოდ ერთში, მასპინძლებთან გაიმარჯვეს - 14:0. მერე, მე-9 ადგილისთვის ნახევარფინალში სლოვენიელები სძლიეს - 31:0, ფინალში კი სერბებთან დამარცხდნენ 0:20 და მე-10 ადგილს დასჯერდნენ.

ტურნირი რუმინეთის ნაკრებმა მოიგო, რომელმაც ფინალში ფინელთა გუნდს 21:14 მოუგო. ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლას ეს ორი გუნდი გააგრძელებს.

| | |
|---|---|
| **საქართველო-ავსტრია** | 10:34 |
| **საქართველო-ისრაელი** | 7:42 |
| **საქართველო-ბოსნია** | 14:0 |
| **საქართველო-ხორვატია** | 7:15 |
| **საქართველო-რუმინეთი** | 0:50 |
| **მე-9 ადგილისთვის.** | |
| ნახევარფინალი | |
| **საქართველო-სლოვენია** | 31:0 |
| **ფინალი** | |
| **საქართველო-სერბეთი** | 0:20 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი. U 18

# ლიდერი არ გამოკვეთილა

**საქართველოს** ჩემპიონატზე უკვე ოთხი ტური გაიმართა. გოგონათა შორის 7 მონაწილეს აქვს სამი ქულა და პირველ-მეშვიდე ადგილებს იყოფს, ვაჟებში კი კვარტეტია ცხრილის სათავეში, 3,5 ქულით.

გოგონებში უპირველესმა ფავორიტმა **სოფიკო გურამიშვილმა** ზედიზედ ორჯერ ყაიმით ითამაშა და საკუთარ რეიტინგს გვარიანი ზიანი მიაყენა - მასსა და დანარჩენ მეტოქეთა შორის 150 და მეტი სხვაობაა. ვაჟებში პირველმა ნომერმა **ლუკა პაიჭაძემ** მესამე ტურში სულაც წააგო - მისი მჯობნი გიორგი ნიკოლაშვილი აღმოჩნდა. ნიკოლაშვილმა მეოთხე ტურშიც **დიმიტრი კვარაცხელიასთან** ქულა გაიყო და ლიდერთა კვარტეტშია. მოულოდნელია კვარაცხელიას ლიდერობა - იგი რეიტინგით მეთერთმეტეა და მესამე ტურში მოახერხა ერთ-ერთი ფავორიტის, **ქეთი ნაწალაშვილის** დამარცხება. ქეთიმ მეოთხეში იმარჯვა და სამი ქულა აქვს. რახან ვაჟებთან მოთამაშე გოგონებზე ჩამოვარდა სიტყვა, სხვებზეც ვთქვათ, მით უმეტეს გუშინდლამდე უდანაკარგდ მიდიოდა წინ **მერი არაბიძე**. მერიმ მეოთხე ტურში წააგო, თეთრებით, მესამედ განთესილ **დავით ბენიძესთან**. ბენიძეც კვარტეტის წევრია, - ნახევარი ქულა მესამე ტურში თანაქალაქელ **ზურაბ ჯავახაძესთან** დაკარგა.

გუშინ, იმარჯვა **დეა გოგიშვილმაც** - შავებით **გიორგი ლომიძე** დაამარცხა და მეორე ქულა აილო. წარმატებული ესტაფეტა გადაიბარა 10 წლის **ნინო ხომერიკმაც** - შავებით **ილია ხელაია** დაამარცხა. ნინოსთვის ეს წარმატება პირველი იყო და 1,5 ქულა აქვს დღეისთვის მარაგში.

გოგონებში 24 მონაწილეა, ბიჭებში კი - 46, თუმც შესაძლოა, დღეიდან ეს რიცხვი ერთით შემცირდეს - **თორნიკე გაბუნია ზვიად ფაციასთან** სათამაშოდ არ გამოცხადდა და თუ დღესაც ითამაშებს, ტურნირიდან გაირიცხება.

მეხუთე ტურში: **მადონა ბოკუჩავა (3) - სოფიკო გურამიშვილი (3), სალომე ხაყომია (3) - მერი ჟორჟოლიანი (3), მარიამ დანელია (3) - თინათინ ბერიძე (3), თამარ სამნიაშვილი (3) - ფატი რიჟამაძე (2,5), მარიამ** თევზაძე (2) - ნატო იმნაძე (2,5), ნათია ჯალაბაძე (2) - ანუკი ხაჟომია (2), ირმა გელდიაშვილი (2) - ნინო კეკელიძე (2), ეკა გოგლიძე (2) - ლიკა კობეშავიძე (2)

ვაჟები: **დიმიტრი კვარახცელია (2,5) - დავით ლომსაძე (3,5), დავით ბენიძე (3,5) - გიორგი ნიკოლაშვილი (3,5), ლუკა პაიჭაძე (3) - მერი არაბიძე (3), ირაკლი ჯანიაშვილი (3) - ქეთი ნაწალაშვილი (3), ზურაბ ჯავახაძე (3) - ზვად ფაცია (3), კახაბერ წერეთელი (2,5) - სიმონ ხაჲალია (3), ანდრო ერვანდიანი - (2,5) - ვახტანგ კაშია (2,5), გიგლა ბენიძე (2,5) - ნიკოლოზ შენგელია (2,5), ირაკლი ბერაძე (2) - ლაშა კაჭარავა (2), გიორგი ლაცაბიძე (2) - გიორგი ქერაშვილი (2)**

**ტურნირის** მიმდინარეობისას შაბათს, ჭადრაკის ფედერაციამ ბლიცტურნირი ჩაატარა, სადაც ყველა მსურველს შეეძლო ასპარეზობა. შემადგენლობა საკმაოდ სოლიდური შეიკრიბა - ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესმა მოჭადრაკემ გამოთქვა თამაშის სურვილი. ტურნირზე საპრიზო ფონდი იყო დაწესებული: გამარჯვებული 100 ლარს იღებდა.

სტარტი და შუა წელი ერთი ამოსუნთქვით გაიარა **მიხეილ მჭედლიშვილმა**, რომელმაც ზედიზედ 7 პარტია მოიგო. სულ ცხრა ტური უნდა გათამაშებულიყო და მჭედლიშვილის უპირატესობა ამ დროისთვის ისეთი დიდი გახდა, რომ დარჩენილ ორ პარტიაში, რომც წაეგო, პირველობას ველარავინ შეეცდებოდა - ქულებით გათანაბრება რამდენიმეს შეეძლო, მაგრამ კოეფიციენტით მაინც ჩამორჩებოდნენ. როგორც ჩანს, ამ მომენტმა მოადუნა მჭედლიშვილი და მართლაც დამარცხდა ორივე მომდევნო შეხვედრაში. 7 ქულა კიდევ სამმა დააგროვა, - **თორნიკე სანიკიძემ, კონსტანტინე შანავამ და შოთა აზალაძემ**. ადგილებიც ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა.

ქალებში პირველი ადგილი **ინგა ჭარხალაშვილმა** დაიკავა, რომელმაც 6 ქულა დააგროვა და საერთო ცხრილში მეხუთეზე გავიდა. მეორე ადგილი ასევე 6 ქულით **სოფიკო ხუხაშვილმა** მოიპოვა, მესამეზე **სოფიკო ტერელაძეა** 5,5 ქულით.

**ზვიად შათირიშვილი**

ხელბურთი

# სამი წაგება და ბოლო ადგილი

**საქართველოს** 18-წლამდელთა ნაკრებმა ხორვატიის ქალაქ პულაში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე სამივე მატჩი წააგო და ბოლო ადგილზე დარჩა. ხორვატებთან 6:51 განადგურების შემდეგ ქართველები დამარცხდნენ ბელგიასთან (15:41) და ნორვეგიასთან – 11:56.

# ჭანტურიამ ჩემპიონობა გაიფორმა

**მაკედონიის** ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში **რეზო ჭანტურიას** „მეტალურგმა" ჩემპიონობა გაინაღდა. სკოპიელებმა საკუთარ მოედანზე გაანადგურეს მეოთხეადგილოსანი „პრესპა" (41:26), უახლოეს მდევარ „ვარდართან" სამქულიანი ფორა შეინარჩუნეს და ბოლო ტურის წინ, მეტოქისთვის მიუწვდომელები არია. რეზო ჭანტურია თავის გუნდს 6 გოლით შეეწია. ახლა „მეტალურგს" შანსი აქვს, რომ სეზონი დუბლით დაასრულოს. ამისთვის ჭანტურიამ და მისმა თანაგუნდელებმა 18 მაისს, მაკედონიის თასის ფინალში „ვარდარს" უნდა მოუგონ. ცნობისთვის, შარშან ორივე ტიტული „ვარდარმა" მოიპოვა.

# ლიუბეკეს შანსი ბოლო ტურშია

**გერმანიის** სახელბურთო ბუნდესლიგაში, ბოლოსწინა ტურის მატჩები გაიმართა. **სერგო დათუკაშვილის** „ლიუბეკემ" სტუმრად ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოიპოვა უშუალო კონკურენტ „მინდენთან" (33:27) და ბოლო ტურის წინ, ბუნდესლიგაში დარჩენის შანსი დაიტოვა. სამწუხაროდ, ქართველ გარემარბს გოლი არ გაუტანია. „ლიუბეკე" 18-გუნდიანი ლიგის მე-17 საფეხურზე იმყოფება, მაგრამ ბუნდესლიგაში დასარჩენ პლეი ოფის ზონაში (მე-16 ადგილი) მყოფ „მინდენს" ქულებით გაუთანაბრდა. მართალია, სერგოს კლუბმა ამ სეზონში ორივეჯერ მოუგო „მინდენს", მაგრამ რეგლამენტის თანახმად, უპირატესობა ურთიერთშეხვედრებს კი არა, ბურთების შეფარდებას ენიჭება. ამ მხრივ კი „ლიუბეკე" 32 გოლით უკანაა.

ამრიგად, ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება, მაგრამ „ლიუბეკეს" ბედი მხოლოდ საკუთარ ხელში არ არის. დასკვნით ტურში ლიუბეკეელები მასპინძლობენ მეთორმეტეადგილოსან უმოტივაციო „ფუქსეს". გამარჯვების შემთხვევაში, ისინი დამოკიდებულები იქნებიან კონკურენტების შედეგებზე. „მინდენი" სტუმრად ეთამაშება მეორეადგილოსან „ფლენსბურგს" და ლოგიკურად, უნდა წააგოს. სამშვიდობო მე-15 ადგილზე მოკალათებული „ესენი" კი, რომელიც „ლიუბეკეს" ერთადერთი ქულით უსწრებს, თავის მოედანზე მიიღებს მეთერთმეტადგილოსან „მელზუნგენს". ასე, რომ ბოლო ტურისთვის „ლიუბეკეს" 3 ვარიანტი აქვს: ბუნდესლიგაში დარჩენა, პლეი ოფში თამაში და მეორე ლიგაში დაქვეითება...

**კობა ხატისაშვილი**

კალათბურთი. ლეგიონი

# მარკოიშვილი და ცინცაძე დაგვრჩა



სერგო ათუაშვილი, შესაძლოა, ფინალში გიორგი ცინცაძეს დაუპირისპირდეს

**გასულ კვირას ქართველ ლეგიონერთაგან ზოგმა ფინალებს მიაღწია, ზოგმა - სეზონი დაასრულა.**

**მანუჩარ მარკოიშვილისა** და **გიორგი ცინცაძის** გუნდები შიდა ჩემპიონატებში ოქროს მედლების მოპოვების მთავარი პრეტენდენტები რომ არიან, ნახევარფინალებშიც დაამტკიცეს. მანუს "კიევმა" უკრაინაში 3:0 დაამარცხა "დნეპრი", ხოლო ცინცაძის "ტარტუ როკმა" ესტონეთში ამავე ანგარიშით აჯობა "ფაუსტოს".

სადღეისოდ არ გარკვეულა "კიევის" მეტოქე გადამწყვეტ სერიაში – მეორე ნახევარფინალში "აზოვმაშსა" და "ხიმიკს" შორის ანგარიშია – 2:2. ტარტუელთა მეტოქე ფინალში იქნება ტალინის "კალევი", რომელმაც თავის მხრივ ნახევარფინალში "პირატას" სძლია. ესტონეთის ჩემპიონატის პირველი ფინალური მატჩი 13 მაისს გაიმართება, მას "როკი" უმასპინძლებს. მეორე შეხვედრა, 15 მაისს კვლავ ტარტუში შედგება, ხოლო მომდევნო ორს "კალევი" უმასპინძლებს – 18 და 21 მაისს. სერია ოთხ მოგებამდეა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მატჩები 25, 28 მაისსა და 1 ივნისს გაიმართება.

ვინც ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული **სერგო ათუაშვილის** ინტერვიუ წაიკითხა, ემახსოვრება, რომ იგი ტტუდან ისევ "კალევში" აპირებდა დაბრუნებას და თუ რეგისტრაცია მოხერხდა, ფინალურ სერიაშიც ჩაებმევა. მანამდე სერგო ტტუ-ს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმარა. გადათამაშებაში ტტუ-ელები "ფილმიპოოდს" დაუპირისპირდნენ და მეტოქეს დაანახვეს, რომ ზედა ეშელონში სწორედ ტტუ-ს მსგავსი გუნდი უნდა თამაშობდეს – 86:64 აჯობეს.

სერგო მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, რასაც სნაიპერობაში ხელი არ შეუშლია – 7 ორქულიანი, 5 საჯარიმო ჩააგდო და 19 ქულას მოუყარა თავი. მის მსგავსად 19-19 ქულა ტტუელმა ორულამ და "ფილმიპოოდელმა" ნორაკმა ჩააგდეს.

ასე რომ, ტტუ გაისადაც უმაღლეს ლიგაში ითამაშებს, თუმცა სერგო ათუაშვილის გარეშე, რომელსაც "კალევთან" ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.

**გასულ** პარასკევს, "არისი"-"მარუსის" საფინალო ანგარიშს რომ დავხედე (79:85), საკუთარ თვალებს არ დავუჯერე, ნამდვილად ვერ წარმომედგინა, რომ ბოისას თანაგუნდელები მეორე საშინაო მატჩსაც დათმობდნენ და ნახევარფინალის საგზურსაც.

**ვლადიმერ ბოისას** არდადეგები გაუთვალისწინებლად ადრე დაეწყო, ისევე როგორც მწვრთნელ **გორდონ ჰერბერტს**, რომლის გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

სამაგიეროდ, ესპანურ "კახასოლში" მოთამაშე **ტაირონ ელისმა** დიდი ხნის წინათ იცოდა, რომ ნახევარფინალში ვერ ითამაშებდა. სევილიელებმა ბოლო ორ თვეში არაერთი გრანდი დაამარცხეს მათსავე მოედანზე, მაგრამ სეზონის პირველ ნახევარში იმდენი ქულა გაფლენგეს, რომ საბოლოოდ მეათე ადგილს დასჯერდნენ. 34-ე ტურში ელისის თანაკლუბელები მადრიდში "რეალს" ესტუმრნენ, ღირსეული წინააღმდეგობაც გაუწიეს, მაგრამ 81:89 დამარცხდნენ. ელისმა თავი არც ამჯერად შეირცხვინა: 32 წუთში 12 ქულა, 5 შედეგიანი გადაცემა და 2 მოხსნა ჩაიწერა. მატჩის სნაიპერი მადრიდელი **ალექს ჰარველე** გახდა – 24 ქულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიკური ჭიდაობა. სალიცენზიო ტურნირი

# მეხუთე, კვირკველია!

**გუშინ**, რომის სალიცენზიო ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა მეხუთე ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა. ტურნირის გამარჯვებული მანუჩარ კვირკველია (74) გახდა.

კვირკველიას შესაძლებლობების მქონე ფალავანი ულიცენზიოდ არც უნდა დარჩენილიყო, მეტიც - საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანა, მაგრამ რომში იმდენად ძლიერად იჭიდავა, ოლიმპიადისადმი დიდი ოპტიმიზმით აგვავსო. პეკინის საგზურისთვის რომში ძალიან ბევრი უძლიერესი მოჭიდავე იყო ჩასული - რუსი, ევროპისა და მსოფლიოს 2-2-გზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ვარტარეს სამურგაშევი**; უკრაინელი, მსოფლიო ჩემპიონი **ვოლოდიმირ შაცკიხი**; ფინელი, მსოფლიო ჩემპიონი **მარკო ილი-ჰანუკსელა**; შვეიცარიელი **რეტო ბიუხერი**, ვისაც ჩვენებურმა შარშან ევროპირველობის ფინალში მოუგო; ყირგიზი **დანიარ კობონოვი**, ვინც წინა ოლიმპიურ ციკლში ბადრი ხასაია დაგვიტოვა ულიცენზიოდ... თან, კვირკველიას არც წილისყრამ გაუმართლა, მაგრამ მან ყველასა და ყველაფერს სძლია და მიზანს მიაღწია. სხვას რომ თავი დავანებოთ, სამურგაშევს მოუგო და საკმაოდ დამაჯერებლადაც.

კვირკველიამ ისიც დაამტკიცა, რომ ცოტა არაპროგნოზირებადი მოჭიდავეა, რომელიც ყოველთვის არ ჯდება მწვრთნელის მიერ განსაზღვრულ ჩარჩოებში, ხშირად არღვევს მის მითითებებს და თავად იღებს გადაწყვეტილებებს. სწორედ ამიტომ მიმართავს ხშირად ნაკრების თავკაცი **ბეგი დარჩია** მის მოსარჯულებლად შემოლაწუნების მეთოდს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ უმეტესად, კვირკველიას მიდგომებიც ამართლებს. გავიხსენოთ 2003 წლის მსოფლიო პირველობის ფინალი, სადაც იგი მწვრთნელთა მითითებების საწინააღმდეგოდ, თავიდან ძალზე ინერტულად ჭიდაობდა უკრაინელ **არმენ ვარდანიანთან** და ყველანი ძალიან გვანერვიულა, მაგრამ ბოლოს ისე იფეთქა, თქვენი მოწონებული!

შარშან, მსოფლიოზე წაგების შემდეგ მან აქცენტი სწორედ სალიცენზიო ტურნირებზე აილო და წლევანდელი ევროპირველობაც ამიტომ გამოტოვა. ახლა უკვე თამამად შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ კვირკველია მაშინ არ იყო ფორმაში. სიმართლე გითხრათ, ერთგვარი შიშიც კი გაჩნდა, მოახერხებდა თუ არა ის ფორმის აღდგენას. ნაკრებსა თუ ფედერაციაში ამ პესიმიზმს პირდაპირ არავინ ავლენდა, მაგრამ მათ შეფასებებში თავშეკავება, სიფრთხილე და შიშნარევი მოლოდინი კი იგრძნობოდა. თუმცა, კვირკველიამ პირველივე სალიცენზიო ტურნირზე დაამტკიცა, რომ მისმა ტაქტიკამ ისევ გაამართლა. გუშინ, მანუჩარმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა როგორც ფიზიკური, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით და ეჭვი არაა, ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში კიდევ მოუმატებს. ბუნებრივია, იყო ხარვეზებიც, მაგალითად, სამურგაშევთან პირწმინდად დათმო მეორე პერიოდი - 0:6, როცა მეტოქემ ზედიზედ სამჯერ დაატრიალა; ფინალში აზერბაიჯანელი **ილგარ აბდულოვი** პირველივე წამებზე ძალზე იოლად შეუშვა ილეთზე, მაგრამ მსგავსი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად ოლიმპიადამდე 2 თვეზე მეტია. სამურგაშევთან ჩაგდებული მეორე პერიოდის მიუხედავად, კვირკველია ჩოქბჯენში მაინც საკმაოდ კარგად ჭიდაობდა და იმავე რუსსა და აზერბაიჯანელთან ერთიორჯერ არათუ თავი დაიცვა, დაუძვრა კიდეც და იქით აართვა ქულა. ამ ძლიერ მეტოქეებს რამდენჯერმე 5-ქულიანზეც წაეპოტინა, მაგრამ გდებები მთლად წარმატებით ვერ დაასრულა.

მის კარგ გამოსვლაზე სტატისტიკური მაჩვენებლებიც მიუთითებს - რომის ხალიჩაზე გამართული 5 ბრძოლიდან 4 ძირითადში მოიგო და დამატებითი დრო მხოლოდ სამურგაშევთან დასჭირდა; ამ ხუთიდან ორ შეხვედრაში საერთოდ არ დაუკარგავს ქულა; მთლიანობაში, ტურნირი ჩინებული შეფარდებით მოიგო - 47: 13. ამასთან, ვადამდე ანუ ქულათა დიდი უპირატესობით მოიგო სამი პერიოდი.

კვირკველიამ პირველ წრეში ძალზე იოლად დაჯაბნა კანადელი **კოლინ დეინესი** და ორივე პერიოდში ვადამდე იმარჯვა - 6:0, 6:0. აი, სწორედ მეორე წრეში შეხვდა სამურგაშევი, რომელიც, ალბათ, ყველაზე სერიოზული კონკურენტი გახლდათ. 29 წლის სამურგაშევი ბოლო წლებში იმდენად ველარ ყოჩაღობს და ერთხელ შმაგი გულიაშვილმაც კი მოუგო, მაგრამ მისი გამოცდილების პატრონი ჯერ მაინც უდიდესი საფრთხეა. კვირკველიამ შევხედრა აქტიურად დაიწყო და პირველი პერიოდი 5:0 მოუგო. სამაგიეროდ, მეორეში სუფთად დამარცხდა. თანაც, ისე, მსაჯებს ვერაფერში მიედავებოდი -0:6 და შეხვედრაც დამატებით დროში გაგრძელდა. საბედნიეროდ, იქ ჩვენებურმა 2:1 იმარჯვა, რითაც ლიცენზიაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. მით უფრო, რომ ამ დროს ბიუხერიც გავარდნილი იყო და ჰანუკსელაც.

კვირკველიას მეოთხედფინალში ესტონელ **ეერიკ აპსს შეხვდა**. ის არაა ძლიერი და მით უფრო - სამურგაშევის ფონზე, მაგრამ კომიკური სიტუაცია კი ნამდვილად შეიქმნა - კვირკველიას მასთან რომ წაეგო, სამურგაშევს ლიცენზიისკენ მიმავალ გზას გადაუჭრიდა, თავად კი მესამეზე გასვლის ანუ საგზურის მოპოვების შანსს ისევ ინარჩუნებდა, თუ ესტონელი ფინალში გავიდოდა. კვრიკველიამ თავისი საქმე გააკეთა - ესტონელს 4:0, 5:2 მოუგო. ნახევარფინალში მისი მეტოქე შვედი ბაბულფატი აღმოჩნდა, რომელიც მედლებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ბოლო წლებში ევროპა-მსოფლიოზე ხუთეულში კი გასულა. კვირკველიამ შანსი არც მას დაუტოვა - 7:0, 4:0 მის სასარგებლოდ. ამ მოგებით მან ორი საგზური მოიპოვა - ტურნირის ფინალისა და ოლიმპიადის. მთავარი საქმე გაკეთებული იყო - ლიცენზია მოიპოვა და ფინალის შედეგი არაფერს წყვეტდა, მაგრამ ბრძოლის ჟინით ატანილ კვირკველიას თითქოს დაოკება უჭირდა. არც აბდულოვი დაინდო, თუმცა პირველი პერიოდი მაინც ძნელ ბრძოლაში მოუგო - 5:4. ანგარიშის მიუხედავად, ჩვენებური მაინც საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, მეორე პერიოდს კი 3:0-ზე იგებდა, როცა მეტოქეს ნეკნი ატკინა და ორთაბრძოლაც შეწყდა.


მანუჩარ კვირკველია

ბარემ აქვე გეტყვით, რომ ფინალისტების გარდა, ლიცენზიები სამურგაშევმა და ამერიკელმა **თომას დანცლერმა** მოიპოვეს.

სამწუხაროდ, ლიდერს მხარი ვერ აუბეს ახალგაზრდა კოლეგებმა - **მუხრან მაჭუტაძემ** (66) და **რევაზ ჭელიძემ** (120). მაჭუტაძე პირველივე წრეში დამარცხდა ხორვატ დანი **ელ იანჩიჩთან**, ჭელიძემ ორი შეხვედრა მოიგო - ბრაზილიელ **როდრიგო არტილეიროსთან** და **ტაჯიკ მუროჯან ტუჩიევთან**, მაგრამ მერე უკრაინელ **ალექსანდრ ჩერნეცკისთან** წააგო და გავარდა, რაკი ის ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან, ბერძენ პანაიოტის პაპადოპულოსთან დამარცხდა. ამ დუეტს ახლა ლიცენზიების მოსაპოვებლად ერთადერთი შანსი დარჩა - 23-25 მაისს სერბულ ნოვი სადში გასამართი ბოლო ტურნირი.

**ირაკლი თავაძე**

სუმო

# გორგაძე ელიტაში გამარჯვებით იწყებს


ტოჩინოშინის პირველი ბრძოლა ელიტაში

**გუშინ**, სუმოს უმაღლეს დივიზიონ მაკუუჩიში სადებიუტო ბრძოლა მოიგო 20 წლის ქართველმა ფალავანმა **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)**. ტოჩინოშინი აღმოსავლეთის მე-14 მაეგაშირაა, ის დასავლეთის მე-14 მაეგაშირა **იოშიკაძეს** შეხვდა. დაჯახების მერე ლევანმა ჯიქურ შეუტია იაპონელს და დოჰიოს კიდემდე უპრობლემოდ მიიყვანა, იქ კი გაუძალიანდა იოშიკაძე ქართველს, კინაღამ დაუძვრა კიდეც მას, მაგრამ საბოლოოდ ჩვენებურმა მეტოქე დოჰიოს მიღმა მაინც გაიყვანა. ისევე როგორც 2004 წლის იანვრის ბაშოზე (მაშინ **კოკაის** ჰქონდა დებიუტი მაკუუჩიში) ქართველმა სუმოისტმა თავისი სადებიუტო ბრძოლა მოგებით აღნიშნა.

თავად კოკაის (**ლევან ცაგურია**) ნაკლებად გაუმართლდა – მისი მეტოქე აღმოსავლეთის ოძეკი **კოტომიცუკი** იყო. დაჯახების შემდეგ ჩემპიონმა მარჯვენა ხელით შიტატედაშინაგეს ილეთით ძირს დაანარცხა ქართველი პირველი მაეგაშირა. მეორე საბრძოლო ტურში ქართველებს „მონღოლთა დღე“ექნებათ ტოჩინოშინი ძალებს დებიუტანტ **ჰაკუბასთან** მოსინჯავს, რომელთან ერთადაც გაიარა სუმოს იერარქიის რთული გზა, ხოლო კოკაის დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** გამოცდის.

ნაცუ ბაშო კი უდიდესი სენსაციით დაიწყო – „კოკუგიკანი“ კინაღამ ჩამოიქცა მას შემდეგ, რაც ტოკიოს პუბლიკის ჯილამ, იაპონელმა **კისენოსატომ** (კომუსუბი) იმპერატორის თასის 22-ჯერ მფლობელი მონღოლი **ასაშორიუ** დააგდო. მაისის ტურნირის პირველ დღეს ჰაკუჰომ და ყველა ოძეკიმ იმარჯვეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ნაცუ ბაშო**

**მაისის სუპერტურნირი**

**11–25 მაისი; ტოკიო (იაპონია)**

I დღე: კოკაი (1)-კოტომიცუკი (ო) 0:1 (შიტატედაშინაგე); ტოჩინოშინი (14)-იოშიკაძე (14) 1:0 (ოშიდაში); კისენოსატო (კ)-ასაშორიუ (ი) 1:0 (ოშიტაოში); ჰაკუჰო (ი)-ასასეკირიუ (კ) 1:0 (ჰატაკიკომი); კაიო (ო)-ბარუტო (1) 1:0 (იორიკირი); ჩიოტაიკაი (ო)-კიოკუტენჰო (2) 1:0 (ცუკიდაში); კოტოოშუ (ო)-ვაკანოჰო (2) 1:0 (იორიკირი); ამა (ს)-მიაბიამა (3) 1:0 (ოკურიდაში); კოტოშოგიკუ (ს)-კაკურიუ (3) 1:0 (იორიკირი); ამინიშიკი (4)-ტოკიტენკუ (4) 1:0.

II დღე: კოკაი (1)-ჰაკუჰო (ი); ტოჩინოშინი (14)-ჰაკუბა (16); ასაშორიუ (ი)-ბარუტო (1); კაიო (ო)-ასასეკირიუ (კ); ჩიოტაიკაი (ო)-კისენოსატო (კ); კოტოოშუ (ო)-კიოკუტენჰო (2); კოტომიცუკი (ო)-ვაკანოჰო (2); კოტოშოგიკუ (ს)-მიაბიამა (3); ამა (ს)-კაკურიუ (3); ამინიშიკი (4)-ტოიონოშიმა (5).

ჩოგბურთი

# წაგებული ნახევარფინალი და ორი ფინალი


ანა ტატიშვილი ინდიანა ჰარბორში

**18 წლის ანა ტატიშვილმა** (276) კარგად იასპარეზა ფლორიდის შტატში, ინდიან ჰარბორ ბიჩის 50-ათასიან ტურნირში. ანამ მეოთხედფინალში „უაილდ ქარდით“ მიწვეული 16 წლის ამერიკელი **კრისტინა მაკლჰეილი** დაამარცხა – 7:5, 6:1. ტურნირის ნახევარფინალში ტატიშვილი მე-2 ნომრად განთესილ ბელგიელ **იანინა ვეკმაიერს** (ბელგია) ხვდებოდა, რომელიც მსოფლიოს 120-ე ჩოგანია. სამწუხაროდ, ანამ ვერ შეძლო ვეკმაიერისთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა – 2:6, 0:6. ვეკმაიერი ფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე პირველ ნომრად განთესილი ამერიკელი **ბეტინა მატეკია** (107). ინდიან ჰარბორ ბიჩში ანა ტატიშვილმა 16 სარეიტინგო ქულა მიიღო, დღევანდელი რეიტინგის გამოქვეყნების შემდეგ ქართველი დაახლოებით 20 საფეხურით წაიწევს წინ და კარიერაში საუკეთესო შედეგსაც აჩვენებს.

ანთალიასთან მდებარე კურორტ მანავგათში 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა პემრა ოზგენთან** (თურქეთი) ერთად 25-ათასიანი ტურნირის წყვილთა თანრიგში მე-4 ნომრად განთესეს. ქართულ-თურქულმა დუეტმა ფინალში გააღწია, სადაც მე-2 ნომრად განთესილ ავსტრიელ **კლაფნერს** და ბელარუს **მილევასკაიას** შეხვდა. ოქსანამ და პემრამ ორ სეტში დათმეს ფინალი – 2:6, 5:7. ოქსანა კალაშნიკოვა წყვილთა რეიტინგში 348-ე ჩოგანია, თუმცა ის დიდად ვერ წაიწევს წინ, რადგან შარშან ანალოგიურ ტურნირში ანთალიაში ასევე ფინალში გავიდა.

ინდოეთის ქალაქ ტრივანდრუმში 10-ათასიანი ტურნირის წყვილთა ბადის ფინალში ითამაშა 17 წლის **მაგდა ოქრუაშვილმა**. მან ინდოელ **ვენკატეშასთან** დუეტში წააგო ფინალური ორთაბრძოლა მე-2 ნომრად განთესილ იაპონელ **მიამურასთან** და კორეელ **იუსთან** – 6:7, 2:6. როგორც კი ინდოეთის ტურნირები რეიტინგში შევა (ეს შეიძლება დღეისთვის არ მოესწროს) ურეიტინგო ოქრუაშვილი მსოფლიო კლასიფიკაციაში მოხვდება და თანაც აუცილებლად ათასეულში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მშვილდოსნობა

# მესამე ლიცენზიისთვის

**დღეს** ფრანგულ ვიტელში იწყება ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ ქალთა ნაკრები გამოვა: **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა და ასმათ დიასამიძე**. ამ ტურნირზე პეკინის ოლიმპიადის სამი ლიცენზიაც გათამაშდება - 15 მაისი მთლიანად ულიცენზიოდ დარჩენილებს დაეთმობათ და ცალკე ტურნირში გაარკვევენ იმ სამ ბედნიერ მსროლელს. ვიმედოვნებთ, ასმათ დიასამიძე თავის ბოლო შანსს წარმატებით გამოიყენებს და ამ სამეულში მოხვდება. შეგახსენებთ, რომ ნარიმანიძემ და ესებუამ შარშან მოიპოვეს ლიცენზიები და ახლა დიასამიძეც თუ იგივეს გააკეთებს, პეკინის ოლიმპიადაზე გუნდურ პირველობაშიც გამოვალთ.

ევროპის ჩემპიონატზე დღეს ოფიციალური ვარჯიში გაიმართება. ხვალ საკვალიფიკაციო ეტაპია, ზეგ - პლეიოფია. 15 მაისს, როგორც გითხარით, სალიცენზიო ტურნირია, რასაც გუნდური პირველობა მოჰყვება, ჩემპიონატი კი 17 მაისს დასრულდება - დილით მედალოსნები გუნდურში გამოვლინდებიან, შუადღიდან - პირადში.

ჩვენი ქალებისთვის თუ ეს ლიცენზიის მოპოვების ბოლო შანსია, კაცებს კიდევ რჩებათ იმედი. იქნებ ძალზე არარეალური, რადგან მათი შედეგები მნიშვნელოვნად ჩამორჩება თანამედროვე მაჩვენებლებს, მაგრამ ერთი სალიცენზიო ტურნირი ისევ რჩებათ - 23-28 მაისს ისევ საფრანგეთში, ბოეში გასამართი ევროპის თასი მესამე ეტაპი, რომელიც, ამავდროულად, მსოფლიო თასის მეოთხე ეტაპია (ეს ორი ტურნირი ასე პარალელურ რეჟიმში იმართება და შედეგები ცალ-ცალკე ითვლება) და ბოლო შანსიც იქაა. თუმცა ეს ტურნირი სალიცენზიო იმათთვისაა, ვისაც საერთოდ არ მოუპოვებია ლიცენზია, ჩვენი ქალები კი, როგორც ზემოთ გითხარით, 2-ს ფლობენ. ამიტომ მიდიან ბოეში ჩვენგან მხოლოდ ვაჟები და არა ქალები. ბუნებრივია, ვაჟების გაშვება ახლაც შეიძლებოდა ვიტელში, მაგრამ რაკი პერსპექტივა არც ისე დიდია, ზედმეტ ხარჯებს მოერიდნენ და მეორე ტურნირი ამჯობინეს.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი

# მასას თურქული ჰეთ-თრიკი




ბრაზილიელი **ფელიპე მასას** გამარჯვებით დასრულდა ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი, თურქეთის დიდი პრიზი, რომელზეც "ფერარის" პილოტს უკვე სამი სეზონია, ბადალი არ ჰყავს. ამ მოგებით, მასამ პირად კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა და შვიდი ქულით ჩამორჩება თავის ფინელ თანაგუნდელს, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ **კიმი რაიკონენს**.

მასამ კი გაიმარჯვა, მაგრამ მეორეზე გასულმა ბრიტანელმა, **ლუის ჰემილტონმა** ნარბოლევს აღიარა, ეს ჩემს კარიერაში საუკეთესო რბოლა იყოო. ხუთი დიდი პრიზის მომგებმა, "ისტანბულ პარკზე" ამბიციები მეორე ადგილით დაიკმაყოფილა, თუმცა შუა რბოლაში თავი იმით გამოიჩინა, რომ შესანიშნავი მანევრით, გვერდი მასას აუარა და რომ არა საბურავების გამო, მისი გუნდის ხელმძღვანელობის მიერ გამოჩენილი სიფრთხილე, იქნებ ფინიშთან პირველი ის მისულიყო.

სანამ თურქული რბოლის პერიპეტიებს მოვყვებოდეთ, რბოლამდელი ამბების მოყოლაც ღირს. მითუმეტეს, ბარსელონადან სტამბულამდე ორ კვირაში ბევრი საინტერესო რამ მოხდა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ დიდი პრიზების ცირკი ათი გუნდის ამარა დარჩა – "სუპერ აგური" ვერ გამოდგა სუპერი და ფინანსურ კრიზისში მყოფმა, არსებობა შეწყვიტა. იაპონური გუნდი გაჭირვებიდან მისმა მთავარმა პარტნიორმა, იაპონურმა საავტომობილო კონცერნმა "ჰონდამ" აღარ იხსნა, რომლისაც "სუპერ აგურის" რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი მართებდა. ამ ამბავზე ფორმულა ერთის შეფმა **ბერნი ეკლსტოუნმა** განაცხადა, ათი გუნდი 11-ს მირჩევნია, პადოკში მეტი ადგილი იქნებაო...

"მონტმელოზე" მომხდარი სერიოზული ავარიის შემდეგ, ორ კვირაში გამოჯანმრთელება მოასწრო "მაკლარენის" ფინელმა პილოტმა **ჰეიკი კოვალაინენმა**, ვინც მწყობრში ჩადგომაც შეძლო და ასე განსაჯეთ, თურქეთის დიდი პრიზის კვალიფიკაციაზე თავის თანაგუნდელ ჰემილტონსაც კი აჯობა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბრიტანელ პილოტს საკვალიფიკაციოდ საბურავების შერჩევისას დაუშვია შეცდომა. სწორედ საბურავები იყო იმის მიზეზი, რომ ჰემილტონმა რბოლისთვის განსხვავებული, სამპიტსტოპიანი ტაქტიკა აირჩია.

საქმე ისაა, რომ ასეთი რჩევა "მაკლარენს" საბურავების მწარმოებელმა "ბრიჯსტოუნმა" მისცა. იაპონური კომპანიის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ჰემილტონის ხისტი სტილის გამო, მერვე, ყველაზე რთულ და მეტად სწრაფ მოსახვევში (რომელიც ფაქტობრივად ოთხი მარცხენა მოსახვევისგან შედგება), მის ბოლიდზე ინტენსიურად ცვდება წინა მარჯვენა საბურავი, რომელიც ამ მოსახვევში ყველაზე მეტად იტვირთება.

შარშან, ბრიტანელს სწორედ ამ მოსახვევში გაუსკდა საბურავი და, მართალია, მაშინ სერიოზულ ინციდენტს გადაურჩა, მაგრამ სავარაუდო მესამე ადგილი გაუშვა ხელიდან, რაც სეზონის ბოლოს, ჩემპიონის ტიტულის დაკარგვის ფასად დაუჯდა. თანაც, ყველას ახსოვდა ესპანეთის დიდ პრიზზე მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც, კოვალაინენი წინა მარცხენა საბურავის გასკდომის გამო, სერიოზულ ავარიაში მოყვა. მოკლედ, ამ ინციდენტების გამეორება არავის სურდა. ჰოდა, "მაკლარენმაც" ჰემილტონს სამი პიტსტოპი დაუგეგმა...

კვალიფიკაცია კი ლამის სენსაციურად დასრულდა – სესიის მესამე, მთავარი ნაწილის მიწურულს, საუკეთესო შედეგი კოვალაინენმა აჩვენა და თითქოს, პოულიც მას უნდა დარჩენოდა, მაგრამ ტრასაზე "ფერარის" ორივე პილოტი იყო დარჩენილი. მათგან პირველმა – მასამ, ფინელის შედეგი თითქმის ორი მეათედი წამით გააუმჯობესა და "ისტანბულ პარკზე" ზედიზედ მესამე პოულსაც დაეუფლა. რაიკონენი კი ამჯერად მეოთხე შედეგით დაკმაყოფილდა და წინ ჰემილტონიც გაუშვა. სხვათა შორის, კვალიფიკაციის ბოლოს, პირველი ოთხი პილოტი ერთმანეთთან სულ რაღაც 0.3 წამზე ოდნავ მეტმა დააშორა.

სტარტმა კი პელოტონის განლაგებაში ბევრი რამ შეცვალა. ლიდერმა პოზიცია კი შეინარჩუნა, მაგრამ მის უკან სიტუაცია გვარიანად შეიცვალა. სტარტის ნიშანზე კოვალაინენი შეყოვნდა და, რა თქმა უნდა, რაიკონენმა მისი გასწრება სცადა. პირველ მოსახვევში მათი ბოლიდები საბურავებით შეეხნენ კიდეც ერთმანეთს, ამასობაში კი ჰემილტონმა ისარგებლა და მეორეზე გადაინაცვლა. კოვალაინენი ჩამორჩა და მალე რეზინის გამოსაცვლელად ბოქსებს მიაშურა, კიმის კი პოლონელმა **რობერტ კუბიცამ** და ესპანელმა **ფერნანდო ალონსომაც** გაუარეს. სასტარტო ორომტრიალში შეჯახებაც მოხდა, რის გამოც, ტრასაზე პეისკარს უხმეს, ოღონდ სანამ რბოლა შენელდებოდა, რაიკონენმა ერთი პოზიციის დაბრუნება შეძლო – მან ალონსოს გაუარა.

რესტარტს პელოტონის განლაგებაში ცვლილება არ შეუტანია. ჰემილტონმა შეძლო მასას ტემპის აყოლა და ბრაზილიელი შორს არ გაუშვა. რაიკონენი კი კვალში კუბიცას ჩაუდგა, თუმცა პოლონელი მხოლოდ პიტსტოპების მეორე სერიის დროს ჩამოიტოვა.

ლიდერთაგან ბოქსში პირველი ჰემილტონი შევიდა და როცა მასამ იგივე მხოლოდ სამი წრის შემდეგ გაიმეორა, აშკარა გახდა, რომ ბრიტანელის სასტარტო გაბრწყინება ნაწილობრივ მისი ავზების (შედარებითი) სიცარიელის შედეგი იყო.

მაგრამ პიტსტოპმოვლილმა ჰემილტონმა ბოქსების შემდეგ ტემპს კიდევ უფრო უმატა. არადა, თითქოს ასე არ უნდა მომხდარიყო, რადგან ამჯერად ყველას ავზები თანაბრად უნდა ჰქონოდა შევსებული. ასე იყო თუ ისე, ჰემილტონს პიტსტოპის შემდეგ სულ შვიდი წრე დასჭირდა იმისათვის, რომ მასასთვის გაესწრო და ლიდერი გამხდარიყო.

როგორც კი დაწინაურდა, ჰემილტონმა ტემპი კიდევ უფრო გაზარდა და მალე მასა თვალსაწიერიდანაც ჩამოიშორა. ის ბრაზილიელს ყოველ წრეზე თითქმის წამს უგებდა. თუმცა, მალე გაირკვა, რომ მისი სისწრაფის მიზეზი კვლავ ნაკლებად შევსებული ავზები იყო - 32-ე წრეზე ჰემილტონმა პიტსტოპი გაიმეორა. ამჯერად, მასა ბოქსში შვიდი წრის დაგვიანებით შევიდა, რაიკონენმა კი რეზინის გამოცვლა და ავზის შევსება 11 წრის შემდეგ ინება. ამ დროს ადვილად სავარაუდო იყო, რომ ჰემილტონი მესამედაც შევიდოდა ბოქსში, რაც 44-ე წრეზე დადასტურდა. სანამ ბოქსში მესამედ შევიდოდა, ჰემილტონმა 14 წამით ჩამოიტოვა მასა და ოც წამზე მეტით – რაიკონენი. ყველაფერს პიტსტოპზე "მაკლარენის" მექანიკოსების სისწრაფე წყვეტდა და მათაც თავიანთი პილოტი არ დაალალატეს – ტრასაზე დაბრუნებული ჰემილტონი მსოფლიო ჩემპიონის წინ აღმოჩნდა, თუმცა მასას გადასწრება ველარ შეძლო.

რბოლაც სწორედ ამ თანმიმდევრობით დასრულდა – მასამ "კუთვნილი", მიმდინარე სეზონში მეორე გამარჯვება მოიპოვა, რაიკონენმა კი ჩემპიონატში თავისი ლიდერობა შეინარჩუნა. მართალია, უახლოეს მდევართან მისი უპირატესობა ორი ქულით შემცირდა, მაგრამ სამაგიეროდ, ახლა მეორეზე მისი თანაგუნდელია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მასას და ჰემილტონს თანაბარი ქულები აქვთ და ბრაზილიელი მეორეზე იმის გამოა, რომ მას ბრიტანელზე მეტი მოგება აქვს.

სხვათა შორის, მასამ თავის კარიერაში პირველი გამარჯვება სწორედ "ისტანბულ პარკზე" მოიპოვა, მესამე ტრიუმფის შემდეგ კი ხუმრობით განაცხადა, ვფიქრობ, თურქული პასპორტის აღებაზე უნდა ვიზრუნოო...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### თურქეთის დიდი პრიზი. მე-5 ეტაპი

ისტანბულ პარკი (სტამბული, თურქეთი). 309.396 კმ (58 წრე X 5.338 კმ)

1. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) 1:26:49.451
2. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენი) +00:03.779
3. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) 00:04.271
4. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, BMW ზაუბერი) 00:21.945
5. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, BMW ზაუბერი) 00:38.741
6. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, რენო) 00:53.724
7. მარკ უებერი (ავსტრალია, რედბული) 01:04.229
8. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამსი) 01:11.406
9. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბული) 01:15.270
10. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) 01:16.344
11. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) 1 წრე
12. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, მაკლარენი) 1 წრე
13. ტიმო გლოკი (გერმანია, ტოიოტა) 1 წრე
14. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა) 1 წრე
15. ნელსინიუ პიკე (ბრაზილია, რენო) 1 წრე
16. ადრიან სუტილი (გერმანია, ფორს ინდია) 1 წრე
17. სებასტიან ფეტელი (გერმანია, ტორო როსო) 1 წრე

გ. სებასტიან ბურდე (საფრანგეთი, ტორო როსო) 34 წრე
გ. კაძუკი ნაკაძიმა (იაპონია, უილიამსი) 57 წრე
გ. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, ფორს ინდია) 58 წრე

შენიშვნა: გ - გამოეთიშა
უსწრაფესი წრე: კიმი რაიკონენი 1:26.506

#### პირადი კლასიფიკაცია 3 ეტაპის შემდეგ

1. კიმი რაიკონენი 35 ქულა; 2. ფელიპე მასა 28; 3. ლუის ჰემილტონი 28; 4. რობერტ კუბიცა 24; 5. ნიკ ჰაიდფელდი 20; 6. ჰეიკი კოვალაინენი 14; 7. მარკ უებერი 10; 8. იარნო ტრული 9; 9. ფერნანდო ალონსო 9; 10. ნიკო როსბერგი 8; 11. კაძუკი ნაკაძიმა 5; 12. ჯენსონ ბატონი 3; 13. 13. სებასტიან ბურდე 2

#### კონსტრუქტორთა პირველობა

1. ფერარი 63 ქულა; 2. BMW ზაუბერი 44; 3. მაკლარენ-მერსედესი 42; 4. უილიამს-ტოიოტა 13; 5. რედ ბულ-რენო 10; 6. ტოიოტა 9; 7. რენო 9; 8. ჰონდა 3; 9. ტორო როსო-ფერარი 2




| | ავს | მალ | ბაჰ | ესპ | თურ 11.05 | მონ 25.05 | კან 08.06 | საფ 22.06 | ბრი 06.07 | გერ 20.07 | უნგ 03.08 | ევრ 24.08 | ბელ 07.09 | იტა 14.09 | სინ 28.09 | იაპ 12.10 | ჩინ 19.10 | ბრა 02.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რაიკონენი** (ფერარი) | 1 | 10 | 8 | 10 | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 35 |
| **მასა** (ფერარი) | -- | -- | 10 | 8 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 28 |
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 10 | 4 | -- | 6 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 28 |
| **კუბიცა** (BMW-ზაუბერი) | -- | 8 | 6 | 5 | 5 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 24 |
| **ჰაიდფელდი** (BMW-ზაუბერი) | 8 | 3 | 5 | -- | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 20 |
| **კოვალაინენი** (მაკლარენი) | 4 | 6 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 14 |
| **უებერი** (რედ ბული) | -- | 2 | 2 | 4 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 10 |
| **ტრული** (ტოიოტა) | -- | 5 | 3 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 9 |
| **ალონსო** (რენო) | 5 | 1 | -- | -- | 3 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 9 |
| **როსბერგი** (უილიამსი) | 6 | -- | 1 | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 8 |
| **ნაკაძიმა** (უილიამსი) | 3 | -- | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 5 |
| **ბატონი** (ჰონდა) | -- | -- | -- | 3 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 3 |
| **ბურდე** (ტორო როსო) | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ეტაპი

### E ჯგუფი

**რუსეთი-ბელარუსი 4:3 (ბ)**

**0:2, 1:0, 2:1, 0:0**

გოლები: 0:1 მიხალევი-1 (გრაბოვსკი-1, უგაროვი-1), 0:2 დუდიკი-1, 1:2 აფინოგენოვი-2 (პროშკინი-2, ტერეშჩენკო-1), 2:2 ოვეჩკინი-3 (სიომინი-3, ფიოდოროვი-3), 3:2 ოვეჩკინი-4 (აფინოგენოვი-2, ფიოდოროვი-4), 3:3 უგაროვი-3 (გრაბოვსკი-2).

ბულიტები გაიტანეს: მოროზოვი (რუსეთი).

**ჩეხეთი-ბელარუსი 3:2 (ბ)**

**0:1, 1:0, 1:1, 0:0**

გოლები: 0:1 ჩუპრისი-1 (სალეი-2, მელეშკო-1), 1:1 როლინეკი-1 (პლეკანეცი-1, ირგლი-2), 1:2 ა. კოსტიცინი-2 (დენისოვი-2), 2:2 კოტალიკი-3 (პლეკანეცი-2).

ბულიტები გაიტანეს: კოტალიკი (ჩეხეთი).

**რუსეთი-შვედეთი 3:2**

**0:1, 1:1, 2:0**

გოლები: 0:1 ვეინპანდლი-3 (მარტენსონი-5, ლედინი-3), 1:1 სიომინი-3 (ოვეჩკინი-1), 1:2 მარტენსონი-4 (ფროგრენი-3), 2:2 ფიოდოროვი-2 (ზარიპოვი-1), 3:2 ოვეჩკინი-5 (სიომინი-4).

| | მ | ო-მ | ო-წ | წ | სბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 2 | 0 | 1 | 0 | +7 | 7 |
| 2. რუსეთი | 1 | 2 | 0 | 0 | +5 | 7 |
| 3. შვეიცარია | 2 | 0 | 0 | 1 | -2 | 6 |
| 4. შვედეთი | 2 | 0 | 0 | 1 | +6 | 6 |
| 5. ბელარუსი | 0 | 0 | 1 | 2 | -3 | 1 |
| 6. დანია | 0 | 0 | 0 | 3 | -13 | 0 |

### F ჯგუფი

**ფინეთი-ლატვია 2:1**

**0:1, 1:0, 1:0**

გოლები: 0:1 დარზინსი-1 (რედლიჰსი-1, ლავინსი-1), 1:1 პილსტრიომი-1 (ნისკალა-2, ნ. ბექსტრიომი-1), 2:1 ნ. კაპანენი-2 (ლეპისტო-1, პილსტრიომი-2).

**გერმანია-კანადა 1:10**

**0:4, 0:5, 1:1**

გოლები: 0:1 სპეცა-1 (ჩიმერა-1), 0:2 ჰიტლი-7 (ჰამჰუისი-1), 0:3 ე. სტაალი-1 (სენტ ლუისი-2), 0:4 შარპი-2 (ე. სტაალი-3, მეიერსი-2), ე. სტაალი-2 (მ. გრინი-2, სენტ ლუისი-3), 0:6 ე. სტაალი-3 (სენტ ლუისი-4, დ. რუა-3), 0:7 დ. რუა-2 (დოუნი-3, მ. გრინი-3), 0:8 ე. სტაალი-4 (სენტ ლუისი-5, კუნიტცი-4), 0:9 მეიერსი-1, 0:10 მ. გრინი-3 (ბერნსი-4, სენტ ლუისი-6), 1:10 ჰორდლერი-1.

| | მ | ო-მ | ო-წ | წ | სბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 4 | 0 | 0 | 0 | +18 | 12 |
| 2. ფინეთი | 2 | 1 | 0 | 0 | +6 | 8 |
| 3. აშშ | 2 | 0 | 0 | 1 | +5 | 6 |
| 4. ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 1 | -1 | 4 |
| 5. ლატვია | 0 | 0 | 0 | 3 | -12 | 0 |
| 6. გერმანია | 0 | 0 | 0 | 4 | -16 | 0 |

## NHL პლეი ოფი. 1/2 ფინალი

### აღმოსავლეთი

**პიტსბურ (2)-ფილადელფ (6) 4:2**

**3:2, 1:0, 0:0**

გოლები: 1:0 სიკორა-5 (მელოუნი-7, მალკინი-9), 1:1 მ. რიჩარდსი-5 (უმბერგერი-3, ქობურნი-6), 1:2 მ. რიჩარდსი-6 (ლუპული-5, უმბერგერი-4), 2:2 კროსბი-3 (მარიან ჰოსა-6), 3:2 მალკინი-7 (რაიან უიტნი-5), 4:2 მალკინი-8 (გონჩარი-5).

**სერია 1:0**

### დასავლეთი

**დეტროიტი (1)-დალასი (5) 2:1**

**2:1, 0:0, 0:0**

გოლები: 1:0 ჰელი-1 (ჰუდლერი-9), 1:1 რობიდასი-2 (რიბეირო-12, მოროუ-5), 2:1 ზეტერბერგი-8 (დაციუკი-9, ჰოლმსტრიომი-6).

**სერია 2:0**

## კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/4 ფინალი

### აღმოსავლეთი

**ორლანდო-დეტროიტი 89:90**

**27:21, 28:23, 15:26, 19:20**

ო: თურქოგლუ (20), ლუისი (15), ნელსონი (15+6 პასი), ევანსი (15), დ. ჰოვარდი (8+12 მოხსნა).

დ: ჰემილტონი (32), პრინსი (17+5 პასი), რ. უოლასი (16+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), მაკდაესი (8+14 მოხსნა).

**სერია 1:3**

**კლივლენდი-ბოსტონი 108:84**

**32:13, 20:22, 27:28, 29:21**

კ: ლ. ჯეიმსი (21+8 პასი+4 ჩაჭრა+3 დაფარება), დ. უესტი (21+7 პასი), ჯ. სმიტი (17+6 მოხსნა), შჩერბიაკი (16), ილგაუსკასი (12+8 მოხსნა+6 პასი), ბ. უოლასი (9+9 მოხსნა).

ბ: გარნეტი (17+9 მოხსნა), პირსი (14+5 პასი), პერკინსი (12+7 მოხსნა), პოუსი (11), რ. ალენი (10+3 ჩაჭრა).

**სერია 1:2**

### დასავლეთი

**იუტა- ლეიკერსი 104:99**

**23:23, 29:20, 27:29, 25:27**

ი: ბუზერი (27+20 მოხსნა), ოქური (22+7 მოხსნა), დ. უილიამსი (18+12 პასი), კირილენკო (12), ჰარპრინგი (12).

ლ: ბრაიანტი (34+6 მოხსნა+7 პასი), ოდომი (13+12 მოხსნა), ფიშერი (13), გასოლი (12+6 მოხსნა), უოლტონი (11).

**სერია 1:2**

---

კალათბურთი. ახალი ამბები

# ჯინობილი პეკინში მიდის




მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონის, არგენტინის სამწვრთნელო შტაბმა პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის წინასწარი შემადგენლობა დაასახელა.

ამ ეტაპზე ცნობილია, რომ არგენტინა ტიტულის დაცვას ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოთამაშე ხუთი ლეგიონერის დახმარებით შეეცდება. ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვეს **მანუ ჯინობილიმ, ფაბრისიო ობერტომ** (ორივე - "სან სანტონიო"), **ლუის სკოლამ** ("ჰიუსტონი"), **კარლოს დელფინომ** ("ტორონტო") და **ანდრეს ნოჩიონიმ** ("ჩიკაგო").

მათ გარდა, განაცხადში შემდეგი კალათბურთელები მოხვდნენ: **ანტონიო პორტა** ("სპარტაკი", რუსეთი), **ლეონარდო გუტიერესი** ("ბოკა ხუნიორსი"), **პაბლო პრიჯიონი** ("ტაუგრესი", ესპანეთი), **ნიკოლას ჯანელა** ("გრანადა", ესპანეთი) და **ფედერიკო კამერიხსი** ("მურსია", ესპანეთი). დარჩენილი ორი ვაკანტური ადგილის მფლობელი მოგვიანებით დასახელდება.

ალსანიშნავია, რომ განაცხადში არ არის 2004 წლის ოლიმპიადის 4 ჩემპიონი: **ვალტერ ერმანი, პეპე სანჩესი, რუბენ ვოლკოვისკი** და **გაბრიელ ფერნანდესი**. პირველმა ორმა თავად თქვა უარი პეკინში გამგზავრებაზე, ვოლკოვისკი და ფერნანდესი კი, სამწვრთნელო შტაბმა დაიწუნა.

**გია თვალაბეიშვილი**

---

# კარლაილი დალასშია

## დ'ენტონი ნიქსს შეუთანხმდა

როგორც ჩანს, სულ მალე "დალას მავერიქსსა" და "ნიუ იორკ ნიქსს" ახალი მწვრთნელები ეყოლებათ.

NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი გვატყობინებს, რომ "დალასის" ხელმძღვანელობამ სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია **რიკ კარლაილთან**. ამ სპეციალისტს "კოვბოების" მთავარ მწვრთნელად უახლოეს დღეებში წარადგენენ. სავარაუდოდ, "დეტროიტისა" და "ინდიანას" ყოფილ დამრიგებელთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გაფორმდება.

აქამდე სიტუაციას ის ართულებდა, რომ კარლაილის აგენტი "ფინიქსის" დამრიგებლის **მაიკ დ'ენტონის** ვარიანტზეც მუშაობდა. ამ სპეციალისტს "სანზსში" დიდი დღე არ უწერია და ამიტომაც, ის გამალებულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა "ჩიკაგოსთან" და "ნიუ იორკთან".

გუშინდელი ინფორმაციის თანახმად, დ'ენტონის ბედიც, ფაქტობრივად, გარკვეულია. "ნიუ იორკმა" ამ მწვრთნელს "ჩიკაგოზე" უფრო სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა და დ'ენტონიმაც უკვე თანხმობა განუცხადა "ნიქსის" ხელმძღვანელობას. ახლა მხოლოდ მწვრთნელის "ფინიქსიდან" წასვლის საკითხია მოსაგვარებელი.

**გია თვალაბეიშვილი**

---

# სპურსის კიდევ ერთი ლეგიონერი

მომავალ წელს, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის უცხოური ლეგიონი კიდევ ერთი კალათბურთელით შეივსება. ესპანური solobasket-ის ცნობით, ამ სეზონში ევროლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, ბრაზილიელი **ტიაგო სპლიტერი** "სან ანტონიო სპურსში" გააგრძელებს კარიერას. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს, NBA-ის მოქმედმა ჩემპიონმა ესპანეთის "ტაუგრესის" 23 წლის ცენტრი დრაფტის 28-ე ნომრად აირჩია.

წლეულს, "ტაუგრესი" ევროლიგის "ოთხთა ფინალში" თამაშობდა და იქ საშუალოდ მატჩში 16 ქულას აგროვებდა. სწორედ აქ აწარმოებდა მასზე დაკვირვებას "სან ანტონიოს" გენერალური მენეჯერი **ერ სი ბიუფორდი**.

თუ ბრაზილიელი NBA-ში გადაბარგებას დათანხმდება, "სპურსს" მ\ის სანაცვლოდ 600 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. სწორედ ამ ოდენობის თანხაა გათვალისწინებული "ტაუსთან" კონტრაქტის გაწყვეტისთვის.

**გია თვალაბეიშვილი**

---

ჩოგბურთი. დევისის თასი

# ბოიკოტი არ იქნება

ესპანურ ჩოგბურთში ამტყდარი სკანდალის შესახებ ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით. როგორც იცით, ქვეყნის წამყვანი ჩოგბურთელები იმ შემთხვევაში არ აპირებდნენ დევისის თასის ნახევარფინალში თამაშს, თუ ამერიკის ნაკრებთან მატჩი მადრიდში გაიმართებოდა. **ნადალის, ფერერისა** და სხვა ჩოგბურთელების უკმაყოფილება იმით იყო განპირობებული, რომ მადრიდი ზღვის დონიდან 600 მეტრზე მდებარეობს და მოთამაშეთა აზრით, თიხნარზე ასეთი სიმაღლე ესპანელებს არანაირ უპირატესობას არ მისცემს ამერიკელებზე.

ჩოგბურთელებმა სპეციალურ განცხადებაში ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გადადგომაც მოითხოვეს, თუმცა საბოლოოდ, დავა ჩინოვნიკების სასარგებლოდ გადაწყდა. მატჩი მაინც მადრიდში გაიმართება და ესპანეთის ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით იქნება დაკომპლექტებული.

**გია თვალაბეიშვილი**

---

# TV სპორტი

### 12 მაისი. ორშაბათი

**I არხი**

22:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-მალიორკა.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ფულჰემი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-სევილია.
18:05 პორტუგალიის ჩემპიონატი. გიმარაეში-ამადორა.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-მანჩესტერ იუნაიტედი.
00:45 საფეხბურთო ღამე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:50 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
07:33 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
07:58 ფეხბურთი. Barca TV.
08:05 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
09:38 სპორტის სამყარო.
10:06 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
11:01 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-სიენა.
12:56 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-სევილია.
14:43 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩი. პიტსბურგი-ფილადელფია.
16:36 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. გიმარაეში-ამადორა.
18:23 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბოლტონი.
20:11 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:06 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 სპორტკლუბი.
22:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
23:30 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. კანადა-ფინეთი. კანადა (LIVE).
01:47 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
02:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-სევილია.
04:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. III მატჩი. დალასი-დეტროიტი (LIVE).
06:40 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
07:33 სპორტის სამყარო.

**EUROSPORT**

10:30 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
11:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. II ეტაპი.
12:15 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. ფინალები. შვეიცარია.
14:35 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
14:00 ნიჩბოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (სლალომი). II დღე. პოლონეთი.
15:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. II ეტაპი.
17:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. III ეტაპი (LIVE).
19:30 მულტისპორტი.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
03:00 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ლაკროსი. აშშ-ის ეროვნული ლიგა. 1/2 ფინალი.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. მონცა. იტალია.
17:15 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. მონცა. იტალია.
17:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი.
19:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბულგარეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
21:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
21:15 ახალი ამბები.
21:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი.
23:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეიოფი.
00:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი.
02:15 ახალი ამბები.

---

# ცხელი ხაზი

### კალათბურთი

**NBA**

| | |
|---|---|
| იუტა-ლეიკერსი | 123:115 (ო) |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-მარუსი | 87:61 |
| პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 91:75 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| მონტეგრანარო-მილანი | 73:69 |
| მონტეპასკი-ფორტიტუდო | 91:72 |
| აველინო-დორლანდო | 103:92 |
| რომა-კანტუ | 85:59 |

### ჰოკეი

**მსოფლიო ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ლატვია-ნორვეგია | 4:1 |
| დანია-შვეიცარია | 2:7 |
| ფინეთი-აშშ | 3:2 |

### ჩოგბურთი

**ATP. რომი**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-ვავრინკა | 4:6, 6:3, 6:3 |

**WTA. ბერლინი**

| | |
|---|---|
| დემენტიევა-საფინა | 6:3, 2:6, 2:6 |

---

ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

# ვალდეველდე ვარდისფერში

კუნძულ სიცილიას მთავარ ქალაქ პალერმოში სტარტი აიღო პრესტიჟულმა ველომარათონმა ჯირო დ'იტალიამ, რომლის პირველი ეტაპი, დროზე გუნდური რბოლა, ამერიკულ გუნდ "სლიპსტრიმის" გამარჯვებით დასრულდა. ლიდერის ვარდისფერი მაისურა კი ამერიკელმა **კრისტიან ვალდეველდემ** მოირგო, ვინც ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა.

ვალდეველდე ბოლო ოც წელიწადში პირველი ამერიკელი ველომრბოლია, ვინც იტალიურ ტურს სათავეში ჩაუდგა. ის რომ არა, ლიდერის მაისურს მაინც ამერიკელი ველომრბოლი, მისი თანაგუნდელი **დევიდ ზაბრისკი** ჩაიცვამდა, ვინც ფინიშის ხაზი მეორემ გადაკვეთა. ეტაპის გამარჯვებულს სულ 6 წამით ჩამორჩა დანიური CSC, კიდევ ერთი წამის შემდეგ კი ფინიშს ინგლისურმა "ჰაი როუდმაც" მიაღწია.

31 წლის ვალდეველდე ის ველომრბოლია, ვინც 1999 წელს, ამერიკელ **ლენს არმსტრონგს** ფრანგულ ტურზე ტრიუმფში დაეხმარა. მაგრამ თავის 11-წლიან პროფესიულ კარიერაში სულ სამი რბოლა აქვს მოგებული.




*"ჩემთვის ამ მაისურის ჩაცმა კარიერის ყველაზე გამორჩეული მომენტია. იმ სურათს, რომელშიც ვარდისფერ მაისურში ვარ, კედელზე გავაკრავ და ოდესმე ჩემს შვილიშვილებს ამ მიღწევის შესახებ მოვუყვები. სტარტის წინ, ჩვენ ერთადერთი მიზანი დავისახეთ – გამარჯვება და ბედნიერი ვარ, რომ ამ მიზანს მივაღწიეთ. ეს შედეგი მით უფრო სასიხარულოა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ პატარა გუნდი ვართ და გაცილებით გამოცდილ გუნდებს ვაჯობეთ. მოკლედ, სიხარულით მეშვიდე ცას ვეწიეთ"*, - განაცხადა ვალდეველდემ. მანვე დასძინა, რომ მისი გუნდის გამარჯვება იმის ნიშანია, რომ ველოსპორტში დოპინგისგან თავისუფალი გუნდების გამარჯვებათა დრო დგება: *"ვფიქრობ, ჩვენი გამარჯვება ველოსპორტის განახლების დაწყების ნიშანია. პირველ ოთხ ადგილზე ის გუნდები გავიდნენ, რომლებიც ყველაზე აქტიურად ებრძვიან დოპინგს. ეს კი იმის ნიშანია, რომ სუფთა გუნდებსაც შეუძლიათ მოგება"*.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**1-ლი ეტაპი. პალერმო (დროზე გუნდური რბოლა, 23.6 კმ)**

1. სლიპსტრიმი 26.32; (53.366 კმ/სთ); 2. CSC 0.06; 3. ჰაი როუდი 0.07; 4. ლიკიგაზი 0.09; 5. ბარლოუორლდი 0.14; 6. LPR ბრეიკს-ბალანი 0.28; 7. ასტანა 0.29; 8. ტინკოფი 0.33; 9. ქვიკ სტეპი 0.42; 10. ლამპრე 0.45; 11. მილრამი 0.45...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ავტოსპორტი

# ჰემილტონს უსტვინეს



ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ თურქეთის გრან პრის წინ "მაკლარენის" პილოტის, **ლუის ჰემილტონის** სამსახიობო დებიუტი უნდა შემდგარიყო. Gosteri-Merkezi-ის თეატრმა სტამბოლში პრემიერა გამართა და ერთი როლი ბრიტანელ პილოტს მისცა. გაზეთ "თაიმსის" ცნობით, ლუისმა აპოლონი განასახიერა, რომელიც სცენაზე სპეციალური ბაგირით დაეშვა და თან "მაკლარენის" სარბოლო კოსტიუმში იყო გამოწყობილი.

სცენარის მიხედვით, ჰემილტონის გმირს ტროასა და საბერძნეთის არმიის ჯარისკაცები უნდა შეერიგებინა და შემდეგ უკან უნდა გაფრენილიყო.

ბრიტანელის სპექტაკლში გამოჩენა კომპანია Vodafone-ის წყალობით მოხდა, რომელმაც 300 მილიონი ფუნტი ჩადო "მაკლარენის" მხარდასაჭერად და აგრეთვე ამ სპექტაკლის სპონსორადაც მოგვევლინა.

ლუისმა საკონტრაქტო ვალდებულებებზე უარი ვერ თქვა და სპექტაკლში მონაწილეობას დათანხმდა, მაგრამ მისი თეატრალური დებიუტი აშკარად წარუმატებელი გამოდგა, ვინაიდან მაყურებელმა ახალგაზრდა ბრიტანელს სტვენა აუტეხა. თავად ჰემილტონი სცენაზე თავის გამოჩენას სასაცილოდ არ თვლის და ამიტომაც, მაყურებლების რეაქციაზე საკმაოდ განაწყენებული დარჩა.

*"სხვებივით სასაცილო კოსტიუმი არ მეცვა. უბრალოდ, ჩემი სამუშაო შევასრულე და ვგრძნობ, რომ სულაც არ გამოვიყურებოდი სასაცილოდ. მითხრეს, ზემოდან ხმლით ხელში სცენაზე უნდა ჩამოვსულიყავი. სხვანაირად ეს დაწყევლილი ეპიზოდი როგორ უნდა მეთამაშა"*, - გაცხარდა ჰემილტონი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი Vodafone-ის სპონსორული მხარდაჭერით, ჯამში 75 მილიონ ფუნტს გამოიმუშავებს, ოღონდ ცნობილი არ არის, მოუწევს თუ არა ლუისს სამსახიობო კარიერის გაგრძელება.

**გია თვალაბეიშვილი**

ექსტრემალური სპორტი

# თავქვე პრეზერვატივით



ექსტრემალური სპორტის, ბანჯი-ჯამპინგის მოყვარულმა **კარლ დიონისიომ** ხიდიდან უცნაური ნახტომი შეასრულა. ბაგირის როლს 18 500 პრეზერვატივისგან დაწნული თოკი ასრულებდა, რომელიც ნახტომის შემდეგ 30 მეტრზე გაიჭიმა და მძაფრი შეგრძნებების მოყვარული დიონისიოს წონას გაუძლო.

კარლის სიტყვებით, ეს აქცია არ ემსახურებოდა უსაფრთხო სექსის პროპაგანდას და არც პრეზერვატივების დამამზადებელი რომელიმე ფირმის რეკლამა იყო. უბრალოდ, დიონისიო უკვე დიდი ხანია ბანჯი-ჯამპინგით არის დაკავებული და მას დაკარგული ჰქონდა პირველი ნახტომისთვის დამახასიათებელი მღელვარების გრძნობა - მოკლედ, მას რალაც ახალის განცდა უნდოდა.

ექსტრემალმა სპორტსმენმა განაცხადა, რომ თავის მეგობარ გოგოსთან ერთად ოთხი თვის განმავლობაში წნავდა ამ უცნაურ თოკს. ხოლო თავისი შეგრძნების შესახებ საუბრისას აღნიშნა, რომ 100 პროცენტით არ იყო დარწმუნებული, გაამართლებდა თუ არა ექსპერიმენტი, ამიტომაც ნახტომის წინ ძალიან ნერვიულობდა. თუმცა, "თოკი" საკმაოდ გამძლე გამოდგა, რაც გასაკვირი სულაც არ არის: ინსტრუქციის თანახმად, პრეზერვატივი თავისი საწყისი სიგრძის 650 პროცენტზე უნდა იწელებოდეს.

**გია თვალაბეიშვილი**

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ჯოკოვიჩის მეოთხე მასტერსი



ავსტრალიის ღიას სერბი ჩემპიონის, **ნოვაკ ჯოკოვიჩის** გამარჯვებით დასრულდა რომის მასტერსის სერიის ტურნირი, რომლის ფინალშიც მან სამ სეტში მოუგო შვეიცარიელ **სტანისლას ვავრინკას.**

ფინალურ შეხვედრაში გამოკვეთილი ფავორიტი ჯოკოვიჩი იყო. მით უმეტეს, რომ ვავრინკა კარიერაში პირველად გავიდა მასტერსის სერიის ტურნირის ფინალში. მაგრამ შვეიცარიელმა თამაში უკეთ დაიწყო. ის ყოველი ქულისთვის თავგამოდებით იბრძოდა და შედეგიც მალე, მეხუთე გეიმში მიიღო – ბრეიკი მოიპოვა. უფრო მეტიც, მეშვიდე გეიმში ვავრინკას კიდევ ორი ბრეიკ პოინტი ჰქონდა, მაგრამ ისინი მეტოქემ კარგი მოწოდებების წყალობით გაუქვითა.

მესამე ნომრად განთესილ სერბს თამაში არ მისდიოდა. ის ხშირად ცდებოდა და მეტოქის თამაშსაც ვერ ულებდა ალღოს. მაგრამ მეორე სეტში მეტნაკლებად დაალაგა თავისი ტაქტიკა და მეექვსე გეიმში ბრეიკსაც მიაღწია. მართალია გაუჭირდა, მაგრამ ეს მცირე უპირატესობა სეტის ბოლომდე მაინც შეინარჩუნა და ანგარიშიც გათანაბრდა.

გადამწყვეტი სეტის დასაწყისში კი სერბმა ბრეიკის აღება შეძლო. ამჯერად უკვე ვავრინკამ უხშირა შეცდომებს, რის გამოც, ჯოკოვიჩს თავის მოწოდებაზე ქულების დაგროვება აღარ უჭირდა. მეხუთე გეიმის შემდეგ, შვეიცარიელმა კორტზე მასაჟისტს უხმო, რომელმაც წელის კუნთები დაუმუშავა. მაგრამ ამან ვერ უშველა. პირიქით, თავის სერვისზე სერბის აგრესიის შეკავებაც კი გაუჭირდა. ერთი ბრეიკ პოინტი მან მეშვიდე გეიმში მოიგერია, მაგრამ მეცხრეში მაინც დათმო და შეხვედრაც წააგო.

მარცხის მიუხედავად, ვავრინკა ახალ რეიტინგში 24-დან მე-10 ადგილამდე მაინც დაწინაურდება.

სამი სეტი გახდა საჭირო გამარჯვებულის გამოსავლენად ბერლინშიც, სადაც გერმანიის ღია პირველობის ფინალში, ერთმანეთს ორი რუსი - **ელენა დემენტიევა** და **დინარა საფინა** დაუპირისპირდა. ესენი ამ ფინალამდე ერთმანეთს ოთხჯერ შეხვედროდნენ და აქედან ორივეს ორ-ორი მატჩი მოეგო. ამჯერად კი გამარჯვებას შესანიშნავ ფორმაში მყოფმა საფინამ მიაღწია.

ფინალის გზაზე, საფინამ ტურნირი მსოფლიოს პირველ ჩოგანს, ბელგიელ **ჟუსტინ ანენსა** და დიდი სლემის რვა ტიტულის მფლობელ ამერიკელ **სერენა უილიამსს** დაატოვებინა. მან ფინალი უხეიროდ დაიწყო და პირველი სეტი იოლად დაუთმო მეტოქეს, მაგრამ შემდეგ ნერვები დაიმშვიდა და მომდევნო ორი სეტის მოგებით, შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

*"ჟუსტინთან გამარჯვების შემდეგ, ყოველ მომდევნო შეხვედრას უკეთ ვატარებდი, თავდაჯერებაც მემატებოდა. ჰოდა, ეს გამარჯვებაც ლოგიკური იყო, თუმცა ის იოლად არ მომიპოვებია"*, - ნამატჩევს განაცხადა საფინამ, ვინც ამ გამარჯვებისთვის 196 900 დოლარი დაიმსახურა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ATP**

**რომის მასტერსი**

რომი (იტალია). თიხნარი.
მასტერსის სერია
**საპრიზო ფონდი: 2 270 000 ევრო**

**1/2 ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 6:0, 1:0 შტეპანეკის ტრავმა

**სტანისლას ვავრინკა (შვეი)**-ენდი როდიკი (აშშ, 6) 3:0 როდიკის ტრავმა

**ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)**-სტანისლას ვავრინკა (შვეი) 4:6, 6:3, 6:3

**WTA**

**გერმანიის ღია**

ბერლინი (გერმანია).
თიხნარი. პირველი კატეგორია
**საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი**

**1/4 ფინალი**

**ანა ივანოვიჩი (სერბ, 2)**-აგნეშ სავაი (უნგ, 10) 3:6, 6:4, 6:3

**1/2 ფინალი**

**ელენა დემენტიევა (რუს, 7)**-ანა ივანოვიჩი (სერბ, 2) 6:2, 7:5

**დინარა საფინა (რუს, 13)**-ვიქტორია აზარენკა (ბელა) 6:4, 6:1

**ფინალი**

**დინარა საფინა (რუს, 13)**-ელენა დემენტიევა (რუს, 7) 3:6, 6:2, 6:2

# ვენუსი შეყვარებულია



გასულ კვირას, მსოფლიოს უძლიერესი ქალი ჩოგბურთელები ბერლინის კორტზე არკვევდნენ ურთიერთობას. თუმცა გერმანიაში არ ჩასულა მსოფლიო კლასიფიკაციის ყოფილი პირველი ნომერი, ამერიკელი **ვენუს უილიამსი**, რომელიც ნიუ იორკში დარჩა და იქ გაცილებით სასიამოვნო საქმეებით იყო დაკავებული.

კერძოდ, უფროსი უილიამსი ცნობილ Metropolitan Museum-ს ეწვია, სადაც კლასიკური კოსტიუმების ჩვენება გაიმართა. გამოფენის დასრულების შემდეგ, სტუმრები არ დაშლილან, მათ წინ კიდევ ერთი სანახაობა ელოდათ, რომელიც სწორედ ვენუსს უკავშირდებოდა. ჩოგბურთელმა ყველა მსურველს წარუდგინა თავისი დიზაინით შეკერილი საღამოს კაბა.

ღონისძიების შემდეგ, უილიამსს ჟურნალისტების შეკითხვებზე მოუწია პასუხის გაცემა. ყველაზე მეტად ტელეკომპანია HBO-ს კორესპონდენტი აქტიურობდა, რომელმაც იმის გაგება მოისურვა, თუ ვის ეკუთვნის ამჟამად ჩოგბურთელის გული.

*"არ მიყვარს პირადი ცხოვრების საჯაროდ განხილვა, მაგრამ ამჯერად გამონაკლისს დავუშვებ და გეტყვით, რომ გოლფისტ ჰენკ ქუენიზე ვარ შეყვარებული. თუმცა იმაზე ვერ გიპასუხებთ, იგივეს გრძნობს თუ არა ჩემს მიმართ ჰენკი. სჯობს, ეს თავად მას ჰკითხოთ"*, - უპასუხა უილიამსმა.

**გია თვალაბეიშვილი**

ცხენოსნობა

# დედოფლის შვილიშვილი პეკინში მიდის



ბრიტანეთის დედოფლის, **ელიზაბეტ II**-ის შვილიშვილი **ზარა ფილიპსი** პეკინის ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. 27 წლის სპორტსმენი საცხენოსნო სპორტში ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში შეიყვანეს.

ზარა პეკინში თავისი ცხენით, თოითაუნით გამოვა, რომელთან ერთადაც 2006 წელს, გერმანიის ქალაქ აახენში მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო და BBC-ის ვერსიით, იმ წლის საუკეთესო სპორტსმენი გახდა. ახლა ფილიპსი ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოპოვების ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება.

სხვათა შორის, ზარა ოჯახურ ტრადიციას აგრძელებს. მამამისი, **მარკ ფილიპსი** 1972 წელს, მიუნხენში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, დედამისი, პრინცესა **ანა** კი, ევროპის ჩემპიონი იყო (1971) და მონრეალის ოლიმპიადაზე (1976) გამოდიოდა.

**გია თვალაბეიშვილი**